

ზიგზაგები მეგობრობაში

A2



გოდების კედელი და შორიდან მომზირალი „ფარაონი"

A5



800 მილიონი ევროპელის ევროპა

B1

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 29 აპრილი, 2005 წელი. №97 (957) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 4 მაისს

## ამბები

პოლიტიკური ყაჩაღობა A2

იუბილეს პლუს ერთი გენერალი A2

აუცილებელია კურსის კორექტირება A2

მეტალურგების საიუბილეო პროტესტი რუსთავში A2

მითის უკვდავება A3

Vivat Academia! A4

ევროპული სავაჭრო პალატა კერძო არბიტრაჟის გაუქმებას აპროტესტებს A6

ახმეტაში ქალმა მეგობარი მამაკაცი მოკლა A7

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება. A7

## ამინდი

| | 29/4 | 30/4 | 1/5 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 23 | 26 | 27 |
| ქუთაისი | 19 | 24 | 22 |
| ბათუმი | 17 | 20 | 16 |
| სოხუმი | 15 | 19 | 14 |
| ფოთი | 17 | 22 | 17 |
| თელავი | 23 | 25 | 26 |
| ზუგდიდი | 18 | 24 | 19 |
| გორი | 17 | 22 | 21 |
| ახმეტა | 23 | 25 | 27 |
| ჭიათურა | 18 | 23 | 22 |
| გაგრა | 17 | 15 | 15 |
| სამტრედია | 18 | 23 | 21 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8250 |
| ევრო | 2.3590 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.4741 |
| რუბლი | 0.0657 |

| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | მეცნიერება | B6 |
| სამართალი | A7 | TV პროგრამა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |

# სააღდგომო

## მზის საბუდარი

ზაზა ფარუაშვილი

მთელი ცხოვრება დავდივარ და ზემოთ-ზემოთ ვიყურები. დავინახავ თუ არა რაფაზე ჩამწკრივებულ ბალიშებს, გული მეხსნება და სამყარო მიყვარდება.

ასეთი მშობლიური გრძნობა მაშინ ამაცოცდებოდა-ხოლმე საქოჩრემდე, როცა ბებიაჩემი მეტყოდა: წამოდი, შვილო, პაპაშენის ფარდულში კრუხი დავაჯინოთო. დავდგამდით მშრალ, მყუდრო ადგილზე კაიხის ყუთს. ჩავუფენდით ფაფუკ თივას და ჩავაწყობდით კვერცხებს. დღემდე არ ვიცი, რატომ, მაგრამ 21 ან 19 უნდა ყოფილიყო. მერე ბებიაჩემი ქათამს ტყემლით დაბანილი ხელებით აიყვანდა, პუტუნში დაბერებული ტუჩებით დაარიგებდა, აბა, ახლა დაჯექი და გამოტეხეო და ჩემი დროც დადგებოდა.

- დასვი, ბებია, დასვი, - მამხნევებდა გულშემატკივარი ხმა და მეც ნელ-ნელა ვაფარებდი თივის თეთრ გულზე ბუმბულის ცოცხალ ბურთს. კრუხი ერთს ჩაი-კმა-კმა-ყოფილებდა-ხოლმე და კვერცხებს დაათბებოდა.

ვიჯექით მე და ბებიაჩემი პატარა სკამებზე და ვუყურებდით გაფხორილი დედლის მოკალათებას. ნეტავ როგორ არიან კვერცხები, ვფიქრობდი მაშინ და ველოდი, როდის გავბედავდი საბუდარში ხელის ჩაყოფას. ბებია სანამ მყავდა, ჩანისკარტების არ მეშინოდა. ვეხვეოდი მის გამხდარ მუხლებს, ლოყას ვადებდი ქვასანაყისსუნიან კალთას და ხელით მივიწევდი ჩემი ამოუცნობი საიდუმლოსაკენ. შევყოფდი ხელს ბუმბულის ქვეშ და ვგრძნობდი მფეთქავი სითბოს დინებას ზევიდან ქვევით, კრუხიდან კვერცხისაკენ, რომელიც შეცურებულ პატარა მტევანს უმალ პულსგამტარ სახსრად აქცევდა. მერე ჩემი გულის ცემაც მიჰქონდა მხარ-იდაყვ-მაჯის გავლით და მე ვხვდებოდი, რატომ უწოდეს მტევნის მუცელს ხელის გული.

- რაო, ბებია, შენ გენაცვალე, - თავზე მადებდა ბებიაჩემი თავის მარჯვენას და მე ვგრძნობდი, როგორ თბებოდნენ წიწილები კვერცხის გულში.

- წიწილა ვარ, ბები! - ავხედავდი ჩემს "კრუხს" და ვიყავით ასე ჩაგულებულები მე, ბებია და ჩვენი მოკრუხებული სამყარო.

მერე, როცა გავიზარდე და ერთბაშად დავობლდი კრუხით, ბებიაჩემით და იმ სამყაროთი, მიწამდე დავღონდი. თანდათან მოვიბუზე და მეშვიდე მალასთან კისერიც მომეღრიცა. იმ მიწათჩაშტერების პერიოდიდან ტალახიანი ფეხსაცმელებით გათელილი საკუთარი ჩრდილის მეტი არაფერი დამამახსოვრდა.

აპრილის ერთ მშვენიერ დილას ეს საუკუნოვანი მოგრეხილობა ძალიან მეტკინა. მიზეზი საკუთარი ცხვირი იყო. იმ დროისათვის წელის არეში უკვე 30 გრადუსიანი კუთხით ვიყავი მომახვილებული და ახლომხედველისთვის იდეალური დისტანციიდან ვაკვირდებოდი ლანჩებისგან დამფრთხალი ჩრდილის ტანჯვას. საცოდავი ზუსტად იმეორებდა უსწორმასწორო რელიეფის სიმახინჯეს – ორმოს სიბნელეშიც ვარდებოდა, მტვრიან ქვებზეც იბრიცებოდა და მყრალ ფუნაზეც მიხოხავდა. ერთადერთი სიწმინდე ხასხასა მწვანე ბალახი იყო, რომელიც მიწასაც აშორებდა და სუფთადაც მიატარებდა, მაგრამ, ციხე შიგნიდან ტყდებაო, და ამ ამაღლებულ ჩრდილს წვეტიანი გრძელი ცხვირით ვჩხვლეტდი. განსაკუთრებით აუტანელი სანახავი იყო, ზედ რომ ვაცემინებდი და გასაბერტყი ფარდაგივით ვარხევდი. ბალახი მილიტინებდა და რა მექნა?

ისღა დამრჩენოდა, ცოტა კიდევ მოვხრილიყავი და სირაქლემასავით ჩამერგო თავი მიწაში, რომ წამება დამთავრებულიყო, მაგრამ ერთმა პატარა გუბურამ ყველაფერი შეცვალა. გვერდი კი ავუარე, მაგრამ ჩემი დაბეჩავებული თანამდევი შავი გროვა ზედ ისე გედივით გასრიალდა, წყლის პირას კიდევ რამდენჯერმე გავიარ-გამოვიარე. კუპრივით ჩრდილი სულ ოქროსფრად ალივლივდა. მივედი, დავიჩოქე და გუბეში ხელი ჩავყავი. მესიამოვნა, თბილი იყო. მერე ამ პატარა ოაზისში მზეც დავინახე, თეთრი ღრუბლებიც და მივხვდი, რომ ის, რაც ბავშვობაში დავკარგე, ვიღაცას ჩემს თავზე დაეკიდებინა. გავიშალე, მაღლა ავიხედე. კრუხი - მზე ღრუბლებზე იჯდა, როგორც კვერცხებზე, და ათბობდა.

ეს იყო მზის ნამდვილი საბუდარი და გადავწყვიტე, სახლში შემეტანა. ავდექი და ბალიშების გამომზეურება დავიწყე. ჩავაბუდებდი შიგ მზეს, დავადებდი ზედ თავს და დილამდე ვიყავი ჩემს ბუდეში. ასე თითქმის ყველაფერი დავიბრუნე, საბუდარიც მქონდა, წიწილაც ვიყავი და მზეც მათბობდა, მაგრამ... ბებიაჩემი?

ჰოდა ახლა იმას ვეძებ, ვინც მზეს აჯენს ზეცაზე.

*ეძღვნება ბუსოს*



*გურამ თიკანაძის ფოტო*

# უწყინარი სტატისტიკა მძიმე რეალობის ფონზე

*ოფიციალური მონაცემების მიხედვით, უმუშევრობის სტატისტიკა უწყინარია: დღეისათვის საქართველოში 49 ათასი უმუშევარია. ეს მონაცემები რეალობისგან ძალზე შორს დგას.*

ვერიკო თევზაძე
მაკა ჭაიანი

ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს. საქმე ის გახლავთ, რომ თვითდასაქმებული ადამიანები უმუშევრებად არ ითვლებიან. არადა, სოფლის მოსახლეობის 80 პროცენტი თვითდასაქმებულია, ქალაქში ეს მონაცემი საგრძნობლად მცირდება და თვითდასაქმებულთა რიცხვი 30 პროცენტს უტოლდება. რაც მთავარია, უმუშევრები ოფიციალურად არ რეგისტრირდებიან. ამას მოსახლეობის ნიჰილიზმიც განაპირობებს. ხალხს არ სჯერა, რომ ამ ქვეყანაში რომელიმე უწყებაში მისვლა და იქ რეგისტრაციის გავლა მის მდგომარეობას რითიმე შეცვლის. თანაც, მოსახლეობის უმეტესობა ამის თაობაზე ინფორმირებული არ არის. ჩვენს მიერ გამოკითხულ უმუშევარ რესპონდენტთა 99-მა პროცენტმა არ იცოდა იმ შემწეობის შესახებ, რომელიც მას სახელმწიფოსგან რამდენიმე თვის განმავლობაში უნდა აეღო.

თუ ისევ ოფიციალურ სტატისტიკას დავესესხებით, არც უმუშევრობის ზრდის დინამიკაა კატასტროფული. 2004 წლის მაჩვენებლებით, პირიქით, ზრდა არ შეინიშნება. პირველ კვარტალში უმუშევრობის დონე საქართველოში მკაცრი კრიტერიუმით 13,0 პროცენტს შეადგენდა, ხოლო შერბილებული კრიტერიუმით - 16,4 პროცენტს. მეორე კვარტალში უმუშევრობამ ოდნავ იკლო (მკაცრი კრიტერიუმით - 11,9 პროცენტი, შერბილებული კრიტერიუმით - 14,1 პროცენტი). მესამე კვარტალში, მეორესთან შედარებით, უმუშევრობა გაიზარდა, მაგრამ პირველი კვარტლის მაჩვენებლებს მაინც ვერ გადააჭარბა (მკაცრი კრიტერიუმით – 13,1 , შერბილებული კრიტერიუმით – 15,2). წლევანდელი წლის მონაცემებით, უმუშევართა რიცხვი შარშანდელთან შედარებით, 1,5 პროცენტით გაიზარდა.

გაგრძელება A8 გვერდზე



# პოლიტიკური ყაჩაღობა

## რიწაზე ექსკურსანტებით სავსე ავტობუსის დაყაჩაღებას, შესაძლოა, კრიმინალური კი არა, პოლიტიკური ელფერი ჰქონდეს

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

23 აპრილს, რიწის ტბის მიმდებარე ტერიტორიასთან, რიწა-ავადხარას ტრასაზე სამი ნიღბიანი თავს დაესხა საექსკურსიო ავტობუსს, სადაც 40-მდე ადამიანი იმყოფებოდა. იარაღის მუქარით მათ ავტობუსში მსხდომნი – სოჭიდან გადმოსული ტურისტები გაძარცვეს.

თავდამსხმელთა დასაკავებლად სამართალდამცავთა მოქმედებები მეტ-ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა. ერთ-ერთი თავდამსხმელი ტყის მასივში დააკავეს. ის აღჭურვილი იყო იმავე ცეცხლსასროლი იარაღით, რაც ავტობუსზე თავდასხმისას ჰქონდა. ორი გაქცეული ყაჩაღის ვინაობა სამართალდამცავებისთვის ცნობილია. მილიციას იმედი აქვს, რომ გაქცეულებს მალე მიაგნებს. ამასთან, არაოფიციალურ საუბრებში, სამართალდამცავი ორგანოების ზოგიერთი წარმომადგენელი ვარაუდობს, რომ შესაძლოა, ამ ინციდენტს პოლიტიკური სარჩული ჰქონდეს.

გავრცელებული ინფორმაციით, იარაღზე ჩატარებულმა ექსპერტიზამ ცხადყო, რომ ავტობუსზე თავდამსხმელებმა იგივე იარაღი გამოიყენეს, საიდანაც თავის დროზე აფხაზეთის პრემიერ-მინისტრის ალექსანდრე ანქვაბის ავტომანქანა დაიცხრილა. აღნიშნული ინფორმაცია დაუდასტურებელია, თუმცა აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო, ჯერჯერობით, არ ჩქარობს.

გარდა ამისა, თავად თავდასხმის ფაქტი დიდ გაკვირვებას იწვევს. მსგავსი ტიპის ინციდენტი აფხაზეთში უკანასკნელად 2002 წლის ზაფხულში მოხდა. მას შემდეგ ტურისტებზე შეიარაღებული თავდასხმის არც ერთი ფაქტი არ მომხდარა. საგულისხმოა ისიც, რომ წლევანდელი საკურორტო სეზონი ჯერ დაწყებული არ არის, და ეს ავბედითი რეისი რიწის ტბისკენ, ტურისტების პირველი გასეირნება იყო. ტბასთან ჯერ თოვლიც კი არ არის დამდნარი.

ამდენად, არ შეიძლება გამოვრიცხოთ ვერსია, რომლის თანახმადაც, თავდასხმა აფხაზეთის დღევანდელი ხელისუფლების მოწინააღმდეგეების მიერ იყო ორგანიზებული. კონკრეტულად კი, მათ მიერ, ვისაც განსაკუთრებით არ მოსწონს ახალი ხელისუფლების მცდელობა - მოშალოს აფხაზურ ბიზნეს-გარემოში შექმნილი ინტერესთა ბალანსი.

ამ მხრივ, გამონაკლისს არც ტურისტული ბიზნესი წარმოადგენს, რომელიც მთლიანად წინა ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების კონტროლქვეშაა.

# ზიგზაგები მეგობრობაში

გიორგი ასანიშვილი

**"ორ ქვეყანას შორის მეგობრობა კონკრეტული უნდა იყოს და არა მხოლოდ პროტოკოლური,"** - აცხადებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მისი სომეხი კოლეგა არტურ ბაღდასარიანი. ასეთი სურვილი, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მაგრამ დღეს ის ძნელად განსახორციელებელია. ამის მიზეზი კი ის არის, რომ საქართველოსა და სომხეთის პოლიტიკური ორიენტაცია რადიკალურად განსხვავებულია: თუ ოფიციალური ერევანი რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობასა და სტრატეგიულ პარტნიორობას ანიჭებს უპირატესობას, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ლიბერალურ-დემოკრატიულ დასავლეთთან ინტეგრაციაა.

ალბათ, სწორედ ასეთი განსხვავებული მიზნების გამოა, რომ გუშინდელ პრესკონფერენციაზე ნინო ბურჯანაძეს ხშირად უხდებოდა არტურ ბაღდასარიანის გამონათქვამების დაზუსტება და დაკონკრეტება.


ნინო ბურჯანაძეს ხშირად უხდებოდა სომეხი კოლეგის გამონათქვამების დაზუსტება.
ლევან ხერხეულიძის ფოტო

მაგალითად, ჟურნალისტის კითხვას, უჭერს თუ არა სომხეთის ხელისუფლება მხარს სამცხე-ჯავახეთში მოქმედი ზოგიერთი ორგანიზაციის მოთხოვნას რეგიონისთვის ავტონომიის მინიჭების თაობაზე, არტურ ბაღდასარიანი პირდაპირ არ პასუხობს და მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ **"სამცხე-ჯავახეთში სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა უნდა გაუმჯობესდეს, ამასთან, ადგილობრივი მოსახლეობა არანაირ დისკრიმინაციას არ უნდა განიცდიდეს."**

სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარის ამ გამონათქვამებზე ნინო ბურჯანაძის რეაქცია ასეთია: **"სამცხე-ჯავახეთში თითქმის ისეთივე სოციალ-ეკონომიკური ვითარებაა, როგორიც დანარჩენ საქართველოში, მაგალითად, ქუთაისში ან სვანეთში... ჩვენი ხელისუფლება ცდილობს, ყველა რეგიონი თანაბრად განვითარდეს. განსაკუთრებულ, სასათბურე პირობებს არავის შევუქმნით."**

სომხეთისა და საქართველოს ხელისუფალთა მიდგომების იდეალური თანხვედრა ვერც აფხაზეთის რკინიგზის გახსნის საკითხში ხერხდება. ოფიციალური ერევანი, საკუთარი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, თბილისისგან უკვე დიდი ხანია, ასეთი ნაბიჯის უპირობოდ გადადგმას დაჟინებით მოითხოვს. რკინიგზის გახსნას, მართალია, არც საქართველოს ხელისუფლება ეწინააღმდეგება, ოღონდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარალელურად, აფხაზეთში დევნილთა დაბრუნების პროცესი დაიწყება...

სომხეთის ხელისუფლების გასაგონად, ნინო ბურჯანაძე იმასაც აცხადებს, რომ საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანით, იქ მომუშავე ადამიანებს, რომელთა შორისაც მრავლად არიან სომეხი ეროვნების მოქალაქეები, არანაირი მატერიალური პრობლემები არ შეექმნებათ.

**"ჩვენ მათ შევთავაზებთ ქართულ საჯარისო ნაწილებში სამსახურს, სადაც დღევანდელზე მეტი ანაზღაურება ექნებათ. თუ ამას არ ისურვებენ, შესაძლებელი იქნება მათი ჩაბმა ბიზნეს-პროექტებში, რომლებიც საქართველოს მთავრობაში აქტიურად განიხილება,"** - აცხადებს ნინო ბურჯანაძე და იქვე აზუსტებს, რომ ახალქალაქში ძალზე კარგი პირობებია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების შესაქმნელად.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს მასმედიაში გავრცელებული ერთი სენსაციური ინფორმაციის უარყოფაც მოუხდა. ნინო ბურჯანაძის თქმით, მისთვის უცნობია იმის შესახებ, თითქოს 10 მაისს, აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან ერთად, საქართველოში ირანის პრეზიდენტის ჩამოსვლა და "ნეიტრალურ ტერიტორიაზე" მათი შეხვედრა იგეგმება.

# მეტალურგების საიუბილეო პროტესტი რუსთავში

მაია მოსიაშვილი

27 აპრილს 55 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც რუსთავში პირველი ქართული ფოლადი გამოადნეს. მეტალურგთა ქალაქში ეს თარიღი კომბინატის ტრამვირებული პენსიონერების საპროტესტო აქციებით აღინიშნა. მათ შორის რამდენიმე ათეული მოხუცი პირველი ქართველი მეფოლადე და ქარხნის მემატიანეა. ისინი ქარხნის რეაბილიტაციის მმართველისაგან სააღდგომოდ ოთხთვიანი მიმდინარე დავალიანებიდან ერთი თვის პენსიის გაცემას ითხოვდნენ. შეგახსენებთ, რომ უკვე მეოთხე თვეა 700-მდე პენსიონერისთვის ყოველთვიურად საჭირო 30 ათასი ლარის გადახდაზე უარი თქვეს იტალიელებმა, რომლებიც ჯერ კიდევ ქარხნის ფაქტობრივ მფლობელებად რჩებიან. რუსთავის მერის ინიციატივით, გუშინ ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე კახა დამენია მეტალურგებს შეხვდა და აუწყა, რომ მოძიებულ იქნა მხოლოდ 7 ათასი დოლარი და ყველას კუთვნილი თანხის ნახევარი მიეცემოდა. პენსიონერები თავიდან უარზე იყვნენ, რკინიგზის გადაკეტვით იმუქრებოდნენ, მაგრამ როცა მიხვდნენ, რომ იმ თანხასაც დაკარგავდნენ, დათანხმდნენ.

**"ეს იქნება ბოლო თანხა, რასაც ეს ხალხი მიიღებს მანამდე, სანამ ქარხანას ახალი მფლობელი არ გამოუჩნდება. პრივატიზების დროს კი პირველ რიგში სწორედ მუშა-მოსამსახურეებისა და ქარხნის პენსიონერების დავალიანებები იქნება დაფარული,"** - განაცხადა კახა დამენიამ.

**"ჩვენი ტანჯვისთვის და გამწარებისთვის, ღმერთს ვთხოვთ, მაგათი შესაწირავი ყოფილიყოს ყველაფერი, რასაც ჩვენ არ გვაძლევენ..."** - ამბობდნენ მოხუცები, რომლებმაც 55 წლის წინ პირველი ფოლადი გამოადნეს და მოხუცებულობაში საკუთარი პენსიის სამათხოვროდ გაუხდათ საქმე.

# თბილისის ბიუჯეტის ხარვეზები

*გუშინ, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" თბილისის 2005 წლის ბიუჯეტის ანალიზი წარადგინა.*

თამარ დვალი

2საკრებულოს 2004 წლის გადაწყვეტილებების შესაბამისად, თბილისის 2004 წლის და შემდგომი წლების ბიუჯეტის შედგენა მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე ხდება. ექსპერტების თქმით, აქამდე ბიუჯეტში ჩადებული თანხები მხოლოდ პროგრამების დასახელებისა და მის გვერდით მითითებული ერთი ციფრით შემოიფარგლებოდა. მართალია, მიღებულ იქნა უკეთესი გადაწყვეტილება, თუმცა ხარვეზები პროგრამული დაფინანსების პრინციპებზე გადასვლის შემდგომ მაინც არსებობს.

"ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამკვიდრდეს მიზნობრივი პროგრამის და ბიუჯეტის ურთიერთობის ცივილური ფორმა. კერძოდ, მიზნობრივი პროგრამა ბიუჯეტის განუყოფელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს და მასთან ერთად უნდა მტკიცდებოდეს" - ნათქვამია სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის რეკომენდაციაში.

აღნიშნულ პროექტზე მომუშავე სამი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა წერილობითი მიმართვა გაუგზავნა საკრებულოს, სადაც აღნიშნული იყო, რომ თუ ქალაქის მთავრობა მათ რეკომენდაციებს არ შეასრულებდა, მაშინ ისინი სასამართლოს მიმართავდნენ და თბილისის ბიუჯეტის გაუქმებას მოითხოვდნენ.

**"ეს იქნებოდა პრეცედენტი იმისა, თუ როგორ შეიძლება საზოგადოების წარმომადგენელმა თავისივე ინტერესების დასაცავად მიმართოს სასამართლოს და გამოიყენოს თავისი კონსტიტუციური უფლება. ეს უფლება ჩვენ მერიაში მიმდინარე საკადრო ცვლილებებისა და სხვა ობიექტური მიზეზების გამო ამჯერად არ გამოვიყენეთ,"** – განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წევრმა დავით ნარმანიამ.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დავით იოსელიანი ყველა იმ შენიშვნასა და რეკომენდაციას ეთანხმება, რაც გუშინ გამოითქვა.

**"თვენახევრის წინ მთავრობას დავავალეთ, რომ წარმოედგინათ პროგრამა, მაგრამ არაფერი გაკეთებულა. წინა სხდომაზე 2004 წლის ბიუჯეტის მოსმენაც მოვითხოვეთ. იმედია, პირველივე მოსმენაზე მოვისმენთ ამ ანგარიშს, თუმცა ეჭვი მაქვს, რომ ის არ იქნება სრულყოფილი და პროგრამებამდე დასული.**

**მართალია, ბიუჯეტი ასეთი სახით არ უნდა მიგვეღო, მაგრამ ეს კეთილი სურვილით გავაკეთეთ. ჩვენ გვინდოდა, ბიუჯეტი დადგენილ ვადებში მიგვეღო,"** – აღნიშნა იოსელიანმა.

# იუბილეს პლუს ერთი გენერალი

## შესაძლოა, შეიარაღებულ ძალებს დღეს მეორე გენერალიც შეემატოს

ვერიკო თევზაძე

ხვალ ჩვენი შეიარაღებული ძალები დაბადებიდან 14 წლის იუბილეს აღნიშნავს. ამ თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიება 30 აპრილს კრწანისის სასწავლო ცენტრში გაიმართება. არმიის იუბილეს დღეს დაემთხვევა რეკრუტების საზეიმო გამოშვება. საკონტრაქტო სამსახურში გაწვეულმა სამხედროებმა საწყისი საბრძოლო მომზადების ცხრაკვირიანი კურსი დაასრულეს. ხვალ მათ შესაბამის სერთიფიკატებს გადასცემენ.

წინასწარი ინფორმაციით, კრწანისში გამართულ ღონისძიებას დაესწრებიან საქართველოს პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის მინისტრი და შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი. ისინი წარჩინებულ რეკრუტებს სამახსოვრო საჩუქრებს გადასცემენ. რეკრუტებს სხვა საჩუქარიც ელით - ქართული ესტრადის მომღერლები მათთვის კონცერტს გამართავენ.

არმიის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება საღამოს შვიდ საათზე, კრწანისიდან სასტუმრო "მეიდანში" გადაინაცვლებს. "მეიდანში" თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების და სხვა საპატიო სტუმრებისთვის საზეიმო მიღებას გამართავს.

რამდენად ოპტიმალურია დღეს საქართველოს შეიარაღებული ძალების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელი, ანუ ახერხებს თუ არა ჩვენი შეიარაღებული ძალები იმ ამოცანების შესრულებას, რომელსაც მას ამ ეტაპზე თავდაცვის სამინისტრო უყენებს? – "24 საათის" ამ შეკითხვაზე საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ლევან ნიკოლეიშვილი ასე პასუხობს: **"მის წინაშე მდგარ ამოცანებს შეიარაღებული ძალები ორივე თვალსაზრისით აკმაყოფილებს – რაოდენობრივადაც და პროფესიული თვალსაზრისითაც."**

რამდენი გენერალი და ადმირალი ჰყავს ჩვენს შეიარაღებულ ძალებს? - ლევან ნიკოლეიშვილის ინფორმაციით, არც ერთი ადმირალი და ერთი გენერალი – გვარდიის სარდალი, ბრიგადის გენერალი სოსო ქუთათელაძე. **"ჩვენ გვაქვს გენერლის შვიდი თანამდებობა. ამ თანამდებობებზე მყოფთაგან ჯერჯერობით მხოლოდ ერთ პიროვნებას აქვს გენერლის წოდება. დანარჩენი ექვსი - პოლკოვნიკია, მაგრამ ეს არანაირად არ მეტყველებს მათ დაბალ პროფესიონალიზმზე. ხვალ და ზეგ, ალბათ, გენერლების რიცხვი გაიზრდება. გენერლის წოდება ადამიანს დამსახურების მიხედვით უნდა მიენიჭოს,"** - განუცხადა "24 საათს" პოლკოვნიკმა ლევან ნიკოლეიშვილმა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, რომ რამდენიმე საათში ორფოლოს პოლიგონზე, სადაც არტილერისტების წვრთნები საზეიმოდ დაიხურება, ერთ-ერთ პოლკოვნიკს გენერლის წოდება მიანიჭონ. ნიკოლეიშვილი გენერლობის კანდიდატის ვინაობას არ ასახელებს, თუმცა, საკუთარ თავს გამორიცხავს. **"ჯერჯერობით, პოლკოვნიკის სამხრეებშიც მშვენივრად ვგრძნობ თავს,"** - დასძინა ნიკოლეიშვილმა.

ლოგიკის მიხედვით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ გენერალი გახდეს არტილერიის სარდალი, პოლკოვნიკი ჯიმი ზარიძე.

# აუცილებელია კურსის კორექტირება

ბურამ მაღლაკელიძე

ძნელად თუ მოიძებნება ხელისუფლება, რომელიც ოპოზიციის კრიტიკაზე სათანადო რეაგირებას არ მოახდენს. სხვა საკითხია, რა "ენას" და "ტონალობას" ირჩევენ ისინი ურთიერთობის გასარკვევად. თუმცა, რასაც ჩვენ კონსტრუქციულ კრიტიკას და ურთიერთობას ვუწოდებთ, ორივე მხრიდან კეთილ ნებას, გარკვეულ ტაქტს და პოლიტიკური კულტურის დონეს მოითხოვს. სულ სხვაა, როცა სახელისუფლებო წიაღში ჩნდება და ყალიბდება ოპოზიციური აზრი ან ორგანიზაცია. რასაკვირველია, აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ, როგორც ბლოკში შემავალი ცალკეული პარტიების, ისე პოლიტიკური ფიგურების ამბიციები. ხოლო როცა კრიტიკოსთა რიგებს, თანდათანობით, გუშინდელი თანამოაზრეები ავსებენ, პირველ რიგში მხედველობაში მყავს საზოგადოებისათვის ცნობილი ფიგურები, რომლებსაც არც პოლიტიკური ამბიციები ამოძრავებთ და რევოლუციიდან არც თავის წილ "ფეშქაშს" ელიან, ვფიქრობ, ეს უკვე სისტემური დაავადების საშიშროებაზე მიუთითებს, რომელსაც ხელისუფლების მხრიდან გაანალიზება, სწორი დიაგნოზის დასმა და დროული მკურნალობა სჭირდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენთან სახელისუფლებო ვერტიკალში, ფაქტობრივად, მართვის სისტემური ცვლილება მოხდა. მხედველობაში მაქვს ის, რომ ბატონი ზურაბ ჟვანია "რევოლუციური ტრიუმვირატის" რიგითი წევრი არ იყო. მოგვწონდა თუ არ მოგვწონდა, ვეთანხმებოდით თუ არ ვეთანხმებოდით, მხარს ვუჭერდით თუ ვებრძოდით, უნდა ვაღიაროთ - მას საკმარისი პოლიტიკური წონა ჰქონდა იმისთვის, რომ დამოუკიდებლად აეღო პასუხისმგებლობა მთავრობის არაპოპულარულ და ზოგჯერ ნაკლებად გამჭვირვალე გადაწყვეტილებებზე, გადაფარებოდა მთავრობის რომელიმე წევრს, აუცილებლობის შემთხვევაში კი, პრეზიდენტისათვის მეხამრიდი ყოფილიყო და ამით მთავრობის დამოუკიდებლობის და ქმედითუნარიანობის შთაბეჭდილება შეექმნა. ეს, რასაკვირველია, საშუალებას აძლევდა ქვეყნის პრეზიდენტს, არბიტრის ფუნქცია შეესრულებინა მთავრობასა და პარლამენტს, მთავრობასა და ოპოზიციას შორის წამოჭრილი დავის შემთხვევაში. ახლა, როცა პრეზიდენტს ასეთივე პოლიტიკურად წონადი ფიგურა გვერდით არ ჰყავს, პასუხისმგებლობა მთავრობის შეცდომებსა და წარუმატებელ ნაბიჯებზე, ფაქტობრივად, მას ეკისრება. მოგახსენებთ, რას ვგულისხმობ.

ხელისუფლებამ სწორი და გაბედული ნაბიჯი გადადგა, როდესაც ენერგეტიკული კრიზისის დასაძლევად დამატებით 170 მილიონი ლარი გამოყო, მაგრამ ვინაა გარანტი იმისა, რომ ამ თანხის ყოველი თეთრი სწორად და გამიზნულად დაიხარჯება და მომავალი ზამთარი ნაკლები პრობლემებით ჩაივლის, ხოლო 2007 წლიდან ოცდაოთხსაათიანი ენერგომომარაგება გვექნება? ენერგეტიკის მინისტრი? - მეც, როგორც საზოგადოების უმეტესობას, ეჭვი მეპარება, რომ მან ეს შეძლოს; პრემიერ-მინისტრი? - ვფიქრობ, არც ის აიღებს სრულ, პერსონალურ პასუხისმგებლობას თავის თავზე; საპარლამენტო უმრავლესობა? - საეჭვოა. ავტომატურად რჩება პრეზიდენტი, რომელსაც არც მოეთხოვება და ვერც მოვთხოვთ ენერგეტიკული პრობლემების დაძლევის კონკრეტული საკითხების ღრმად ცოდნას. ჩვენთან ისე გახშირდა ფორს-მაჟორზე აპელირება, რომ, თუ სოფლის მეურნეობის მინისტრს დროზე არ გაახსენდა, რომ მაის-ივნისში ჩაია მოსაკრეფი, ხოლო სექტემბერ-ოქტომბერში ყურძენი, პასუხისმგებლობა ამაზეც პრეზიდენტს დაეკისრება. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ საქმიანობის ნორმალური დაგეგმარებისა და რიტმის შემთხვევაში მთავრობა მუდმივ ფორს-მაჟორში არ უნდა იმყოფებოდეს, ხოლო თუ პრეზიდენტი მას ამის საშუალებას აძლევს და სათანადოდ არ რეაგირებს, პასუხისმგებლობა სწორედ მას ეკისრება.

ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ პრეზიდენტი კარგავს არბიტრის ფუნქციას და ხშირად თავისივე ინიციატივით იღებს პასუხისმგებლობას ისეთ საკითხებზე, რაც პრემიერის და მთავრობის პრეროგატივაა. მეტიც, არბიტრის ფუნქცია თანდათანობით მთავრობის ადვოკატობაში ტრანსფორმირდება. ეს კი არც უმაღლეს ხელისუფალს წაადგება, არც მთავრობას და არც ქვეყანას.

ამას ემატება საკადრო "შიმშილიც". ადრე ავღნიშნავდი, რომ საკადრო სფეროში არსებული ვითარების რადიკალურად შეცვლა ვერც ორ თვეში მოხერხდება და ვერც ორ წელიწადში, ზედმეტმა წუწუნმა და ვაივიშმა კი, შეიძლება, უკურეაქცია გამოიწვიოს, ამიტომ აუცილებლად მიმაჩნია აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, სამეცნიერო წრეებისა და საზოგადოების დაინტერესებული ნაწილის ერთობლივი მუშაობა, რათა უმოკლეს დროში შეიქმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და ჩამოყალიბდეს კადრების შერჩევის, მომზადების და გადამზადების ერთიანი სისტემა. სამწუხაროა, მაგრამ ამ მიმართულებით დღემდე, ზოგადი დეკლარირების გარდა, თითქმის არაფერი გაკეთებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ უწყებაში შემოღებულ თანამშრომელთა შერჩევის საკონკურსო წესს. შექმნილ ვითარებაში კონკურსების ჩატარებაც წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ არსებითად ის საკადრო პოლიტიკის ერთ-ერთ ელემენტად შეიძლება იქნეს მიჩნეული და არა ჩამოყალიბებული საკადრო სისტემის საფუძვლად.

არ შემიძლია არ გავიზიარო, ბოლო პერიოდში "24 საათში" გამოქვეყნებული მთელი რიგი წერილების პათოსი. რომელ ჭკუათმყოფელს ეპარება ეჭვი იმაში, რომ გახრწნის პროცესში მყოფი ხელისუფლება შესაცვლელი იყო, ხოლო თბილისისა და ბათუმის ურთიერთობის ფორმა და შინაარსი პოლიტიკური მარაზმად აღიქმებოდა. ქვეყნის და საკუთარი ოჯახის მტერი უნდა იყო, რომ არ გიხაროდეს გაზრდილი ბიუჯეტი, დროზე დარიგებული ხელფასები, პენსიები და შემწეობები, იმედის თვალით არ შეჰყურებდე საკუთარი არმიის მშენებლობას და პატრულის პირველ ნაბიჯებს. ეს, რასაკვირველია, ხელისუფლების დამსახურებაა, მაგრამ უშეცდომო ამ ქვეყანაზე მხოლოდ ღმერთია და რაც უფრო მალე მიხვდება ამას დღევანდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ქვეყნისთვისაც და მისთვისაც უკეთესი იქნება.

და ბოლოს, გულწრფელად მინდა 10 მაისს, თავისუფლების მოედანზე, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ერთად, მსოფლიომ იხილოს არა მხოლოდ რევოლუციის ტრიბუნი და ხელმძღვანელი, არამედ ახალგაზრდა, დინჯი და თავის ძალებში დარწმუნებული ლიდერი, რომელიც არა მხოლოდ აღიარებს დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრების აუცილებლობას თავის ქვეყანაში, არამედ საშინაო პოლიტიკური კურსის შესაბამის კორექტივებსაც დასახავს, რათა მისი სამშობლო ევროატლანტიკური პოლიტიკური სივრცის განუყოფელი ნაწილი გახდეს.


## სს "საქართველოს სახალხო ბანკი" აცხადებს აუქციონს

აუქციონზე გასაყიდად გამოიტანა VOLVO S80 T3.0 (Diesel) გამოშვების თარიღი 2000 წელი, ფერი რუხი მუქი .

ავტომანქანის საწყისი ფასი შეადგენს 32 210 (ოცდათორმეტიათას ორას ათი) ლარს.

აუქციონი გაიმართება 2005 წლის 13 მაისს 12:00 საათზე სს "საქართველოს სახალხო ბანკის"-ის სათაო ოფისში, მდებარე ქ. თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ.74, მეორე სართული საკონფერენციო დარბაზში.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 55-55-00, დამატებით 143-146.



## საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

სახაზინო ვალდებულებები 2,000,000 (ორი მილიონი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2005 წლის 2 ნოემბერს, გამოტანილ იქნება N14 აუქციონზე, რომელიც შედგება 2005 წლის 4 მაისს 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2005 წლის 4 მაისის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მომოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ " დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

*აუქციონის კომიტეტი*


*მოკლედ*

### სალომე ზურაბიშვილი დღეს ბრიუსელში ხავიერ სოლანას შეხვდება

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი დღეს ბრიუსელში ევროკავშირის საბჭოს გენერალურ მდივანს ხავიერ სოლანას და საგარეო ურთიერთობათა და სამეზობლო საკითხების ევროკომისარს ბენიტა ფერერო ვალდნერს შეხვდება.

დღესვე, სალომე ზურაბიშვილი ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს სხდომას დაესწრება. დაგეგმილია საქართველოს და ბულგარეთის რესპუბლიკის მთავრობებს შორის ევროატლანტიკური ინტეგრაციის ფარგლებში მემორანდუმის ხელმოწერა.

მსგავს მემორანდუმს ხელი მოეწერება რუმინეთის მხარესთანაც.

სალომე ზურაბიშვილი ბრიუსელში ბულგარეთის დედაქალაქ სოფიიდან ჩავა, სადაც ეუთო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო. **ინტერ-პრესი**

*ორი სიტყვით*

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის "ზარისახოს" სასაზღვრო საგუშაგოზე კვირას გარდაცვლილი ჯარისკაცი ვერტმფრენით თბილისში გადმოასვენეს.

გარდაცვლილის ცხედარს თბილისის სამხედრო ჰოსპიტლის პროზექტურაში ექსპერტიზა უტარდება. ექსპერტიზას საზღვრის დაცვის დეპარტამენტის და გარდაცვლილის ოჯახის წევრების მიერ შერჩეული ექსპერტები ატარებენ.

ბარისახოში საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ბრიგადის გენერალი კორნელი სალია, დეპარტამენტის საგამოძიებო ნაწილის უფროსი დავით გობეჩია, პროკურატურის გამომძიებლები და გარდაცვლილის ოჯახის წევრები იმყოფებოდნენ. შემთხვევის ადგილზე საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა. გარდაცვალების ზუსტი მიზეზები ჯერჯერობით უცნობია. **ინტერ-პრესი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# საქართველოში ტერორისტები არ არიან

ნინო ბოშართელი

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის კონტრტერორიზმის ოფისმა უცხო ქვეყნებში ტერორიზმის საფრთხის შესახებ ყოველწლიური მოხსენება გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობა, 2004 წლის განმავლობაში, საერთაშორისო და შიდა ტერორიზმის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდა.

**"მიუხედავად ამისა, საქართველო მცირე მასშტაბით ტერორისტების მიერ კვლავ გამოიყენება სატრანზიტო სახელმწიფოდ. თუმცა, მთავრობის მიერ 2002 წლის ბოლოს პანკისის ხეობაში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად - ბევრად უფრო ნაკლებად,"** – ხაზგასმულია მოხსენებაში.

როგორც სახელმწიფო დეპარტამენტი მიუთითებს, 2004 წლის სექტემბერში ბესლანში მომხდარი ტერაქტის შემდეგ, წლის ბოლოს, პანკისის ხეობაში განხორციელებულმა გაძლიერებულმა კონტრტერორისტულმა ოპერაციებმა კიდევ უფრო შეასუსტეს ტრანსნაციონალური ტერორისტული ჯგუფების მიერ პანკისის ხეობის სატრანზიტო ზონად გამოყენების შესაძლებლობა.

ამასთან, მოხსენების თანახმად, ქართველი სამართალდამცავების **"შესაძლებლობები შეზღუდულია"**, თუმცა, ამავდროულად, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და დასავლელი დონორების ტექნიკური და ფინანსური დახმარების ხარჯზე მაინც გაუმჯობესებულია.

**"შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მცდელობებს, გაატარონ რეფორმები და გააფართოონ თავიანთი შესაძლებლობები ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით, აფერხებს შესაბამისი რესურსების, აღჭურვილობისა და ტრენინგების ნაკლებობა. რეფორმებისკენ მიმართულ ამ მცდელობებს, რომელსაც თან ერთვის კადრების ხშირი ცვლა, არეულობა შემოაქვს და აფერხებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას. გრძელდება სასაზღვრო და საბაჟო რეფორმა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საზღვაო, საჰაერო და საკომუნიკაციო შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა,"** - ნათქვამია მოხსენებაში და იქვე მითითებულია, რომ აშშ და დასავლეთის სხვა ქვეყნები ქართულ მხარეს ტერორიზმთან ბრძოლაში საჭირო დახმარებას უწევენ.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნულ განცხადებას მალევე გამოეხმაურნენ. პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ მოხსენებაში საქართველოსთან დაკავშირებით საგანგაშო არაფერია.

მისი თქმით, განცხადებაში დაფიქსირებულია სწორედ ის სერიოზული პროგრესი, რომელსაც საქართველომ ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით მიაღწია.

**"მე გავეცანი ამ მოხსენებას. მასში საგანგაშო არაფერია. ის ფაქტი, რომ ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება არსებობდეს ხვრელი, რომლითაც ტერორისტები ისარგებლებენ, აშშ-ში 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენებით და სხვა ქვეყნებში მომხდარი ტერორისტული აქტებითაც დასტურდება,"** - განუცხადა გუშინ ნინო ბურჯანაძემ ჟურნალისტებს.

მან ქართულ მედიას მოუწოდა, სწორად შეაფასოს ამერიკის დეპარტამენტის მიერ გაკეთებული განცხადება, სადაც ხაზგასმულია, რომ საქართველოში ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით ვითარება გამოსწორდა. **" საზღვარი რომ დაცული უნდა იყოს და საქართველოს ხელისუფლების მხრიდან საზღვრის დაცვას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, ამაზე არავინ დავობს,"** - აღნიშნა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ.

საზღვრის დაცვის სიძლიერეზე საუბრობს პარლამენტის უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე. მისი აზრით, სწორედ ამ მოხსენებაში აღნიშნულია მთავარი არსი იმისა, რომ აუცილებელია საქართველო-რუსეთის საზღვრის მონიტორინგის მისიის აღდგენა და გაძლიერება. **"ჩვენ შეგვიძლია დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ საქართველოს სატრანზიტო ტერიტორიად გამოყენების არც ერთი შემთხვევა არ გვქონია, მაგრამ, როგორც ჩანს, მხოლოდ საქართველოს სასაზღვრო უწყებებისადმი ნდობა საკმარისი არ არის,"** – განაცხადა "24 საათთან" საუბრისას თარგამაძემ.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაზე კომენტარი გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმაც გააკეთა და ქვეყნის ტერიტორიაზე ტერორისტების არსებობა კატეგორიულად გამორიცხა.

**"საქართველოში ტერორისტები არ არიან და არც იქნებიან. ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ მე პრეზიდენტი ვარ,"** – თქვა მიხეილ სააკაშვილმა.

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღა" თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4
მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ელჩი „მწვანე ტალღის" მსმენელთან
ყოველ ხუთშაბათს გადაცემა „ამბადასორი" 11-იდან 12 საათამდე



### მისი აღმატებულება ბულგარეთის ელჩი საქართველოში ბატონი ივაილო ბრაჟისკოვი

წამყვანები: ქეთევან კორძახია,გაგა გოზრონიძე
სტუმარი: ბატონი ივაილო ბრაჟისკოვი,ბულგარეთის ელჩი საქართველოში

ივაილო ბრაჟისკოვი: ჩემი დიპლომატიური კარიერა საქართველოში დაიწყო,როდესაც თბილისში 2003 წელს ბულგარეთის საელჩო გაიხსნა. თუმცა საქართველოში ადრეც ვყოფილვარ. მეტიც,ჩემს მეუღლესთან ჯვარი სწორედ თბილისში,მცხეთაში, დავიწერეთ.
მაშინ,როდესაც ბულგარეთმა ნატოში გაწევრიანების სურვილი განაცხადა, ბევრმა ეს ფანტაზიის სფეროს მიაკუთვნა. ამავე დროს, ნატოში გაწევრიანება მაინცდამაინც არ ნიშნავს ამერიკის სამხედრო ბაზების ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებას.

# მითის უკვდავება

## პანკისის ხეობა კვლავ ამოტივტივდა

*შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა 2004 წლის ანგარიში ტერორიზმზე. ამ ვრცელ ანგარიშში საქართველოც არის ნახსენები. კერძოდ, ნათქვამია, რომ "საქართველო შეზღუდულად, მაგრამ კვლავაც გამოიყენება ტერორსიტთა სატრანზიტო ქვეყნად, თუმცა, ბევრად ნაკლებად - 2002 წლის შემდეგ, როცა ხელისუფლებამ პანკისში სათანადო ზომები გაატარა". უარესს ამტკიცებს სტრატეგიული კვლევების ამერიკული კერძო კომპანია "სტეტფორი", რომელიც პანკისის ხეობას კვლავ "ბოევიკთა სამოთხეს უწოდებს."*

კობა ლიკლიკაძე
სპეციალურად „24 საათისთვის"

"პანკისის თემას", როგორც ჩანს, მინავლება არ უწერია. "სტრეტფორის" საიტზე აპრილის დასაწყისში გამოქვეყნებულ ანალიტიკურ მასალაში, ნათქვამია, რომ პანკისის ხეობაში არსებობს ტერორისტთა მოსამზადებელი ცენტრები, რომელიც, ინსპექტირების მიზნით, 2004 წლის გვიან გაზაფხულზე, ალ-ქაიდას ტერორისტული ორგანიზაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელს აიმან ზავაჰირსაც მოუნახულებია. **"ვაშინგტონი კი ცდილობს, არ გაახმაუროს ასეთი ფაქტები, რათა პრობლემა არ შეუქმნას საქართველოს - მის ერთგულ მოკავშირეს,"** – ასკვნის "სტრეტფორის" ინტერნეტ გამოცემა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორს შოთა უტიაშვილს, ამერიკული კვლევითი კომპანიის ასეთი უაპელაციო შეფასება ხუმრობის ხასიათზე აყენებს: **"საქართველოში ხუმრობენ, რომ პანკისის ხეობა დღეს არის ყველაზე უსაფრთხო ადგილი საქართველოში, უფრო უსაფრთხო, ვიდრე თბილისი, რადგან ეს ხეობა არის შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული პატრონობისა და ყურადღების ქვეშ. ფაქტობრივად, ყველა ხე და ბუჩქი შესწავლილია და, თუ სადმე მიწის ქვეშ არის ეს ბაზები, არ ვიცი."**

ზემოხსენებული "სტრეტფორის" მომსახურებით არაერთი ქვეყნის სპეცსამსახური სარგებლობს. "სტრეტფორის" გამოცემა ამტკიცებს, რომ შეერთებული შტატების მთავრობამ **"საქართველოს ხელისუფლებას უკარნახა იდეა, მოახდინოს პანკისის ხეობიდან თანამგრძნობი ჩეჩენი დევნილებისა და ქისტების გასახლება-გადანაწილება საქართველოს სხვა კუთხეში, რათა ამით საყრდენი გამოაცალოს საერთაშორისო ტერორიზმს".**

"სტრეტფორი" - გლობალური შეფასებებისა და პროგნოზირების კერძო კომპანია, ტეხასში მდებარეობს და, კერძო კომპანიის კვალობაზე, ერთობ გასაიდუმლოებულ ორგანიზაციას წარმოადგენს. კომპანიის საიტზე არ არის მითითებული რედაქციის მისამართი და საკონტაქტო ნომრები. შესაბამისად, ძალიან ძნელი აღმოჩნდა "სტრეტფორის" ანალიტიკოსებთან დაკავშირება.

"სტრეტფორის" საიტზე გამოქვეყნებულ ანალიტიკურ მასალაში ამ ცნობების ობიექტურობში ეჭვი არა მხოლოდ ქართველ ექსპერტებს შეაქვთ. ნიქსონის ცენტრის საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ენერგეტიკული პროგრამების დირექტორი ზეინო ბარანი მიიჩნევს, რომ სტატიაში გამოქვეყნებულ მასალას საერთო არაფერი აქვს სინამდვილესთან და იმასაც დასძენს, რომ ბევრი ამერიკელი მიმომხილველი დასკვნებს ზოგჯერ მოძველებული ინფორმაციის საფუძველზე აკეთებს: **"წარმოდგენა არა მაქვს, საიდან მოიტანეს ასეთი ინფორმაცია. ხშირად უცხოელი ანალიტიკოსები ქართველი თუ სხვა ექსპერტების ადრინდელ შეფასებებს ეყრდნობიან. აღნიშნულ სტატიაში არაფერია ისეთი, რაც შეერთებული შტატების ან საქართველოს მთავრობის შეშფოთებას უნდა იწვევდეს. მე ძალიან გამაოცა ამ სტატიამ და არა მგონია, რომ მასში მოტანილი ცნობები სწორი იყოს."**

ზეინო ბარანი ურჩევს საქართველოს ხელისუფლებას, უფრო სხვა სახის გამოწვევებზე გადაიტანოს ყურადღება და აფრთხილებს, რომ შიდა პოლიტიკაში სწორი აქცენტების გარეშე ქვეყანა, შესაძლოა, კრიზისის წინაშე აღმოჩნდეს: **"პრიორიტეტი უნდა იყოს ეკონომიკის განვითარება, რასაც, სამწუხაროდ, აფერხებს ქვეყანაში არსებული ბევრი მწვავე პრობლემა. ეკონომიკური განვითარების გარეშე, ხელისუფლების ავტორიტეტი დაეცემა, ხალხს იმედი გაუცრუვდება და ხელიდან გაშვებული აღმოჩნდება მომენტი, რაც "ვარდების რევოლუციამ" წარმოშვა,"** - მიიჩნევს ზეინო ბარანი.

"სტრეტფორის" სტატიის მიმართ გადაჭარბებული ყურადღება შესაძლოა არც ღირდეს. ამაზე ერთი გარემოებაც მიუთითებს: 14 აპრილს, სამართალდამცველებს ალიარებითი ჩვენებით ჩაბარდა მოქალაქე ჩოჩიშვილი, რომელმაც 1 თებერვალს გორში მომხდარი ტერაქტი აღიარა. შეგახსენებთ, რომ მსუბუქ ავტომანქანაში ჩამონტაჟებული, 70-დან 100 კილოგრამამდე ტროტილისა და ჰექსოგენის აფეთქების შედეგად, სამი პოლიციელი დაიღუპა, რამდენიმე კი მძიმედ დაშავდა. "სტრეტფორის" "ანალიტიკურ მასალაში" კი გორის ტერაქტის სავარაუდო შემსრულებლებად ისლამისტი და ჩეჩენი ტერორისტები სახელდებიან.




# Vivat Academia!

*ძველ დროში, როცა საბჭოთა კავშირი დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე იყო გადაშლილი, ჩვენი ქვეყნის მიუვალ სოფელშიც იცოდნენ, რომ ყველაზე მეტი უმაღლესდამთავრებული საქართველოში ცხოვრობდა. ახალ დროში, როდესაც პოლიტიკურ რუკაზე საქართველოს სახით ახალი სახელმწიფო გაჩნდა, არაერთხელ გვამცნეს, რომ ჩვენი დიპლომები ჩვენს ცოდნას აღარ განსაზღვრავს. ძველ დროში უმაღლეს განათლებაზე ფული მხოლოდ საბჭოთა ინტელიგენციის რიგების შესავსებად არ იხარჯებოდა. მაშინ ყველა დასაქმებული უნდა ყოფილიყო, რომ ამდენ "უსაქმურს" მოცალეობის ჟამს დამოუკიდებლად ცხოვრება არ მოენდომებინა. ახალ დროში თავისუფლებაზე ფიქრი დანაშაულად აღარ ითვლება, იძულებით უსაქმურებს კი, თავი დაჩაგრულად რომ არ იგრძნონ, სამუშაო ადგილების სანაცვლოდ მორიგ დაპირებებს სთავაზობენ.*

სოფიო თოდუა

როგორც მოსალოდნელი იყო, ინსტიტუტების გაერთიანება უმტკივნეულოდ არ ჩაივლიდა. ასეც მოხდა: იმ 56 ინსტიტუტიდან, რომლებიც ადრე მეცნიერებათა აკდემიის დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ, გაერთიანებით არავინაა კმაყოფილი. განსხვავება ისაა, რომ ვიღაც უკმაყოფილებას საჯაროდ გამოთქვამს, ვიღაც კი გაჩუმებას ამჯობინებს. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ინსტიტუტებს ასეთ სქემას სთავაზობს: დარჩება მხოლოდ თერთმეტი ინსტიტუტი, რომლებიც, თავის მხრივ, რამდენიმე ცენტრს გააერთიანებენ. კვლავინდებურად იარსებებს პრეზიდიუმი პრეზიდენტის, შემცირებული ვიცეპრეზიდენტებისა და მხოლოდ სამი განყოფილების სახით. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განყოფილებები, რომელთა დაქვემდებარებაშიც იმყოფება თერთმეტივე ინსტიტუტი, შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: მათემატიკურ, ბუნების შემსწავლელ და საინჟინრო მეცნიერებათა განყოფილება; სიცოცხლის შემსაწავლელ მეცნიერებათა და ბიომრავალფეროვნების განყოფილება; ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება. ერთი შეხედვით, ამ სქემაში საგანგაშო არაფერია. მაგრამ ის ფაქტი, რომ ჯერაც გაუერთიანებელი ინსტიტუტები სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულ წინადადებას არ ეთანხმებიან, თავისთავად წარმოქმნის კონფლიქტს როგორც ინსტიტუტებსა და პრეზიდიუმს, ისე სახელმწიფოსა და სამეცნიერო წრეებს შორის.

რას კარგავენ ინსტიტუტები გაერთიანების შემთხვევაში? პირველ რიგში დამოუკიდებლობას. როგორც ინსტიტუტების ხელმძღვანელები ირწმუნებიან, სამეცნიერო დაწესებულებების შერწყმა ამა თუ იმ დარგის განვითარებაზე დადებითად არ აისახება. გაერთიანების შემთხვევაში შეიქმნება ერთი სამეცნიერო საბჭო და ერთი ბუღალტერია, შესაბამისად, ახალი წესების შემოღება გარდაუვალი ხდება. მაგალითად ენათმეცნიერების, ლიტერატურისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ამჟამინდელი ინსტიტუტები ცენტრების სტატუსით ქართული ენისა და ქართველოლოგიურ კვლევათა ინსტიტუტში გაერთიანდებიან. შთამბეჭდავი სახელწოდების მიუხედავად, ყოველი მათგანი ცალ-ცალკე ყოფნას ამჯობინებს. ანალოგიური მდგომარეობაა სხვაგანაც.

რას იგებს სახელმწიფო ინსტიტუტების გაერთიანებით, ამ ეტაპზე, ცოტა არ იყოს, გაუგებარია. ატესტაცია რომ აუცილებელია, ამაზე აღარავინ დაობს. საქმე ისაა, რომ კადრების ოპტიმიზაცია კარს მომდგარი ატესტაციის შედეგად ისედაც გარდაუვალია. ამდენად, განახევრებული ცენტრების რამდენიმე ინსტიტუტში გაერთიანებითა და საერთო ბუღალტერიის შექმნით იმდენი ფული მაინც არ დარჩება, რომელიმე მათგანმა შვებით ამოისუნთქოს და მეცნიერულ კვლევებს საჭირო თანხა მოახმაროს. აქედან გამომდინარე, ჩნდება ეჭვი (და არცთუ უსაფუძვლო), რომ ინსტიტუტების გაერთიანება საბოლოოდ მეცნიერებათა აკადემიის ამ ფორმით გაუქმებას ისახავს მიზნად. რა პრინციპით მოხდება სუბორდინაცია უმაღლეს სასწავლებლებსა და მეცნიერებათა აკადემიას შორის, ამის განსაზღვრა ჯერჯერობით შეუძლებელია. სამწუხაროდ, არც ჩვენი უნივერსიტეტებია იმ დონეზე, რომ არსებული სამეცნიერო ცენტრები თუ კვლევითი ინსტიტუტები საუნივერსიტეტო კათედრებს მიუერთდეს. ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა შეითავსოს ორმოცკაციანმა კათედრამ ასკაციანი ინსტიტუტი.

დღეს არც იმაზე კამათობს ვინმე, რომ მეცნიერის მანტიას ყველა მოირგებს, მაგრამ იმ ხალხის ქუჩაში გაყრა, რომლებიც წლობით ირიცხებიან ამა თუ იმ ინსტიტუტში, თუმცა მეცნიერული კვლევებისთვის ნაკლებად გამოდგებიან, სახელმწიფოს გაცილებით ძვირი დაუჯდება. ამ კონტექსტში, ბუნებრივია, დღის წესრიგში დგება მეცნიერებათა აკადემიის ქონების, უპირველესად კი შენობების საკითხი. საქმე ისაა, რომ მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში მყოფი ინსტიტუტების დიდი ნაწილი ქალაქის ცენტრში მდებარეობს და, შესაბამისად, მათი გაქირავება ინსტიტუტს დამატებით სახსრებს აძლევს. რამდენად კეთილსინდისიერად ხდებოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში ამ თანხების გადანაწილება, ეს ცალკე მსჯელობის საგანია. სახელმწიფოს ხედვა მეცნიერებათა აკადემიის ქონებასთან დაკავშირებით კი ასეთია: გამოთავისუფლებული შენობები თუ აუთვისებელი ნაკვეთები გაიყიდოს და აღებული თანხა მეცნიერების განვითარებას მოხმარდეს. ეს ჯერჯერობით მხოლოდ პროექტია, რეალურად კი არსებობენ ინსტიტუტები, მაგალითად, იგივე ენათმეცნიერების ინსტიტუტი, სადაც შენობების ნაწილის გაქირავებით ამოღებული ეგრეთ წოდებული სპეცსახსრები დირექციას იმის საშუალებას აძლევს, რომ ხანდაზმულ თანამშრომლებს პენსიის ზემოთ გაცილებით მეტი მისცეს, ვიდრე ეს სახელმწიფომ დაუდგინა. ამას ემატება ყველა ის გამოცემა, კონფერენცია თუ ექსპედიცია, რომლის დაფინანსებაზეც სახელმწიფომ ბოლო წლებში ხელი აიღო.

მედალს ყოველთვის ორი მხარე აქვს. ჩვენს შემთხვევაში ლაპარაკი გვიხდება, ერთი მხრივ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროზე, მეორე მხრივ კი 56 ინსტიტუტზე, განსხვავებული პრობლემებითა და ამ პრობლემების დაძლევის სხვადასხვა რეცეპტებით. შენობების გაქირავებაში ცუდი არაფერია, მით უფრო, თუ შემოსული თანხა ისევ ინსტიტუტს ხმარდება. მაგრამ რა ვუყოთ იმ ინსტიტუტებს, რომლებიც ქალაქის ცენტრში არ მდებარეობენ და იქით რომ გადაუხადონ, მაინც ვერავის შეიტყუებენ? ალბათ უხერხულია იმაზე ლაპარაკი, ბიოლოგია უფრო საჭიროა ქვეყნისთვის თუ ისტორია, ან რა უფრო მეტ სარგებელს მოგვიტანს - ზებუს ძროხასთან შეჯვარება თუ იმის დადგენა, ენათა რომელ ოჯახს მიეკუთვნება ქართული ენა. საკითხავი უფრო ის უნდა იყოს, რამდენად უმტკივნეულოდ ჩატარდება რეფორმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებულ სტრუქტურებში და რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელებს სახელმწიფო ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის შესანარჩუნებლად.

ამ ფონზე, ცოტა არ იყოს, გაუგებარია მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სტატუსი. მას შემდეგ, რაც განათლების სამინისტროს ფუნქციები გაეზარდა და მეცნიერებაც მის დაქვემდებარებაში გადავიდა, მეცნიერებათა აკადემია დამოუკიდებლად ვეღარ იარსებებს. გამოდის, რომ დღევანდელი პრეზიდიუმი შუამავალი რგოლია სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში სამინისტროს) და ინსტიტუტებს შორის. არადა, ინსტიტუტებში აცხადებენ, რომ მათ სახელმწიფოსთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად პრეზიდიუმი სულაც არ სჭირდებათ. ამგვარი მსჯელობა ლოგიკას მიკლებული არ არის, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ პრეზიდიუმის გაუქმების შემთვევაში ანალოგიური სტრუქტურა უკვე სამინისტროში შეიქმნება. ვერც ერთი მინისტრი თუ მინისტრის მოადგილე ერთდროულად ვერ მართავს სხვადასხვა პროფილის თერთმეტ ინსტიტუტს (თავ-თავიანთი ცენტრებით), ასეთი სტრუქტურის შექმნა კი ჩვენი მდგომარეობიდან გამომდინარე ფუფუნებაა. ცნობისათვის, მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებების ხელმძღვანელები (სხვათა შორის, სახელოვანი აკადემიკოსები) გაცილებით ნაკლებს იღებენ, ვიდრე მინისტრი, მინისტრის მიადგილე თუ დეპარტამენტის უფროსი. ასე რომ, თუ მეცნიერებათა აკადემიას ამ სახით არსებობა უწერია, შუამავალი რგოლი, - სულ ერთია, ვის დაექვემდებარება ის და რა დაერქმევა, - მაინც იარსებებს.

რაც შეხება ენათმეცნიერების ინსტიტუტს, აქ მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ამ ინსტიტუტს წმინდა მეცნიერული კვლევის გარდა პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნია. სამწუხაროდ, პოპულისტური პუბლიკაციები, რაც ბოლო დროს ქართულ პრესაში ამ ინსტიტუტთან დაკავშირებით გაჩნდა, საქმეში ჩაუხედავ კაცს სულ სხვა დასკვნების გამოტანისკენ უბიძგებს. ვერანაირად ვერ დავეთანხმები დიტო გივის ძე ჩუბინიძეს (სტილი დაცულია - ს.თ.), რომ "სანტექნიკი" კახა ლომაია აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას მეორედ კლავს." ("ასავალ-დასავალი", 25-1 მაისი). ჯერ ერთი, ბატონი არნოლდი არავის მოუკლავს - იგი 87 წლის ასაკში აღესრულა. მეორეც, ასევე არ მგონია, რომ განათლების სამინისტროში ჩიქობავას სახელი არავის გაუგონია. ეჰ, ჩემო დიტო, იყო დრო, განათლების მინისტრებად მხოლოდ ლინგვისტები ინიშნებოდნენ (კოტე გაბაშვილი, გუჩა კვარაცხელია, თამაზ კვაჭანტირაძე, ალექსანდრე კარტოზია). მაგრამ ისიც უნდა გითხრა, რომ დღესაც ბევრი ენათმეცნიერი (სხვათა შორის, კარგი ენათმეცნიერი) ნაყოფიერად თანამშრომლობს განათლების სამინისტროსთან და იმედია, უზნაძის ქუჩაზე ერთხელ მაინც წამოსცდებოდა ვინმეს ჩიქობავას სახელი. მაგრამ იმაში კი მართალია დიტო გივის ძე ჩუბინიძე, რომ ქართული ენის მოვლა-პატრონობას სახელმწიფო განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ეკიდებოდეს. ჩვენთან კი რა ხდება? პრლამენტს ქართული ენა მხოლოდ 14 აპრილს ახსენდება, თხუთმეტში კი ეს თემა დავიწყებას ეძლევა. ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ სახელმწიფო ენის კანონის მიღებას საშველი ვერა და ვერ დააყენა. სამაგიეროდ, ერთი ხელის მოსმით გაუქმდა სახელმწიფო ენის პალატა და ღმერთმა უწყის, რა სახით აღდგება ეს მეტად საჭირო სტრუქტურა (საერთოდაც თუ აღდგება). ამ ფონზე ცოტა ნაჩქარევი ხომ არ არის, დამოუკიდებლობა შეუზღუდო იმ ინსტიტუტს, რომელიც, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, წელიწადში რამდენიმე სამაგიდო ლექსიკონს გამოსცემს? დღეს თუ ხვალ კომპიუტერი ქართულადაც "ალაპარაკდება" და ესეც, სხვათა შორის, პირდაპირ თუ ირიბად ამ ინსტიტუტის დამსახურებაა. ისიც უნდა ითქვას, რომ ქართულ ენას, სხვა ქვეყნებში არსებული ქართველოლოგიური ცენტრების მიუხედავად, კომპლექსურად მხოლოდ აქ იკვლევენ. მეტიც, სწორედ არნოლდ ჩიქობავას და მისი არანაკლებ ცნობილი მოსწავლეების ძალისხმევით ენათმეცნიერების ინსტიტუტში არა ერთი და ორი ჩრდილოკავკასიელი მეცნიერი დაკვალიანდა. საითკენაც არ უნდა გადაიხაროს საქართველოს პოლიტიკური ვექტორი, ჩვენ და ჩრდილოკავკასიელებს გვერდი გვერდ ყოფნა გვიწერია. ამდენად, იბერიულ-კავკასიური სკოლის იგნორირება, თუნდაც საპირისპირო მოსაზრება გაგვაჩნდეს, მიზანშეწონილი არ უნდა იყოს. არ მინდა დამავიწყდეს, რომ აფხაზეთის ომის დროს ქართველი ჯარისკაცების თავებით დაქირავებული ქილერები ფეხბურთს თამაშობდნენ. მაგრამ ამაზე მეტად იმის დავიწყება არ მსურს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის დანგრეული და მიწასთან გასწორებული სახლების კედლებს დღემდე შემორჩათ არნოლდ ჩიქობავას ფოტოები. საერთო კონტექსტში მხოლოდ ერთი ინსტიტუტის გამოყოფა იქნებ უხერხულიც იყოს, მაგრამ ისეთ პოლიეთნიკურ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, გონიერმა ხელისუფლებამ მშობლიურ ენაზე ზრუნვა პრიორიტეტად უნდა დასახოს. ასე რომ, ატესტაციის გავლა არა მარტო ქართველ მეცნიერებს, არამედ საქართველოს ხელისუფლებასაც მიუწევს.

## ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური

### აცხადებს კონკურსს დედაქალაქში ფესტივალების მოწყობის მსურველთათვის

კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს

■ დედაქალაქში ტრადიციად ქცეული და ახალი ფესტივალების განხორციელებას ხელოვნების ნებისმიერ სფეროში;

■ საერთაშორისო კავშირების დამყარებას და განვითარებას;

■ ახალგაზრდა ნიჭიერი ხelოვანების წარმოჩინებას და წახალისებას;

■ სამოქალაქო საზოგადოების ჩართვას დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაში

კონსულტაციების, დამატებითი ინფორმაციების და საკონკურსო განაცხადის ფორმების მისაღებად დაგვიკავშირდით 12:00-დან 17:00-მდე შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქ. №2
ტელ: 95-73-15; 95-98-80; 95-83-31
http//www.tbilisicorps.ge
E-mail: education-culturetb@yahoo.com

განცხადების მიღების ბოლო ვადაა ამა წლის 13 მაისი.

# ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს, მის აღმატებულებას, ბატონ მიხეილ სააკაშვილს

საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო
PUBLIC MOVEMENT MULTINATIONAL GEORGIA
37 Rustaveli Ave., 5th entr., 2nd floor, Tbilisi
თბილისი, რუსთაველის გამზ. 37, მე-5 სად. მე-2 სართ.
Tel/Fax: (995 32) 99 87 90 Tel: (995 32) 99 52 28
e-mail: pmmg@caucasus.net,mmg_a@yahoo.com

№ 1-01/368 "20" 04 2005

**თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო!**

ისტორია სახელმწიფოებს სხვადასხვა ეპოქაში საკუთარი თავის ძიებისა და დამკვიდრების შანსს აძლევს, რომლის გამოყენება, ზოგადად მსოფლიოში არსებული ტენდენციების გარდა, ამა თუ იმ სახელმწიფოს საზოგადოების განვითარების დონეზე და ხელისუფლების მზაობის ხარისხზეა დამოკიდებული.

ერთი წლის წინ საქართველოში მომხდარი გლობალური ცვლილებები მთელმა საზოგადოებამ ქვეყნის განვითარებაში სწორედ ამგვარი ახალი ეტაპის დასაწყისად აღიქვა, ეტაპისა, რომელმაც საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყნიდან თანამედროვე, განვითარებულ, ევროპულ ქვეყნად უნდა აქციოს. ასეთ ქვეყანას კი ვერ ააშენებს დაქსაქსული, ერთმანეთის მიმართ უნდობლობით გამსჭვალული საზოგადოება.

ბატონო პრეზიდენტო, თქვენ არაერთხელ აღგინიშნავთ, რომ ვარდების რევოლუცია სრულიად საქართველოს ხალხის გამარჯვება იყო, რომლითაც საზოგადოებამ საკუთარი, კონსტიტუციით აღიარებული, უფლებები და ღირსება დაიცვა და ახლადარჩეულ ხელისუფლებას სწორედ ამ უფლებების დაცვა დააკისრა. გასაგებია, რომ ერთი წელი ვერ იქნებოდა საკმარისი ახალი ხელისუფლების წინაშე მდგარი არაერთი პრობლემის გადასაჭრელად, მაგრამ იმ საკითხთა რიგში, რომელიც პრეზიდენტობის განვლილ პერიოდში თქვენი და, მთლიანად, საქართველოს ხელისუფლების ყურადღების ცენტრში მოექცა, პრაქტიკულ განზომილებაში კვლავ არ ფიგურირებს ერთიანი სამოქალაქო მულტიეთნიკური საზოგადოების ფორმირებისა და ინტეგრაციის საკითხი. სამწუხაროდ, ხელისუფლებას დღემდე არ გააჩნია შესაბამისი სტრატეგია და არ აქვს ჩამოყალიბებული ეროვნებათაშორისი ურთიერთობათა პოლიტიკა. მაშინ, როცა საქართველოს უდგას არა მხოლოდ ტერიტორიის, არამედ საზოგადოების გამთლიანების პრობლემა, ეროვნებათაშორის ურთიერთობათა საკითხებისადმი ხელისუფლების წაყრუება, კიდევ უფრო სათუოს ხდის საზოგადოების ინტეგრაციის პროცესს. მულტიეთნიკურ სახელმწიფოში ეროვნებათაშორისი პოლიტიკის საკითხი, არ შეიძლება მივაკუთვნოთ მეორეხარისხოვან საკითხთა რიგს.

ჩვენი ორგანიზაციის "საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს" ინიციატივით იანვრის ბოლოს ჩატარდა კონფერენცია: "ეთნიკური უმცირესობები ვარდების რევოლუციიდან ერთი წლის შემდეგ". კონფერენციაში მონაწილეობდნენ როგორც საქართველოს ყველა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, ასევე ექსპერტები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კონფერენციაზე გამოთქმული მოსაზრებებისა და შენიშვნების, აგრეთვე, *ევროპის საბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის სამდივნოს* დელეგაცია. გამართული შეხვედრების შედეგად, ჩვენ მოვამზადეთ რეკომენდაციათა პაკეტი, რომელიც, ითვალისწინებს როგორც ხელისუფლების, ასევე საზოგადოების გააქტიურებას ეროვნებათაშორისი ურთიერთობის პოლიტიკის შემუშავების მიზნით. ვფიქრობთ, წარმოდგენილი რეკომენდაციები ხელს შეუწყობს ხელისუფლებას გამოკვეთოს თავისი პოზიცია ეროვნებათაშორისი ურთიერთობის საკითხის მიმართ.

დღეს, როდესაც სახელმწიფოში მიმდინარეობს მასშტაბური რეფორმების პროცესი, მათ შორის, ადმინისტრაციული ორგანოების სტრუქტურული და საკადრო რეორგანიზაციის და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის კუთხით, აუცილებელია, აღნიშნული რეფორმების პარალელურად, ხელისუფლებამ შეიმუშაოს ეროვნებათაშორისი ურთიერთობების, ზოგადად, სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკა. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით, აუცილებელია როგორც ხელისუფლების, ასევე საზოგადოების მხრიდან აქტიური ნაბიჯების გადადგმა. კერძოდ გთავაზობთ ჩვენს მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, რომელიც წერილზე თანდართულია.

ბატონო პრეზიდენტო იმედი გვაქვს, რომ თქვენი პრეზიდენტობის პერიოდის ერთ-ერთი მთავარი მიღწევა საქართველოში ერთიანი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება იქნება. თუმცა, ამ შედეგის მისაღწევად მოქმედების დაწყება დღესვეა საჭირო. ჩვენ მზად ვართ აქტიური თანამშრომლობისთვის. ჯერი თქვენზეა. საქართველოს მრავალეროვანი საზოგადოება თქვენთან დაკავშირებული იმედების გამართლებას ელოდება.

**რეკომენდაციები საქართველოს მულტიეთნიკური საზოგადოების სამოქალაქო ინტეგრაციისათვის**

ბატონო პრეზიდენტო!

1. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ახალმა მოდელმა საზოგადოების შემდგომ ეროზიას კი არ უნდა შეუწყოს ხელი, არამედ, მის გამთლიანებას. იგი უნდა გახდეს ქვეყნის გაერთიანების საფუძველი: მასში არ უნდა ჩაიდოს სეპარატიზმის მაპროვოცირებელი ელემენტები, რაც ეთნიკური კონფლიქტების ახალი ტალღის ინსპირირებას მოახდენს. ამდენად, ამგვარი რეფორმის პროცესში ძალზედ ფაქიზი საკითხია ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების დადგენა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. საფუძველი სახელმწიფოს ახალ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად დაყოფისა უნდა გახდეს ადმინისტრაციული ერთეულების ეკონომიკური პოტენციალი და არა ფსევდოეროვნული მოტივები. ამიტომ, ჩვენ გთავაზობთ, რომ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმის შემუშავების პროცესში აქტიურად ჩაერთონ მსგავს საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და წარმომადგენლები ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებიდან. ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა უნდა გახდეს საზოგადოების მულტიეთნიკური პროფილის გათვალისწინებით აგებული ძლიერი და ერთიანი სახელმწიფოს შენების საფუძველი. ჩვენ ვმუშაობთ, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმის წინადადებების პაკეტზე, რომელიც გაითვალისწინებს თვითმმართველი ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარანტიების სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს. ჩვენ მზად ვართ, ამ მიმართულებით, აქტიური თანამშრომლობისთვის;

2. არანაკლებ აქტუალური საკითხია საარჩევნო სისტემის რეფორმირება. შეიძლება ითქვას, რომ 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების დროს არსებულმა საარჩევნო სისტემამ, საქართველოს რეალობაში, გარკვეულწილად გამოცდას ვერ გაუძლო: არსებული საარჩევნო სისტემის სიხისტემაც მისცა ძველ ხელისუფლებას არჩევნების არადემოკრატიულად ჩატარების საშუალება. ამდენად, დღეს ჩვენ ვდგავართ საარჩევნო სისტემის რეფორმირების აუცილებლობის წინაშე. ახალმა საარჩევნო სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს მრავალპარტიული პარლამენტის ფორმირებას და საზოგადოების სოციალური პროფილის სრულყოფილ წარმოდგენას საკანონმდებლო ორგანოში. პარლამენტში სრულფასოვნად, და არა ფორმალურად, უნდა მოხდეს რეგიონების, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების ინტერესების ასახვა. ახალი საარჩევნო სისტემა უნდა იყოს იმდენად გამჭვირვალე და ლაბილური, რომ დააზღვიოს სახელმწიფო და საზოგადოება მორიგი სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმებისგან. ამიტომ, საარჩევნო სისტემის რეფორმის პროცესი უნდა გასცდეს სახელისუფლო კაბინეტების ფარგლებს და მის შემუშავებაში აქტიურად უნდა ჩაერთონ შესაბამისი სფეროს დამოუკიდებელი ექსპერტები, არასამთავრობოთა წარმომადგენლები, დაინტერესებული მხარეები, ვგულისხმობთ, პოლიტიკურ პარტიებს. ჩვენ შევიმუშავეთ საარჩევნო სისტემის რეფორმირების წინადადებების პაკეტი, რომელიც შეიძლება ერთ-ერთ ალტერნატიულ ვარიანტად იქნას განხილული და უახლოეს მომავალში წარმოვადგენთ მას საჯარო განხილვისთვის.

3. ჩვენ ვეხმაურებით განათლების სამინისტროს ინიციატივას თანამშრომლობის თაობაზე, რომელიც გაჟღერდა ზემოხსენებულ კონფერენციაზე და გთავაზობთ განათლების სამინისტროსთან ეთნიკური უმცირესობების საკონსულტაციო საბჭოს შექმნას, რომელიც განათლების სამინისტროს შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობით მოამზადებს არაქართული სკოლების რეფორმირების პროექტს და შეიმუშავებს სასწავლო პროგრამებს არაქართულენოვანი სკოლებისთვის; მოიძიებს სახელმწიფო ენის სწავლების ოპტიმალურ ფორმებს და აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მათ ხორცშესხმაში;

4. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მივესალმებით თქვენს ინიციატივას ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებისთვის განათლების ლიმიტების დაწესების თაობაზე. მაგრამ, ვფიქრობთ, სასურველია ეს პროცესი განხორციელდეს არასამთავრობო ორგანიზაციების და საზოგადოების წარმომადგენლების მონიტორინგის ქვეშ, რათა ლიმიტების განაწილების პროცესი ხელში არ ჩაუვარდეთ ადგილობრივ კლანებს, რაც მათ გავლენას და კორუფციის მასშტაბებს კიდევ უფრო გაზრდის. ისევე, როგორც ეს ხდებოდა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მსგავსი ლიმიტების გაცემის დამკვიდრებული პრაქტიკის დროს.

5. ვფიქრობთ, ქვეყანაში მიმდინარე მასშტაბური რეფორმების პაკეტი აუცილებლად უნდა მოიცავდეს ერთიანი სამოქალაქო საზოგადოების შენების სტრატეგიასაც, რომელიც დაეფუძნება სახელმწიფოს მულტიეთნიკურ პროფილს. თუკი არსებობს ხელისუფლების სურვილი და ნება, რომ ავაშენოთ დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული, ერთიანი, განვითარებული და ძლიერი სახელმწიფო, ეს ნება აუცილებლად უნდა შეეხოს ეროვნებათაშორის ურთიერთობების პოლიტიკასაც. დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს დროის მოთხოვნაა: ხელისუფლებამ საზოგადოების, მათ შორის, სამეცნიერო და აკადემიური წრეების, შესაბამისი სფეროს ექსპერტებისა და არასამთავრობოთა, ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობით უნდა დაიწყოს მუშაობა ეროვნებათაშორისი ურთიერთობების პოლიტიკის შესამუშავებლად, რომელიც იქნება ერთიანი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების სახელმწიფო სტრატეგიის ნაწილი.

6. ამ პროგრამის ფარგლებში საჭირო იქნება საინფორმაციო პოლიტიკის საბჭოს შექმნა, რომელიც იმუშავებს ეროვნებათაშორისი ტოლერანტობისა და ერთიანი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების სტრატეგიის საინფორმაციო-იდეოლოგიურ კონცეფციაზე და შემდგომ მის განხორციელებაზე. კონცეფცია უნდა დაეფუძნოს იმ თეზას, რომ ხელისუფლების მხრიდან გონივრული და გააზრებული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, მულტიეთნიკური საზოგადოება შანსია და არა - საფრთხე საქართველოს ერთიანი და ძლიერი სახელმწიფოს შენების გზაზე.

7. მიუხედავად იმისა, რომ თქვენი მხრიდან გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით, რისი დასტურიცაა სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობის შემოღება, სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სტრუქტურა, ფაქტობრივად, უმოქმედოა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს განვლილი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც, ხსენებული სტრუქტურიდან ეროვნებათაშორისი ურთიერთობებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით არცერთი რეალური ინიციატივა არ წამოსულა. ამდენად, კვლავ აქტუალურია პრეზიდენტთან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა საკონსულტაციო საბჭოს შექმნის საკითხი, რომელიც შეავსებს არსებულ ვაკუუმს და ხელს შეუწყობს ეროვნებათაშორისი ურთიერთობების პოლიტიკის ფორმირებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესს.

ღრმა პატივისცემით,

საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს თავმჯდომარე - არნოლდ სტეფანიანი, საქართველოს ოსთა ასოციაციის პრეზიდენტი - თენგიზ გაგლოევი, საქართველოს გერმანელთა ასოციაცია "აინუნგის" პრეზიდენტი - გარი აუგსტი, საქართველოს რუს ქალთა ასოციაცია "იაროსლავნას" თავმჯდომარე - ალა ბეჟენცევა, საქართველოს ეთნიკური უმცირესობები ევროპისათვის "პროევროპას" თავმჯდომარე - მუბარის კარაევი, საქართველოს ლიტველთა სათვისტომო "რუტას" თავმჯდომარე - ზინა ქარუხნიშვილი, საქართველოს ქურთეზიდთა ეროვნული კონგრესის ხელმძღვანელი - აგიტ მირზოევი, საქართველოს ასირიელთა საერთაშორისო ეროვნული კონგრესის ვიცეპრეზიდენტი - დავით ადამოვი, საქართველოს ლატვიელთა სათვისტომო A"ავე-სოლ!"-ის თავმჯდომარე - რეგინა იაკობიძე, საქართველოს სომეხ ახალგაზრდათა კავშირის თავმჯდომარე - მიხეილ ავაქიანი, საქართველოს უკრაინელთა ასოციაციის თავმჯდომარე - მიხეილ ბორისი, საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირის თავმჯდომარე - ლეილა სულეიმანოვა, ჟურნალისტთა ასოციაცია მრავალეროვანი საქართველოს თავმჯდომარე - მიხეილ აიდინოვი, საქართველოს ბულგარელთა სათვისტომოს თავმჯდომარე - რაისა ბელევა-ახალკაციშვილი, საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარე - ალექსანდრე ბეჟენცევი, საქართველოს კაზაკთა კავშირის ატამანის მოადგილე - ილონა პოპოვა-კერესელიძე, ქართველ სომეხთა გაერთიანება "ნორ სერუნდის" თანათავმჯდომარე - მარი მიქოიანი, საქართველოს სომეხ ქალთა ასოციაცია "შუშანიკის" თავმჯდომარე - სუსანა ხაჩატრიანი, საქართველოს ბერძენთა ფედერაციის (27 ორგანიზაცია) პრეზიდენტი - კირიაკ იორდანოვი, საქართველოს ბერძენთა სათვისტომოს ახალგაზრდული ფონდის ხელმძღვანელი - ვანო მიტიტანიდი, საქართველოს ესტონელთა საზოგადოების თავმჯდომარე - რეგინა კახიძე, საქართველოს ჩეხთა სათვისტომო "ზლატა პრაღას" თავმჯდომარე - გაროლდ შმალცელი, საქართველოს ქურთ-ეზიდ ქალთა დამოუკიდებელი ლიგის ხელმძღვანელი - ლილი საფაროვა, წმ. დედოფალი იადვიგას სახელობის პოლონური საკვირაო სკოლის აღმასრულებელი დირექტორი - ნუკრი გაბუნია, ქალთა საზოგადოებრივ-საქველმოქმედო ასოციაცია "ერთობის' ხელმძღვანელი - ია ქვათაძე, კავშირი "ქველმოქმედება და სათნოება" ხელმძღვანელი - ვალენტინა ბაზილაკი, საქართველოს სომეხთა კავშირის თბილისის სათვისტომოს თავმჯდომარის მოადგილე - რობერტ არუთუნიანი, ქართველ რეპატრიანტთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე - კლარა ბარათაშვილი, ქურთთა უფლებების საერთაშორისო ფონდის თავმჯდომარე - ქიარიმ ანყოსი, საქართველოს ასირიელთა საერთაშორისო ეროვნული კონგრესის ახლგაზრდული კავშირის თავმჯდომარე - ედგარ ბიტბუნოვი, ქართველ რეპატრიანტთა კავშირი "პატრიას" თავმჯდომარე - მარატ ბარათაშვილი, საქართველოში სამოქალაქო განათლების მულტიეთნიკური რესურსცენტრის ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე - გურანდა ჭავჭავაძე, ახალგაზრდა ჟურნალისტთა ასოციაცია "ახლებური ხედვა" თავმჯდომარე - ალექსანდრა კალატოზიშვილი, საქართველოს ეზიდთა ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარის მოადგილე - დევი ტიტალი, ასოციაცია კომპასი - საქართველოს ახალგაზრდული ინიციატივების ვიცე-პრეზიდენტი - ხათუნა ხალილოვა, საქართველოს ახალგაზრდათა საერთაშორისო ასოციაცია ვიცე-პრეზიდენტი - დიმიტრი ბრეგვაძე-ანდრიანოვი, ასოციაცია "მშვიდობის ახალგაზრდა მშენებლები"

თავმჯდომარე - ვარუჟან ათანესიანი, საქართველოში სამოქალაქო განათლების მულტიეთნიკური რესურსცენტრის საბჭოს წევრი - აზა კუდუხოვა, ეთნოსთაშორისო ინიციატივები სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის თავმჯდომარე (რუსთავი) - ვლადიმერ ჭანტურიძე, კავშირი "გეირათის" (მარნეული) თავმჯდომარე - ალიბალა ასკეროვი, კავშირი "გეირათის" წარმომადგენელი - იზუმრუდ ყურბანოვი, კავშირი შიდა ქართლი - სამოქალაქო ქმედება, თავმჯდომარე - არინა თავაქარაშვილი, კახეთის ასოციაცია "ვეჯინის" თავმჯდომარე - ლაურა ხარიტონაშვილი, ეთნიკავშირთაშორის ინიციატივები დემოკრატიის განვითარებისათვის სამცხე-ჯავახეთის რეგიონში თავმჯდომარე - ლუბა მათევოსიანი, ახალციხის რაიონის სომეხ ქალთა კავშირი თავმჯდომარე - აიდა დარბინიანი, ახალციხის რაიონის სომხური ეროვნული კავშირის გამგეობის წევრი - მანია კარაბეკიანი, რეფორმებისა და დემოკრატიული განვითარების ხელშემწყობი ცენტრის დირექტორი (ახალქალაქი) - არარატ ესოიანი, რეგიონალური სამოქალაქო ინიციატივები სამცხე-ჯავახეთში დემოკრატიის განვითარებისათვის (ახალქალაქი) თავმჯდომარის მოადგილე - ვაგარშაკ შახბეკიანი, რეგიონალური სამოქალაქო ინიციატივები სამცხე-ჯავახეთში დემოკრატიის განვითარებისათვის (ახალქალაქი) - ლევონ ლევონიანი, აჭარის სომეხთა სათვისტომო - არტურ ოგანესიანი, ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი ქვემო ქართლში თავმჯდომარე - ნატიგ ახმედოვი, თანამშრომლობისა და განვითარების ცენტრის პროექტების ხელმძღვანელი - პაატა ზაქარეიშვილი, კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა საერთაშორისი ცენტრის დირექტორი - გიორგი ხუციშვილი, ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი - პაატა გურგენიძე, ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის ხელმძღვანელი - უჩა ნანუაშვილი, ადამიანის რესურსების განვითარების ფონდის ხელმძრვანელი - ნოდარ სარჯველაძე, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის წარმომადგენელი - ემილ ადელხანოვი, სტუდია "რე" - მამუკა ყუფარაძე.

## გაეროს განვითარების ქალთა ფონდის (UNIFEM) რეგიონული პროექტი "ქალები კონფლიქტის პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობისათვის სამხრეთ კავკასიაში"

United Nations Development Fund for Women
UNIFEM

თანამდებობა: **პროექტის ეროვნული კოორდინატორი**
სამუშაო ადგილი: **თბილისი**
სააგენტო: **გაეროს განვითარების ფონდი ქალთათვის (UNIFEM)**
ხელშეკრულების ხანგძლივობა: **1 წელი, გაგრძელების შესაძლებლობით**

**პროექტის შესახებ**

ქალთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე სამშვიდობო პროცესებში და მათი ეკონომიური და სოციალური უსაფრთხოების მისაღწევად, 2001 წელს UNIFEM-მა დაიწყო პროექტი "ქალები კონფლიქტის პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობისათვის სამხრეთ კავკასიაში". პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს მთავრობისა და ქალთა მოძრაობის შესაძლებლობების ზრდას საერთაშორისო ვალდებებულებების - გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ (UN SCR 1325) და კონვენცია ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) - მხარდაჭერისა და მონიტორინგისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამხრეთ კავკასიის რეგიონული ღონისძიებები და კავშირები პროექტის პარტნიორებს შორის მთავრობაში, სამოქალაქო საზოგადოებასა და გაეროს სტრუქტურებში, რაც ხელს შეუწყობს თანამშრომლობას და ურთიერთ-პატივისცემას საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანიდან და მშვიდობის კულტურის განვითარებას.

ქვეყნის მასშტაბით პროექტის საქმიანობის ფორმებია: ქალის ადამიანის უფლებების მონიტორიგისათვის ინსტრუმენტებისა და სტატეგიების განვითარების მხარდაჭერა; აფხაზ, ქართველ და ოს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ლიდერებს შორის სახალხო დიალოგის ინიცირება და მხარდაჭერა; ქალთა როლის ამაღლება პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში; საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, გენდერის, კონფლიქტის პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობის საკითხებზე.

ფუნქციები და პასუხისმგებლობები:

პროექტი მიმდინარეობს მთავარი ტექნიკური მრჩეველის ხელმძღვანელობით UNIFEM-ის სნგ-ს რეგიონული ოფისის პროგრამების ფარგლებში. პროექტის ეროვნული კოორდინატორი პასუხისმგებელია პროექტის შესრულებასა და მართვაზე ეროვნულ დონეზე და კავშირების უზრუნველყოფაზე პროექტის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ინიციატივებთან. კონკრეტულად, პროექტის ეროვნულ კოორდინატორს აქვს შემდეგი პასუხიმგებელობები:

■ ახალი და მიმდინარე ინიციატივების განხორციელება და განვითარების მხარდაჭერა პროექტის პარტნიორებს შორის სამოქალაქო საზოგადოებასა და მთავრობაში, რომლებიც სტრატეგიულად ხელს უწყობს პროექტის მიზნებისა და შედეგებს მიღწევას დამტკიცებული ეროვნული სამუშაო გეგმის შესაბამისად;
■ თანამშრომლობის ჩამოყალიბება და მხარდაჭერა მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებაში, რაც ხელს შეუწყობს ქალის ადამიანის უფლებების მონიტორინგის სტრატეგიებისა და ინსტრუმენტების განვითარებას;
■ ქვეყნის შიგნით ჩამოყალიბებული ქსელის "ქალთა ერთობა მშვიდობისათვის" მუშაობის ხელშეწყობა ქსელის წესდებისა და პროექტის სამუშაო გეგმის შესაბამისად. ქსელის მონაწილეობის მხარდაჭერა "სამხრეთ კავკასიის რეგიონული კოალიცია - ქალები მშვიდობისათვის" რეგიონალურ ინიციატივებში;
■ პროექტის მთავარ ტექნიკურ მრჩეველთან ერთად ქსელური მუშაობის და ერთობლივი თანამშრომლობის ხელშეწყობა აფხაზ, ქართველ და ოს პარტნიორებს შორის სახალხო დიპლომატიისა და მშვიდობის მშენებლობის სფეროებში;
■ UNIFEM-ის სამხრეთ კავკასიის გუნდთან კოორდინაციით ტექნიკური და ლოგისტიკური დახმარების გაწევა რეგიონული ინიციატივებისათვის, რომლებიც ფოკუსირებულია ქალის ადამიანის უფლებებზე, კონფლიქტების პრევენციასა და მშვიდობის მშენებლობაზე;
■ პროექტის ფარგლებში მიმდინარე პროექტების შესრულების მონიტორინგი ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად UNIFEM/UNDP-ის ფინანსური რეგულაციების მიხედვით; საჭიროების შემთხვევაში მათთვის ტექნიკური დახმარების გაწევა;
■ პროექტის პროგრესის მონიტორინგი და შეფასება ეროვნულ დონეზე. ანგარიშების მომზადება და ამასთან დაკავშირებით საჭირო კორესპოდენციის წარმოება პროექტის მთავარი ტექნიკურ მრჩეველის, UNIFEM-ის სათაო ოფისის და დსთ-ს ქვეყნებში UNIFEM-ის რეგიონალური ოფისის მოთხოვნის შესაბამისად;
■ UNIFEM-ის პროექტის სახელით მონაწილეობის მიღება გაეროს სააგენტოთაშორის, ორმხრივ და სამთავრობო შეხვედრებში;
■ მთავრობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და პროექტის პარტნიორებთან ინფორმაციის დროული გაცვლა საჭიროების მიხედვით;
■ პროექტის ფინანსური რესურსების მართვა ეროვნულ დონეზე UNIFEM/UNDP-ის რეგულაციების მიხედვით;
■ საქართველოში მთავარი ტექნიკური მრჩეველის ვიზიტისა და პროექტთან დაკავშირებული სხვა ვიზიტების კოორდინირება;
■ პროექტის ადგილობრივი გუნდის ხელმღვანელობა;
■ პროექტის მთავარ ტექნიკურ მრჩეველთან ერთად პროფესიული მხარდაჭერის გაწევა პროექტის წარმომადგენლისათვის სოხუმში;
■ რეგულარული ანგარიშგება პროექტის მთავარ ტექნიკურ მრჩეველთან პროექტის საქმიანობასა და განვითარებაზე;
■ პროექტის სამუშაო გეგმის მომზადება და განახლება. სამუშაო გეგმის დროული შესრულების უზრუნველყოფა.

ძირითადი უნარები და კვალიფიკაცია:

■ მაგისტრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი სოციალურ მეცნიერებებში;
■ შესაბამის სფეროში 3-დან 5 წლამდე მუშაობის გამოცდილება;
■ საქართველოში და ზოგადად სამხრეთ კავკასიის რეგიონში სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარების ღრმა ცოდნა;
■ გენდერისა და გენდერული განვითარების საფუძვლიანი ცოდნა;
■ თეორიული ცოდნა და გამოცდილება კონფლიქტების მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობის სტრატეგიებსა და მეთოდებში;
■ კვლევის, ანალიტიკური აზროვნების და წერითი უნარები;
■ კომუნიკაციის და პიროვნებათაშორისი ურთიერთობის კარგად განვითარებული უნარი;
■ ქართული, ინგლისური და და რუსული ენების თავისუფლად ფლობა; (ზეპირმეტყველება და წერითი უნარები);
■ მაღალი მოტივაცია სამუშაოს მიმართ, პროექტის ადგილობრივი გუნდის მართვა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარი საერთაშორისო კონსულტანტებსა და UNIFEM-ის ხელმძღვანელობასთან ახლო თანამშრომლობით;
■ ტოლერანტულობა და პატივისცემა სხვადასხვა პოლიტიკური წარსულის თუ ეროვნების პიროვნებებისა და ჯგუფების მიმართ;
■ წარსულში საერთაშორისო ორგანიზაციებში ან სამთავრობო სტრუქტურებში მუშაობის გამოცდილება;
■ კომპიუტერული პროგრამების (Windows, MS Word, MS Excel, Power Point, e-mail, Internet) ცოდნა.

**თუ თქვენ აკმაყოფილებთ ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, გთხოვთ წარმოადგინოთ მოტივაციის წერილი და მოკლე ვტობიოგრაფია (CV) ინგლისურ ენაზე დახურული კონვერტით შემდეგ მისამართზე:**
**გაეროს სახლი, ერისთავის ქ. 9, თბილისი**

**განაცხადის მიღების ბოლო ვადა: ხუთშაბათი, 12 მაისი, 2005 წელი, 18:00.**
**სატელეფონო ზარები არ მიიღება.**

**დამატებითი ინფორმაცია ვაკანსიის შესახებ განთვსებულია საიტებზე:**
**www.jobs.ge და www.assistancegeorgia.org.ge**

## გოდების კედელი და შორიდან მომზირალი „ფარაონი"



*ოთშაბათს ისრაელში ვლადიმირ პუტინის "უპრეცედენტო" ვიზიტი დაიწყო. პირველად ისტორიაში, რუსეთის უმაღლესი ხელისუფალი "აღთქმულ მიწაზე" ჩავიდა. რასაკვირველია, თავად ეს ფაქტი უკვე უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, თუმცა, სავარუდოდ, კრემლის დიდი სურვილის მიუხედავად, რადიკალურ ცვლილებებს ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში არ უნდა ველოდოთ. ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს ვიზიტის არცთუ სასიამოვნო დასაწყისი იძლევა - ჯერ კიდევ შეხვედრამდე არიელ შარონმა უარი თქვა რუსეთის ინიციატივაზე, ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის დარეგულირების თემაზე მოსკოვში ემსჯელათ. ახლოაღმოსავლური ტურნის წინ მიმომხილველები აღნიშნავდნენ, რომ რუსეთი რეგიონში ძველი გავლენის დაბრუნებას ცდილობს, თუმცა, როგორც ჩანს, ჯერჯერობით, წარუმატებლად.*

ნიკა თარაშვილი

იერუსალიმში ჩასვლისას რუსეთის პრეზიდენტმა გოდების კედელი (იუდეველთა ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიწმინდე) მოინახულა - მართალია, მხოლოდ შორიდან. პრეზიდენტის პრესმდივნის ალექსეი გრომოვის თქმით, ისრაელის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ ვერ შეძლებდნენ პუტინის სრული უსაფრთხოების უზრუნველყოფას. თუმცა, რუსული გაზეთი "კომერსანტი" გუშინ საპირისპირო ვერსიას ამტკიცებდა: პუტინმა თავად თქვა უარი გოდების კედელთან ახლოს მისვლაზე – უბრალოდ, კიპას დახურვა არ მოისურვა...

ვლადიმირ პუტინის ვიზიტის ოფიციალური ნაწილი ხუთშაბათს პრეზიდენტ მოშე კაცავთან შეხვედრით დაიწყო. რუსეთის ლიდერმა ისრაელს კოორდინირებული მოქმედებისკენ მოუწოდა ისეთ ბოროტებასთან ბრძოლაში, როგორიცაა ტერორიზმი, ექსტრემიზმი და ეროვნული შეუწყნარებლობა. პუტინის თქმით, 21-ე საუკუნეში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ქსენოფობიას, შოვინიზმსა და რელიგიურ ექსტრემიზმს. თავის მხრივ კაცავმა განაცხადა, რომ ტერორისტულ საფრთხესთან ბრძოლა ორი ქვეყნის წინაშე მდგარი საერთო ამოცანაა. მან ასევე შეახსენა რუს კოლეგას, რომ რუსეთის ხელისუფლება ქვეყანაში ანტისემიტური განწყობილებების ზრდას უნდა ებრძოლოს. ვლადიმირ პუტინმა "ჰოლოკოსტის" მსხვერპლთა ხსოვნის პატივსაცემად ისრაელს საჩუქრად გადასცა მოქანდაკე ზურაბ წერეთლის მიერ შექმნილი სკულპტურული კომპოზიცია, რომელიც ისრაელის პრეზიდენტის რეზიდენციის მთავარ შესასვლელთან დაიდგა.

მიუხედავად ასეთი "კეთილშობილი" ჟესტისა, ისრაელის მხრიდან საყვედურები მაინც გაისმა. ბუნებრივია, ისრაელს აშფოთებს სირიისთვის რუსული სარაკეტო დანადგარების მიყიდვის შესაძლებობა, ისევე, როგორც სიხარულით ვერ აღიქვამს რუსული ჯავშანმანქანების პალესტინისთვის გადაცემას.

ვლადიმირ პუტინი დაძაბული საუბრის განმუხტვას "ხუმრობით" ცდილობდა – რუსეთმა ხომ არ მიყიდა სირიას "ისკანდერის ტიპის რაკეტები (ამ იარაღის მოქმედების სიშორე 300 კილომენტრია) და მხოლოდ "სტრელეცით" შემოიფარგლა. ეს ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა კი ისრაელისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაშია საშიში, "თუ მისი თვითმფრინავები სირიის პრეზიდენტის სასახლის თავზე დაიწყებენ ფრენას," - აცხადებდა პუტინი. ასე რომ, "რუსეთს ვერავინ უსაყვედურებს, რომ ის უპასუხისმგებლოდ იქცევა". პირიქით, - თქვა მან, - "ჩვენი პარტნიორების შეშფოთებას და სურვილებს ვითვალისწინებთ".

"უპრეცედენტო" ვიზიტის ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება, უდავოდ, პუტინის და ისრაელის პრემიერმინისტრის არიელ შარონის შეხვედრა იყო. მართალია, ორი ქვეუნის ლიდერის შეხვედრა დახურულ ფორმატში მიმდინარეობდა და არც ტრადიციული პრეს-კონფერენცია იყო დაგეგმილი, მაგრამ განსახილველ თემებზე თავიდანვე იყო ცნობილი.

ჯერ კიდევ ეგვიპტეში ყოფნისას პუტინის მიერ წამოყენებულ წინადადებას, მოსკოვში ახლოაღმოსავლური კონფლიქტის დარეგულირებისადმი მიძღვნილი კონფერენციის ჩატარების შესახებ, მხოლოდ პალესტინის ხელისუფლებამ დაუჭირა მხარი. ისრაელი კი (ისევე, როგორც აშშ) კრემლის ინიციატივას გულგრილად შეხვდა. როგორც ისრაელის პრემიერის კანცელარიის წარმომადგენელმა ანონიმურობის საფუძველზე განაცხადა, ისრაელს კვლავინდებურად პრინციპული პოზიცია უკავია, რომლის მიხედვით, ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოგვარების პროცესში ნებისმიერი საერთაშორისო ჩარევა მიუღებელია. "ასეთივე წარმატებით ჩვენ შეგვიძლია, რუსეთ-ჩეჩნეთის საკითხზე სამშვიდობო კონფერენციის ჩატარება შევთავაზოთ იერუსალიმში," - განაცხადა მან. ასე რომ, დახურული შეხვედრისგან სერიოზული შედეგის მოლოდინი გულუბრყვილობა იქნებოდა.

ისრაელის საყვედურების მიუხედავად, რუსეთი გააგრძელებს სირიისთვის ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტების მიწოდებას, ისევე როგორც უარს არ იტყვის ირანთან ბირთვულ სფეროში თანამშრომლობაზე.

"ებრაელი ხალხი და ებრაული სახელმწიფო არასოდეს დაივიწყებს მეორე მსოფლიო ომის დროს წითელი არმიის მიერ ჩადენილ გმირობას," - ასე დაიწყო შარონმა რუსეთის პრეზიდენტის მისასალმებელი სიტყვა. შემდეგ უკვე რუსულად განაგრძო: "მინდა მოგმართოთ – თქვენ მეგობრებს შორის ხართ."

ალბათ, ასეც უნდა მომხდარიყო – როდესაც კონკრეტული შეთანხმებების მიღწევა შეუძლებელია, "მეგობრობის" დეკლარირების მეტი ლიდერებს არაფერი რჩებათ. თუმცა, ვლადიმირ ვალდიმირ ძის საზეიმო განწყობას აშკარად დაჩრდილავდა რუსულენოვან დიასპორასთან შეხვედრის წარუმატებლობა. რუსმა ებრაელებმა კატეგორიული უარი განაცხადეს "ფარაონთან" შეხვედრაზე (წინა დღის ეგვიპტური ვოაიჟის ასოციაციით რუსეთის პრეზიდენტს ეს "ტიტულიც" მიანიჭეს).

დღეს კი, პრეზიდენტი პუტინი რამალაში გაემგზავრება და სავარაუდოდ, პალესტინელ "მეგობრობთან" ეცდება კავშირების განმტკიცებას.

## აშშ-ს რეაქცია პუტინის გამოსვლაზე

საბჭოთა კავშირის დაშლა "საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო" – ასეთი იყო ფედერალური საბჭოსადმი ვლადიმირ პუტინის გზავნილი. ფედერალური საბჭოს წინაშე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის გამოსვლაში ზემოაღნიშნულ გამოთქმას არ დაეთანხმნენ ოფიციალურ ვაშინგტონში. **"ჩვენ იმასთან დაკავშირებით, რაც იყო, სხვა მოსაზრება გვაქვს. ჩვენ არ ვნანობთ საბჭოთა კავშირის დაშლასა და ცივი ომის დასრულებას. ეს თანამედროვე ისტორიაში მნიშვნელოვანი მომენტი იყო, რამაც თავისუფლებისა და დემოკრატიის განვითარება გამოიწვია. ჩვენ გვესმის, რომ 90-იან წლებში ადგილი ჰქონდა პირად, სოციალურ და ფინანსურ ძვრებს რუსების ცხოვრებაში. ვფიქრობ, სწორედ ამას გულისხმობდა პუტინიც თავის სიტყვაში,"** - განაცხადა თეთრ სახლში გამართულ ბრიფინგზე ჯორჯ ბუშის პრეს-მდივანმა სკოტ მაკლელანმა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალურმა ვაშინგტონმა რუსეთის პრეზიდენტის გამოსვლა მხოლოდ კრიტიკული კუთხით არ შეაფასა და გარკვეული პოზიტივები პუტინის განცხადებებს არ დაუკარგა. მაკლელანის თქმით, პუტინის გზავნილი მომავლის პოზიტიურ ხედვასაც შეიცავდა, რომელიც თავისუფლების, დემოკრატიისა და სამართლიანობის ღირებულებებს ემყარებოდა, რაშიც ამერიკელებს ეჭვიც არ ეპარებათ. **"პუტინის თქმით, რუსეთი საკუთარი ტემპებით განაგრძობს განვითარებას და არ აპირებს უცხო მოდელის მიბაძვას. აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში არ უარყოფს, პირიქით, ყოველთვის აღნიშნავს, რომ არაფერია უცხო იმაში, თუკი სხვადასხვა ქვეყანა საკუთარი შეხედულებისამებრ აპირებს განვითარებას,"** - დაამატა თეთრი სახლის პრეს-მდივანმა. თეთრი სახლი იმედს იტოვებს, რომ კრემლის ხელისუფალი დემოკრატიულ ფასეულობებს საბოლოოდ არ შეაქცევს ზურგს. **"მიმაჩნია, რომ პრეზიდენტმა პუტინმა ისაუბრა იმ დადებით ცვლილებებზე, რაც აუცილებელია უცხოური და შიდა ინვესტიციებისთვის რუსეთის მიმზიდველ ბაზრად ქცევისათვის. ამ გამოსვლის შემდეგ, ჩვენ უკვე პუტინისგან რეალურ ქმედებებს ველით,"** - განაცხადა სკოტ მაკლელანმა.

*24 საათი*

## საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მოწვევა ინტერესთა გამოხატვისთვის

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ დაამტკიცა ქვემოთჩამოთვლილ კომპანიებში აქციების, აქტივების და საინვესტიციო წინადადებების მიღების პროცედურის დაწყება.

***1. ს.ს. "მადნეული" (ოქროსა და სპილენძის მომპოვებელი კომპანია)*** - ბოლნისის რაიონი, საქართველო. გასაყიდი აქციები - საწესდებო კაპიტალის 97,25%, აქციათა რაოდენობა - 12 477 682 ცალი, თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება 1 აშშ დოლარი (კომპანიის საწესდებო კაპიტალზე დაფუძნებით).

***1.1. შპს "კვარციტი"*** - ბოლნისის რაიონი, საქართველო. საწესდებო კაპიტალი - 100 000 აშშ დოლარი. მთლიანი ქონება (აქტივები) - 4 000 000 აშშ დოლარი. ძირითადი საქმიანობა - ოქროს (დორე შენადნობი) წარმოება.

გასაყიდი წილი - 50%

***1.2. შპს 'საქართველოს სამთამადნო კომპანია"*** - ბოლნისის რაიონი, საქართველო. საწესდებო კაპიტალი - 2 000 ლარი. მთლიანი ქონება (აქტივები) - 2 000 ლარი. კომპანიას ექნება აუცილებელი ლიცენზიები სამთამადნო საქმიანობაში.

გასაყიდი წილი - 100%

***1.3. შპს "ბელაზკავკაზტრანსსერვისი"*** - ბოლნისის რაიონი, საქართველო. საწესდებო კაპიტალი - 2 000 ლარი. მთლიანი ქონება (აქტივები) - 600 000 აშშ დოლარი. ძირითადი საქმიანობა - მოპოვებული მადნის ტრანსპორტირება.

გასაყიდი წილი - 100%

***1.4. შპს "გარდი"*** - ბოლნისის რაიონი, საქართველო. საწესდებო კაპიტალი -2 000 ლარი. მთლიანი ქონება (აქტივები) - 300 000 აშშ დოლარი. ძირითადი საქმიანობა - მოპოვებული მადნის ტრანსპორტირება.

გასაყიდი წილი - 100%

***1.5. შპს ''ტრანსფეთქმზიდი"*** - ბოლნისის რაიონი, საქართველო. საწესდებო კაპიტალი - 2 000 ლარი. მთლიანი ქონება (აქტივები) - 5 500 000 აშშ დოლარი. ძირითადი საქმიანობა - ბურღვა-ფეთქითი საქმიანობა.

გასაყიდი წილი - 100%

***1.6. შპს ''ეკოლოგი"*** - ბოლნისის რაიონი, საქართველო. საწესდებო კაპიტალი -40 000 ლარი. მთლიანი ქონება (აქტივები) - 40 000 აშშ დოლარი. ძირითადი საქმიანობა - წყლის გაფილტვრა-ნეიტრალიზება და ცემენტირებული სპილენძის კონცენტრატის მიღება.

გასაყიდი წილი - 51%

***1.7. შპს "საფეხბურთო კლუბი "სიონი''*** - ქ. ბოლნისი, საქართველო. საწესდებო კაპიტალი - 2 000 ლარი. მთლიანი ქონება (აქტივები) - 12 000 ლარი. კომპანია მონაწილეობს საქართველოს პრემიერ ლიგაში.

გასაყიდი წილი - 50%

***1..8. შპს "ტრანს ჯორჯიან რესორსის"*** - ბოლნისის რაიონი, საქართველო. საწესდებო კაპიტალი - 1 000 აშშ დოლარი. კომპანია ფლობს ლიცენზიას სამთამადნო საქმიანობაში საყდრისის საბადოზე.

გასაყიდი წილი - 50%

***2. შპს ''თბილისის საიუველირო ქარხანა"*** - თბილისი. საწესდებო კაპიტალი -8 101 484 ლარი. შენობა-ნაგებობების საერთო ფართი -15 .320 კვ.მ. ძირითადი საქმიანობა - საიუველირო ნაწარმის წარმოება. ძირითადი პროდუქცია -საიუველირო ნაწარმი. გასაღების ბაზარი -საქართველო, რუსეთი.

გასაყიდი წილი -100%.

**პრივატიზაციის პროცესი:**

პრივატიზაცია წარიმართება დადგენილი წესის მიხედვით. დაინტერესებულმა ინვესტორებმა უნდა განსაზღვრონ თავიანთი ინტერესი. წერილობით. გამოხატული ინტერესების შემცველი (ინგლისურენოვანი) წერილები უნდა გადმოიგზავნოს დროულად. (2005 წლის 31 მაისი, 18.00სთ-მდე, საქართველოს დროით) -ეკონომიკის სამინისტროს მისამართი -საქართველო, თბილისი, რუსთაველის N12. მითითებული უნდა იყოს: ინტერესთა გამოხატვა/კომპანიის სახელწოდება.)

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა დანიშნონ შეხვედრის დრო და ადგილი, რათა შეთანხმება მოხდეს გაყიდვის ობიექტთან დაკავშირებით.

გამოქვეყნებული პუბლიკაცია და ინტერესის გამოხატვის გამოცხადება არ ავალდებულებს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიყიდოს ნებისმიერი წილი, აქცია ან აქტივი შესყიდვებით დაინტერესებულ ნებისმიერ მხარეს; არ აძლევს მხარეებს სამინისტროს მიმართ ნებისმიერი სახის პრეტენზიის და რაიმე ქმედების განხორციელების უფლებას. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო იტოვებს უფლებას საკუთარი მოსაზრებით, ნებისმიერ დროს: (I) გამოეთიშოს გაყიდვის პროცედურას; ან (II) შეაჩეროს ან შეცვალოს პროცედურა, ან (III) გამორიცხოს ნებისმიერი დაინტერესებული მხარე გაყიდვის პროცედურიდან ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საწინააღმდეგო, ნებისმიერი კომპენსაციის ან ზარალის ანაზღაურების შესახებ პრეტენზიის აღძვრის უფლების გარეშე.

**განცხადება**

სს "რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" პრივატიზაციასთან დაკავშირებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გამოცხადებული ინტერესთა გამოხატვის ვადა, რომელიც უნდა დასრულებულიყო 2005 წლის 2 მაისს, გაგრძელდა ერთი თვით. დაინტერესებულ ინვესტორებს შეუძლიათ წარმოადგინონ წინადადებები 2005 წლის 2 ივნისის 18 საათამდე.

**მისამართი: თბილისი, რუსთაველის 12.**
**საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო**

საბიუჯეტო მონიტორინგი

EPRC
Economic Policy and Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის და კვლევის ცენტრი

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"

# ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში მდგომარეობა არასახარბიელოა

მას შემდეგ, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 452 მლნ ლარით გაიზარდა საგეგმო პარამეტრების კორექტირებაც, ალბათ, შესაბამისად მოხდება. დღეისათვის კი სიტუაცია ამგვარია: საბაჟო დეპარტამენტის კუთხით, მობილიზებულია 236,2 მლნ ლარი, რაც გაზრდილი ბიუჯეტის წლიური პარამეტრის 30 პროცენტია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯერ მხოლოდ 4 თვეა გასული, საბაჟოს კუთხით ბიუჯეტის შევსების პროცესი დადებითად მიმდინარეობს.

საგადასახადო დეპარტამენტის კუთხით, მობილიზებულია გაზრდილი ბიუჯეტის წლიური პარამეტრის 25,7 პროცენტი, რაც ასევე დადებითად შეიძლება შეფასდეს. კარგი მდგომარეობაა არასაგადასახადო შემოსავლების კუთხით, სადაც მობილიზებულია 115,6 მლნ ლარი, რაც ახალი წლიური პარამეტრის 57,4 პროცენტია. ალბათ, ეს პარამეტრიც გადაჭარბებით შესრულდება წლის ბოლომდე, თუ ამ ტემპებს შეინარჩუნებენ. კაპიტალური შემოსავლების კუთხით, რაც ბიუჯეტის ზრდის მთავარი ფაქტორი იყო, ჯერჯერობით მობილიზებულია 38,8 მლნ ლარი, რაც გეგმის მხოლოდ 7 პროცენტია, წლის ბოლომდე კი ბიუჯეტში 430 მლნ ლარი უნდა შემოვიდეს.

ასევე, გრანტების კუთხითაც, დღეისათვის გაზრდილი ბიუჯეტის 7,8 პროცენტია მობილიზებული და, იმედია, შარშანდელივით დეკემბრის თვეში არ მოხდება 126 მლნ ლარის მიღება, რათა უფრო ეფექტურად მოხდეს ამ გრანტების ათვისება.

რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს, აქ მდგომარეობა არასახარბიელოდ გამოიყურება. რადგანაც 25 აპრილის ჩათვლით, გაწეულია 640 მლნ ლარის ხარჯი, რაც წლიური გეგმის 24 პროცენტია და მხოლოდ 5 მილიონით აღემატება გასული, 2004 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის იმავე საპროგნოზო მაჩვენებლებს. საინტერესოა, რა საპროგნოზო მაჩვენებლებს შემოგვთავაზებს ფინანსთა სამინისტრო და როგორ გადაანაწილებს საგეგმო პარამეტრებს, რომ ბიუჯეტის შევსება კვლავ ბოლო თვეში არ მოხდეს.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გეგმა 2005 წელი (მლნ ლარი)

| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსავლების წლიური გეგმა (მლნ ლარი) | 788.30 | 802.79 | 199.54 | 468.20 | 136.65 | 317.39 | 2712.87 |
| შემოსავლების 4 თვის გეგმა | 217.75 | 224.42 | 65.04 | 10.00 | 7.88 | 252.31 | 777.40 |
| [illegible] (მლნ ლარი) | 236.19 | 206.62 | 114.56 | 38.77 | 10.64 | 84.13 | 690.91 |
| [illegible] (პროცენტებში) | 108% | 92% | 176% | 388% | 135% | 33% | 89% |
| [illegible] (მლნ ლარი) | 18.44 | -17.80 | 49.52 | 28.77 | 2.76 | -168.18 | -86.49 |
| წლის ბოლომდე [illegible] (მლნ ლარი) | 552.11 | 596.17 | 84.98 | 429.43 | 126.01 | 233.26 | 2,021.96 |
| [illegible] | 30.0% | 25.7% | 57.4% | 8.3% | 7.8% | 26.5% | 25.5% |
| | | | | | | 79% | |

* [illegible]

| ხარჯები | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სულ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები * | 2,713 | 1,185 | 634.5 | 639.9 | 23.59% | 54.02% | 108.85% |

მოკლედ

# 9 ობიექტიდან 4 გაიყიდა

*საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გუშინ გამართული აუქციონის შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტში 1 მილიონ 172 ათასი დოლარის ეკვივალენტი შევა.*

გუშინდელ აუქციონზე წარმოდგენილი 9 ობიექტიდან სამინისტრომ მხოლოდ ოთხის გაყიდვა მოახერხა. ხოშარაულის ქუჩაზე მდებარე დაუმთავრებელი მშენებლობა ფიზიკურმა პირმა მაია რჩეულიშვილმა 510 ათას აშშ დოლარად იყიდა. შპს "ლითონკონსტრუქცია" ფიზიკურმა პირმა 102 ათას დოლარად შეიძინა. ალმაშენებლის 80/82 მდებარე არასაცხოვრებელი ფართი 255 ათას დოლარად ასევე ფიზიკურმა პირმა იყიდა. ალმაშენებლის N150-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართი კი 305 ათას დოლარად გაიყიდა.

აუქციონზე გამოტანილი შპს "შულავერის არამადნეული მასალების ქარხანას" (საწყისი ფასი - 280 000 აშშ დოლარი) გუშინაც არ გამოუჩნდა მყიდველი. სამინისტრომ ეს ობიექტი უკვე მეოთხედ გამოიტანა.

გაუყიდავი დარჩა შპს "მელიორატორი XX" (საწყისი ფასი - 120 000 აშშ დოლარი), სს "ვაზიანი-2000"-ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 388 000 აქცია (საწყისი ფასი - 220 000 აშშ დოლარი), სს "საქსურსათმანქანის" საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული, ბაზალეთის დასასვენებელი კომპლექსი (საწყისი ფასი - 35 000 აშშ დოლარი), თბილისში, ალმაშენებლის გამზირზე მდებარე არასაცხოვრებელი ფართი (საწყისი ფასი - 250 000 აშშ დოლარი), შპს "მერქანი" (საწყისი ფასი - 90 000 აშშ დოლარი), სს "ლითონკონსტრუქციის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ აქციათა 90 პროცენტი (საწყისი ფასი - 40 000 აშშ დოლარი), ალმაშენებლის N150-ში მდებარე შენობის პირველ, მეორე და მესამე სართულებზე განთავსებული 1179 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ფართობით (საწყისი ფასი - 300 000 აშშ დოლარი) და ხოშარაულის ქუჩაზე მდებარე დაუმთავრებელი მშენებლობა, რომლის საწყისი ფასი 500 000 აშშ დოლარია.

*24 საათი*

# ლიზინგი დღგ-თი აღარ დაიბეგრება

*გუშინ, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა მთავრობას საგადასახადო ცვლილებების საკუთარი ვარიანტი შესთავაზა.*

კომიტეტთან შექმნილი ექსპერტთა საბჭოს წევრმა ვახტანგ ხმალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ქონების გადასახადით 200 კვადრატულ მეტრზე მეტი ფართი უნდა დაიბეგროს. **"შემცირდება გადასახადის განაკვეთები და კოეფიციენტები, რასაც ქონების გადასახადის განსაზღვრის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს,"** - განაცხადა ხმალაძემ.

ხმალაძის თქმით, კომიტეტს საკუთარი ვერსია გააჩნია ავტომობილების იმპორტის დაბეგვრის რეჟიმთან დაკავშირებითაც. **"კომიტეტში შექმნილი პროექტის მიხედვით, ავტომობილების იმპორტის დაბეგვრა აქამდე არსებული რეჟიმის მიხედვით უნდა განხორციელდეს, რაც მანქანის ძრავის სიმძლავრის მიხედვით დაბეგვრას ითვალისწინებს, თუმცა გადასახადის განაკვეთები გაიზრდება,"** - აცხადებდა ექსპერტი. ამასთან, კომიტეტში შექმნილი პროექტის მიხედვით, საავტომობილო პარკის განახლების მიზნით, შეღავათიანი რეჟიმით დაიბეგრება არა 8-10 წლის ავტომანქანები, არამედ 6-7 წლის ავტომანქანები, რაც იმას ნიშნავს, რომ იმპორტიორებს შესაძლებლობა ექნებათ, შედარებით ახალი მანქანები ნაკლები განბაჟებით შემოიყვანონ საქართველოში.

ქონების გადასახადთან და ავტომანქანების იმპორტის დაბეგვრასთან დაკავშირებით, კომიტეტი საკუთარ პოზიციას საქართველოს პრემიერ-მინისტრთან და საქართველოს ფინანსთა მინისტრთან შეხვედრისას დააფიქსირებს.

ახალი "საგადასახადო კოდექსის" პროექტის პირველი მოსმენით განხილვის დროს, აღნიშნული საკითხები ღიად დარჩა. მაშინდელ პრემიერ-მინისტრთან, ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრისას გადაწყდა, რომ აღნიშნულ საკითხებზე საბოლოო პოზიციას თავად პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ჩამოაყალიბებდა და დაბეგვრის საკუთარ ვარიანტებს მთავრობას თავად შესთავაზებდა.

გუშინვე გაირკვა, რომ საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა ბიზნესმენთა მოთხოვნა დააკმაყოფილა და ახალი "საგადასახადო კოდექსით", ლიზინგი დამატებითი ღირებულების გადასახადით აღარ დაიბეგრება.

როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში გამართული შეხვედრიდან გამოსულმა, "საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის" აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ისაკაძემ განაცხადა, ლიზინგთან დაკავშირებული პრობლემა მოხსნილია. **"ბიზნესი დღგ-სთან დაკავშირებით არანაირ გამონაკლისს არ ითხოვს. ლიზინგი ფინანსური სერვისია და, როგორც ყველა საბანკო სესხი, ისიც ისე უნდა დაიბეგროს,"** - განაცხადა ისაკაძემ. მისივე თქმით, ქვეყანაში ლიზინგის ხელშეწყობა ბევრ ბიზნესს გაფართოების შესაძლებლობას მისცემს.

*24 საათი*

# ქართულ ეკონომიკას ჰოლანდიური ავადმყოფობა ემუქრება

ქართულ ეკონომიკას "ჰოლანდიური ავადმყოფობა ემუქრება". ამ საკითხზე აქცენტი გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლადო პაპავამ გააკეთა. როგორც პაპავამ აღნიშნა, ეს საფრთხე განსაკუთრებით მძაფრდება ქვეყანაში მიმდინარე პრივატიზაციის ფონზე. **"ამგვარი ავადმყოფობის თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა და ეროვნული ბანკი თანამშრომლობის შედეგად, გაძლიერებული კონტროლის ქვეშ დახარჯავენ პრივატიზაციიდან მობილიზებულ თანხებს. ეროვნულ ბანკს ამ მიმართულებით მთავრობასთან რთული ურთიერთობები მოუწევს, თუმცა ასეთია მაკროეკონომიკური სტაბილურობისათვის აუცილებელი თამაშის წესები,"** - აღნიშნა პაპავამ.

ამასთან, მისი თქმით, შარშან ლარის გამყარებაზე პასუხისმგებლობა მთავრობას ეკისრება, რომელმაც ეკონომიკიდან ამოღებული თანხები დეპოზიტებზე გააჩერა და არ დახარჯა. **"ის თანხები, რომელიც ფინანსთა სამინისტროს უნდა დაეხარჯა, ეროვნულმა ბანკმა მიმოქცევაში გაუშვა. ამით, რა თქმა უნდა, ქვეყანა არ დანგრეულია, მაგრამ ჰოლანდიური ავადმყოფობის სიმპტომები ჯერ კიდევ შარშან შეიმჩნეოდა,"** - განმარტა პაპავამ.

"ჰოლანდიური ავადმყოფობა" ეკონომიკური ტერმინია და ჰოლანდიის გამოცდილებას ემყარება. კერძოდ, ჰოლანდიაში ნავთობის აღმოჩენის შემდეგ ნავთობი ერთბაშად გაიყიდა, რამაც ადგილობრივი ეკონომიკა დააზარალა. **ინტერ-პრესი**

# ეროვნული ბანკის პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე წარდგა

*გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში საქართველოს ეროვნული ბანკის ახალ პრეზიდენტს რომან გოცირიძეს უსმენდნენ. გოცირიძემ კანონმდებლებს ბანკის მუშაობის გასული წლის ანგარიში წარუდგინა.*

მარიამ ჭაჭვაძე

საბოლოო ჯამში, კომიტეტის წევრებმა ეროვნული ბანკის მიერ გასულ წელს გაწეული მუშაობა დადებითად შეაფასა, შესაბამისად, კომიტეტი წლიური ანგარიშის პლენარულ სხდომაზე დამტკიცებას მხარს უჭერს.

კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე ბანკის ახალ პრეზიდენტს რომან გოცირიძეს საუბარი ეროვნული ბანკის ყოფილი ხელმძღვანელობის საქმიანობაზე მოუწია. მისი შეფასებით, გასული წელი საინტერესო და წინააღმდეგობრივი იყო; იყო დადებითი ტენდენციებიც და პრობლემებიც, რომელიც გასული წლის აგვისტოში ლარის კურსის არასტაბილურობამ განაპირობა.

ეროვნული ბანკის ახალი პრეზიდენტი აცხადებს, რომ ეს მათთვის კარგი გამოცდილება იქნება, რომელსაც გამოიყენებენ იმ პირობებში, როცა ქვეყანაში დოლარის დიდი რაოდენობით შემოდინება იგეგმება.

გოცირიძე აცხადებს, რომ მათი უმთავრესი ამოცანა ლარის კურსის სტაბილურობა და ინფლაციის დაბალი დონის შენარჩუნება იქნება. მისივე თქმით, ეროვნული ბანკის ახალი ხელმძღვანელობა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ საბანკო სექტორის მიმართ მოსახლეობის ნდობა გაღრმავდეს. **"ეროვნულ ბანკში იგეგმება რეგიონული პოლიტიკის გადახედვა, კერძოდ, რეგიონული სამმართველოების არსებობის მიზანშეწონილობის საკითხი. ოზურგეთის სამმართველო ჩვენ უკვე გავაუქმეთ,"** - განაცხადა გოცირიძემ.

საქართველოს სავალუტო რეზერვები უახლოეს თვეებში ნახევარ მილიარდ დოლარს მიაღწევს, - განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ გუშინ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში. მისი თქმით, ეს იქნება უპრეცედენტო ფაქტი და სერიოზული ბერკეტი როგორც ქვეყნისთვის, ასევე ეროვნული ბანკისთვის. დღეისათვის საქართველოს სავალუტო რეზერვების მოცულობა 470 მლნ დოლარს შეადგენს. რამდენიმე თვეში კი შესაძლებელია ამ მაჩვენებლის 500 მილიონ დოლარამდე გაზრდა.

**"ეს იქნება უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვი 500 მილიონ დოლარს მიაღწევს. ეს ქვეყნისთვის და ეროვნული ბანკისათვის უზარმაზარი კაპიტალია,"** - განაცხადა გოცირიძემ.

საერთაშორისო სავალუტო რეზერვები ქვეყნის ეკონომიკის სიმყარის გარანტია, აგრეთვე, საერთაშორისო სავალუტო რეზერვებით ხდება საგარეო ვალების მომსახურებაც.

სანაოსნოს პრივატიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლების ხარჯზე მთავრობის დეპოზიტებზე 300 მლნ ლარზე მეტია მობილიზებული. ამის შესახებ დღეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ განაცხადა.

მისი თქმით, მთავარია, აღნიშნული თანხა სწრაფად არ დაიხარჯოს, რადგან ასეთ შემთხვევაში ქვეყანაში ინფლაციური პროცესების განვითარებაა მოსალოდნელი.

**"ამჟამად არსებული რეალობა ჩვენთვის გამოწვევაა, რადგან ქვეყანაში პრივატიზაციის შედეგად სერიოზული თანხების მობილიზება ხდება,"** - განაცხადა გოცირიძემ. მისი თქმით, პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით უნდა დაიხარჯოს. **"ჩვენ დაგეგმილი გქონდა აღნიშნული თანხების ზაფხულში დახარჯვა, რადგან ზაფხულში ინფლაცია ისედაც დაბალია, თუმცა წყალდიდობების ფონზე ეს გაჭირდება, რადგან განადგურებულია სახნავ-სათესები, სავარგულები და ზაფხულში ინფლაციის დაბალი დონის მოლოდინი არ უნდა გვქონდეს,"** - განაცხადა გოცირიძემ და დასძინა, რომ ეროვნული ბანკი ყველაფერს აკეთებს ლარის სტაბილური კურსის და საბანკო სექტორის სტაბილური მუშაობის შესანარჩუნებლად.

# ევროპული სავაჭრო პალატა კერძო არბიტრაჟის გაუქმებას აპროტესტებს

ევროპული სავაჭრო პალატა საქართველოში კერძო არბიტრაჟის ინსტიტუტის გაუქმებას აპროტესტებს და ამ გადაწყვეტილებას საქართველოს ხელისუფლების მიერ ბიზნესისთვის მიცემული პირობის დარღვევად აფასებს.

გუშინ, საქართველოში ევროპული სავაჭრო პალატის წარმომადგენლებმა სპეციალური განცხადება გამოაქვეყნეს, სადაც ნათქვამია, რომ საგადასახადო არბიტრაჟის გაუქმება ბიზნესმენების და საზოგადოების მოტყუებას ნიშნავს. **"ნაკლებად ლიბერალური "საგადასახადო კოდექსის" მიღებისას, რომელიც ბიზნესმენების და დამოუკიდებელი ექსპერტების სამართლიანი შენიშვნების სრული იგნორირებით მომზადდა, ერთადერთი რევოლუციური იდეა საგადასახადო არბიტრაჟის შემოღება იყო. ბიზნესმენებმა ახალ კოდექსს სწორედ ფისკალური უკანონობისგან დაზღვევის ასეთი უნიკალური ფორმის გამო დაუჭირეს მხარი. თუმცა, "საგადასახადო კოდექსის" ძალაში შესვლიდან სამ თვეში ეს იდეა იგნორირებულ იქნა,"** - აცხადებენ საქართველოში ევროპული სავაჭრო პალატის წარმომადგენლობაში.

**"მიგვაჩნია, რომ ხელისუფლების მიერ კერძო ბიზნესის მიმართ წარმოებული აგრესიული კამპანია ძირს უთხრის საბაზრო ეკონომიკას და ეკონომიკის ისევ საბჭოური წესით მართვისკენ მივყავართ,"** - ციტატა განცხადებიდან.

საქართველოში ევროპული სავაჭრო პალატის წარმომადგენლობა მიმართავს საქართველოს ყველა მეგობარ სახელმწიფოს, მორალური დახმარება აღმოუჩინონ ქვეყანას და გადაარჩინონ საქართველოს ეკონომიკა.

*24 საათი*



# ახმეტაში მეგობარმა ქალმა, მეგობარი მამაკაცი მოკლა

*ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში მკვლელობა მოხდა. 22 წლის მადონა ცაძიკიძემ დანით მოკლა თავისივე თანასოფლელი 73 წლის ალექსი ბასხაჯაური. მკვლელობა ფიზიკური შეურაცხყოფის ნიადაგზე მოხდა. მკვლელობაში ეჭვმიტანილი ქალბატონი პოლიციამ თელავში დააკავა, მან უკვე აღიარა ჩადენილი დანაშაული.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

მადონა ცაძიკიძესა და ალექსი ბასხაჯაურს, დიდი ასაკობრივი განსხვავების მიუხედავად, ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. როგორც ამბობენ, ამ ურთიერთობის ტრაგიკული დასრულება უსიამოვნო საუბრმა გამოიწვია. მართალია, თავდაპირველად დანაშაულში ეჭვმიტანილმა გაქცევა სცადა, მაგრამ მისი დაკავება პოლიციამ თელავში მოახერხა. მადონა ცაძიკიძემ დანაშაული აღიარა. მომხდარი კი, გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში იმით ახსნა, რომ აწ გარდაცვლილი ბასხაჯაური მის გაუპატიურებას ცდილობდა. სოფლის მოსახლეობა ამ ამბავს სხვაგავარ განმარტებას აძლევს, თუმცა, რა მოტივით ჩაიდინა ცაძიკიძემ მკვლელობა, ვერც ამას აკონკრეტებენ.

ალვანელების ნაამბობის თანახმად, მადონა ცაძიკიძეს საკმაოდ ბუნდოვანი წარსული აქვს. როგორც თანასოფლელები ამბობენ, გოგონა მშობლებს შინიდან ეპარებოდა ხოლმე და დღეების განმავლობაში არ ბრუნდებოდა. რაც შეეხება 73 წლის ალექსანდრე ბასხაჯაურსა და 22 წლის მადონა ცაძიკიძის შორის ურთიერთობებს, ამის თაობაზე აწ გარდაცვლილის რძალი საუბრობს.

**"7-8 თვე იქნებოდა, რაც ჩემი მაზლი და მადონა ერთმანეთს იცნობდნენ და ხვდებოდნენ კიდეც. ეს მთელმა სოფელმა იცოდა. მადონა ჩემს ოჯახშიც ხშირად მოსულა ალექსისთან სალაპარაკოდ, იმ მიზეზით, რომ სახლში მარტო ყოფნა ეშინოდა,"** - იხსენებს ალექსი ბასხაჯაურის რძალი, კატო ბასხაჯაური. იგი მკვლელობის დღეს მომხდარ დეტალებზეც საუბრობს, თუმცა ჩადენილი დანაშაულის მიზეზს ვერ ხსნის.

**"მკვლელობის ღამესაც, ჩვეულებრივ, ერთად დალიეს. ჩვენ უკვე დაძინებას ვაპირებდით, როცა ქუჩიდან ხმამაღალი ლაპარაკი შემომესმა. ჩემი მეუღლე გავიდა, რომ გაერკვია, რა ხდებოდა. მადონას ხელში დანა ეჭირა და ატრიალებდა. სიბნელეში ჩემმა მეუღლემ ვერ შეამჩნია, ალექსი დაჭრილი რომ იყო. მის დანახვაზე გოგო გაქცეულა,"** - ამბობს კატო ბასხაჯაური.

მოკლული ბასხაჯაური თავის დროზე მკვლელობის გამოა ნასამართლევი. იგი სასჯელს გაბრო იდოიძეს მკვლელობისთვის იხდიდა. როგორც ირკვევა, იდოიძეს ბასხაჯაურისთვის ბინის წართმევა სურდა და მისი მოკვლითაც კი იმუქრებოდა, პირიქით კი მოხდა - ბასხაჯაურმა იდოიძე მოკლა, რის გამოც სასამართლომ ცხრა წლით პატიმრობა მიუსაჯა. მადონა ცაძიკიძის სანათესაომ ბასხაჯაურის კრიმინალური წარსულის გამოყენება მკვლელობაში ბრალდებული ქალის დასახსნელად სცადა, მაგრამ გარდაცვლილის მეზობლებმა ასეთ დახმარებაზე უარი განაცხადეს. **"რატომ უნდა ვთქვათ ამ უბედურ კაცზე ცუდი, მისი წყენა რავის გვახსოვს,"** - ამბობენ ალექსანდრე ბასხაჯაურის მეზობლები.

ექსპერტიზის შედეგად ირკვევა, რომ ალექსანდრე ბასხაჯაურს გულმკერდის არეში ხუთი ჭრილობა აქვს მიყენებული. მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მასალების მოკვლევას კი თელავი-ახმეტის გაერთიანებული პროკუარტურა აწარმოებს.

# ლაშა რიგვავას მკვლელობისთვის საგუშაგოს უფროსი დააპატიმრეს

ჭუბრუხინჯში, სადაც გუშინ მორიგი ოთხმხრივი შეხვედრა უნდა შემდგარიყო, ჟურნალისტებსა და სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებს შორის მორიგი დაპირისპირება მოხდა. სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობის მითითებით ცისფერჩაფხუტიანებმა 201-ე საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე არ გაატარეს ტელეკომპანია "იმედის", რადიო "იმედის", ტელეკომპანია "მზის" და სხვა საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები, რომელთაც შეხვედრის გაშუქება სურდათ. ჟურნალისტებმა პროტესტის ნიშნად შლაგბაუმთან გზა გადაკეტეს და ჭუბურხინჯის მიმართულებით ავტოტრანსპორტს არ ატარებენ. ჟურნალისტების აქცია რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებთან სიტყვიერი დაპირისპირების მიზეზი გახდა. დაძაბულობა მას შემდეგ განიმუხტა, რაც საქმეში გაერო-ს წარმომადგენლები ჩაერთვნენ. სხვათა შორის, მსგავსი ინციდენტი ერთი კვირის წინაც მოხდა. მაშინ სამშვიდობოებმა არ გაატარეს ტელეკომპანია "იმედის" ჟურნალისტი, რის შემდეგაც ის აფხაზმმა მებაჟეებმა გაიტაცეს და მხოლოდ ქართული მხარის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ გაათავისუფლეს.

მაშინ სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობამ პირობა დადო, რომ ქართველ ჟურნალისტებს სამშვიდობოების საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე პრობლემები აღარ შეექმნებოდათ. ჭუბურხინჯში მორიგი ოთხმხრივი შეხვედრა გუშინ სწორედ ამ საკითხის განხილვით დაიწყო.

ქართულ მხარეს შეხვედრაზე ზუგდიდის რაიონის გამგებელი ალექსანდრე ქობალია და გამგებლის მოადგილე თენგიზ შანავა, ასევე ქართული სამშვიდობო ძალების სარდალი ვალერი ჯაფარიძე წარმოადგენდნენ. აფხაზური მხრიდან შეხვედრაში გალის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვალერი ლომია და აფხაზური უშიშროების გალის განყოფილების ახალი უფროსი ედუარდ ემზადე იღებდნენ მონაწილეობას.

მხარეებმა კვირის განმავლობაში კონფლიქტის ზონაში არსებულ ვითარებაზე ისაუბრეს.

შეხვედრა უჩვეულოდ დიდხანს გაგრძელდა. მხარეები სხვადასხვა საკითხებს სამი საათის მანძილზე განიხილავდნენ.

მწვავედ დაისვა გალის რაიონის სოფელ ღუმურიშის გამგებლის ვაჟის, 25 წლის ლაშა რიგვავას მკვლელობის საკითხი. ლაშა რიგვავა ერთი კვირის წინათ რუსმა "ცისფერჩაფხუტიანებმა" სახლიდან გაიყვანეს და წამებით მოკლეს. მიზეზად რუს სამშვიდობოებთან რიგვავას შელაპარაკებას ასახელებენ. აღნიშნული ფაქტის გამოძიება ოთხმხრივმა საგამოძიებო ჯგუფმა გასულ კვირასვე დაიწყო. ოთმხრივი სხდომის დასრულების შემდეგ, კონფლიქტის ზონაში ქართული მხარის სამხედრო დამკვირვებელმა ვალერი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ რუსების მხრიდან აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და დაკავებულია მშვიდობისმყოფელთა საგუშაგოს უფროსი.

ლაშა რიგვავას მკვლელობის საკითხის გარდა, ოთხმხრივ სხდომაზე აფხაზი მებაჟეების დაცხრილვის საკითხიც განიხილეს. 21 აპრილს გალის რაიონის სოფელ თაგილონში აფხაზთა საბაჟო პუნქტი დაიცხრილა, რის შედეგადაც ორი მებაჟე დაიღუპა.

სხდომაზე აფხაზურმა მხარემ საქმის გამოძიებაში ოთხმხრივი საგამოძიებო ჯგუფის ჩართვა მოითხოვა, მაგრამ ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ჯერ ვერ მიიღეს.

საბოლოოდ, ვალერი ჯაფარიძის თქმით, სხდომის მონაწილეებმა კონფლიქტის ზონაში გასული კვირა შეაფასეს, როგორც მშვიდობიანი.

*24 საათი*

# მოსკოვში "ვახო სუხუმსკი" მოკლეს

*გუშინწინ მოსკოვის ერთ-ერთ რესტორანში ამტყდარ სროლას, როგორც ირკვევა, სახელგანთქმული ქართველი "კანონიერი ქურდი" შეეწირა.*

25 აპრილს მოსკოვის რესტორანში "მსოფლიო ჩემპიონები მწვადებში" მოულოდნელად სროლა ატყდა. როგორც თვითმხილველები ირწმუნებიან, რესტორანში სამი კავკასიური გარეგნობის, მაღალი მამაკაცი შევარდა და სროლა დაიწყეს. შედეგად, რესტორანში მყოფი სამი მამაკაცი დაიჭრა. შემთხვევის ადგილზე მისულ სამართალდამცველებს ერთი მათგანი დაღუპული დახვდათ, დანარჩენი ორი კი სკლიფასოვსკის სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც ორივე გარდაიცვალა კიდეც.

როგორც გაირკვა, რესტორანში მოკლული პირი ცნობილი "კანონიერი ქურდი", 48 წლის ვახტანგ ქარდავაა, მეტსახელად - "ვახო სუხუმსკი". ვახტანგ ქარდავასთან ერთად მოკლულები არიან საქართველოს მოქალაქე, 55 წლის გურამ ტორჩინავა და დაცვის კერძო სამსახურის "დუბროვნიკ-დ"-ს თანამშრომელი, 42 წლის ნიკოლოზ კრუტიკოვი.

სამართალდამცველები მიიჩნევენ, რომ ყველანი ქართული კრიმინალური დაჯგუფების წევრები იყვნენ, ხოლო თავდასხმა, უშუალოდ, ვახტანგ ქარდავას ლიკვიდირებისთვის იყო მოწყობილი.

შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია სამი ავტომატი "არგან 2000", რომლებსაც ნომრები ჰქონდათ წაშლილი. სავარაუდოდ, სწორედ ამ იარაღით ცდილობდნენ თავდაცვას დაღუპულები; ასევე, ამოღებულია პისტოლეტი IIM-545 და ოცამდე მასრა.

გაზეთ "იზვესტიას" ინფორმაციით, ვახტანგ ქარდავა, იგივე "ვახო სუხუმსკი", ეგრეთ წოდებული მეორე ეშელონის ქურდად ითვლებოდა და შაქრო-უმცროსის დაჯგუფებაში შედიოდა, რომელიც მოსკოვის მთელ სათამაშო ბიზნესს აკონტროლებს. ვახტანგ ქარდავა ძვირფასი ლითონებით და ქვებით არალეგალურ ვაჭრობას აკონტროლებდა.

თუმცა, ზოგიერთი მონაცემით, ბოლო წლებში ის მოსკოვის ოლქშიც აქტიურობდა; უზარმაზარი გავლენა ჰქონდა დოლგოპრუდნიში და ლობნში, სადაც ნავთობის ბაზები, ქარხნები, საბაჟო ტერმინალები და სხვა სოლიდური საწარმოები მდებარეობს.

გამოძიება ვახტანგ ქარდავას, გურამ ტორჩინავასა და ნიკოლოზ კრუტიკოვის მკვლელობას ეთნიკურ კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის გავლენის სფეროების გადანაწილებას უკავშირებს.

ცხელ კვალზე მკვლელთა დაკავება ვერ მოხერხდა. არსებობენ თვითმხილველები, რომლებმაც დაინახეს, როგორ ჩასხდნენ სამნი მუქი ფერის უცხოური მარკის ავტომანქანაში. სამი ადამიანის მკვლელობის ფაქტზე მოსკოვის ცენტრალური ადმინისტრაციული ოლქის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

ვახტანგ ქარდავას ძმა, "კრისტალბანკის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, ასევე ცნობილი "კანონიერი ქურდი", თენგიზ ქარდავა 2002 წლის მაისში კუტუზოვის პროსპექტზე უცნობმა პირებმა მანქანაში ჩაცხრილეს. მისი მკვლელებისთვის დღემდე არავის მიუგნია.

*24 საათი*

# სისხლის სამართლებრივი დევნის საკითხებს მრგვალი მაგიდა მიეძღვნება

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და ეუთოს (OSCE) თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართება მრგვალი მაგიდა თემაზე "წინასწარი გამოძიება და სისხლის სამართლებრივი დევნა". ამ თემის აქტუალობა განაპირობა სისხლის საპროცესო კანონმდებლობაში შეტანილმა უახლესმა ცვლილებებმა. კერძოდ, გაუქმდა წინასწარი გამოძიების საწყისი ეტაპი - მოკვლევა; ერთმანეთისაგან გაიმიჯნა წინასწარი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა; შეიცვალა საპროცესო ვადები. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით გაფართოვდა უწყებრივი საგამოძიებო ქვემდებარეობა ისეთი უწყებებით, როგორიცაა თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროები. ცვლილებები განიცადა აგრეთვე საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტმაც. ამ საკანონმდებლო სიახლეთა განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, იუსტიციის სასწავლო ცენტრის, საერთო სასამართლოების, გენერალური პროკურატურისა და სხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები.

*მედიანიუსი*

# გერმანიის იუსტიციის მინისტრი გენერალურ პროკურორს შეხვდა



შეხვედრა გენერალურ პროკურატურაში.

ინტერ-პრესის ფოტო

თბილისში ვიზიტად მყოფი გერმანიის იუსტიციის ფედერალური მინისტრი ბრიგიტე ციპრისი საქართველოს გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს შეხვდა.

დახურულ კარს მიღმა შეხვედრა დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. ციპრისმა გენერალური პროკურატურა კომენტარის გარეშე დატოვა.

გერმანიის იუსტიციის ფედერალური მინისტრი საქართველოში 27 აპრილს ჩამოვიდა. ვიზიტის ფარგლებში ციპრისი საქართველოს იუსტიციის მინისტრს კოტე კემულარიას, პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს კოტე კუბლაშვილსა და სხვა ოფიციალურ პირებს შეხვდა.

საქართველოსა და გერმანიის იუსტიციის მინისტრებმა ორი ქვეყნის ერთობლივ დეკლარაციას მოაწერეს ხელი, რომლითაც კადრებისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის საკითხებში შემდგომი თანამშრომლობის გაფართოებაა გათვალისწინებული. ორი ქვეყნის თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებებია ადამიანის უფლებათა კონვენცია, ევროკავშირის სამართალი, საერთაშორისო ხელშეკრულებები, სანოტარო სამართალი, არასრულწლოვანთა საქმეების სისხლის სამართალი და სასაჯელაღსრულება. გერმანიის იუსტიციის ფედერალურმა მინისტრმა ბრიგიტე ციპრისმა საქართველო 28 აპრილს დატოვა.

*ინტერ-პრესი*

# გორში საჯარო ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია

სახალხო დამცველის აპარატის სამოქალაქო განათლების სამმართველოს წევრები, შიდა ქართლის რეგიონში სახალხო დამცველის რწმუნებულთან გიორგი არაყიშვილთან ერთად, გორის არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრისას განიხილეს შიდა ქართლში არსებული პრობლემები. მასპინძლებმა ისაუბრეს საზოგადოების აქტიურობის დაბალ ხარისხზე. ამასთან, მათ სინანული გამოთქვეს იმის გამო, რომ ბოლო პერიოდში გორში თითქმის შეუძლებელი გახდა საჯარო ინფორმაციის მოპოვება. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ პრობლემები ყველა რეგიონში არსებობს, მაგრამ გორში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მათი მუშაობის შედეგია.

*მედიანიუსი*

# ქუთაისის პროკურატურას უნდობლობას უცხადებენ

ქუთაისის პრესის სახლის დირექტორი, ჟურნალისტი ელისო კილაძე ქალაქის პროკურატურას უნდობლობას უცხადებს და ჟურნალისტთა ჯგუფთან ერთად პროკურორ ჯუბა ლელაძის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას მოითხოვს. კილაძის განცხადებით, ჯუბა ლელაძე იმერეთის ვიცე-გუბერნატორის გრიგოლ შუშანიას მიმართ საგამოძიებო მოქმედებების დაწყებას განგებ აჭიანურებს. ელისო კილაძემ პროკურატურას ერთი თვის წინ მამართა და შუშანიას დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ მასალები გადასცა. ერთ-ერთი ბრალდების მიხედვით, ვიცე-გუბერნატორი დეზერტირია და თავს არიდებს სამხედრო სავალდებულო სამსახურს. როგორც დღეს გამართულ ბრიფინგზე ელისო კილაძემ განაცხადა, აღნიშნულ მასალებს ის ამჯერად იმერეთის ოლქის პროკურორს მიხეილ ჩოგოვაძეს გადასცემს.

*ინტერ-პრესი*

# ბაგაფშმა კადრები დაიწუნა

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში სამართალდამცველი სტრუქტურების თანამშრომლებს შეხვდა. თათბირს სეპარატისტული სოხუმის პრემიერ-მინისტრი ალექსანდრ ანქვაბი, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსი იური აშუბა, შს მინისტრი ოთარ ხეცია და ქალაქ სოჭის შს სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე ალექსანდრ დუბინსკი ესწრებოდნენ. როგორც სერგეი ბაგაფშის პრესსამსახურში აცხადებენ, შეხვედრა მიეძღვნა აფხაზეთის, ქალაქ სოჭისა და კრასნოდარის მხარის სამართალდამცველებს შორის ურთიერთობის გაღრმავებისა და ინფორმაციების გაცვლის საკითხებს. მთავარ ამოცანად დაისახა ზღვისპირა კურორტების უსაფრთხოების დაცვა. აფხაზთა პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა შს სამინისტროს კადრების გადახალისება და მაღალკვალიფიციური თანამშრომლების მიღება დაავალეს.

*მედიანიუსი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი ..........

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ..........

საკონტაქტო ტელეფონი ..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# უწყინარი სტატისტიკა მძიმე რეალობის ფონზე

პირველი გვერდიდან

## მსოფლიო ეკონომიკის პროვინცია

სოციალური დაცვის პოლიტიკაში მთავარი - ისეთი პირობების შექმნაა, რომელიც ადამიანებს, ქვეყნის ყველა მოქალაქეს, მუშაობითა და მიღებული ანაზღაურებით ოჯახის შენახვის თანაბარ შესაძლებლობას მისცემს. ექსპერტები ამგვარ განმარტებასაც არ სჯერდებიან. დასაქმება, მათი დასკვნებით, არ უნდა ნიშნავდეს სახელმწიფოსადმი ადამიანის შრომით ვალდებულებას - დასაქმება პიროვნების ინიციატივისა და შრომითი აქტივობის ფუნქცია უნდა იყოს. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ ამ საკითხებზე ყურადღება ჯერ კიდევ 1975 წელს გაამახვილა და გენერალურ ასამბლეაზე მოსახლეობის პროფესიული ორიენტაციისა და პროფესიული განვითარების კონცეფცია მიიღო.

კონცეფციის მიხედვით, სოციალური დაცვის ყველა პროგრამა, მთლიანად სოციალური პოლიტიკა ხელს უნდა უწყობდეს ინდივიდის უნარებისა და სოციალურ სფეროში მისი აქტივობის ამაღლებას, მათი შესაძლებლობების გამოყენებას მათივე ინტერესებისა და მისწრაფებებისათვის, რა თქმა უნდა, საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით. ამგვარ კატეგორიულობას თავისი მიზეზები აქვს. მეცნიერულადაა დასაბუთებული, რომ ინდივიდზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკა პირდაპირ გავლენას ახდენს არა მარტო შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, არამედ ადამიანის ჯანმრთელობასა და სულიერ მდგომარეობაზე, რადგან საქმე სასურველი ცხოვრებისეული გზის არჩევას ეხება.

აი, რას ამბობს ამასთან დაკავშირებით ფსიქოლოგი მზია გომელაური: **"ადამიანი ისეა მოწყობილი, რომ მან აუცილებლად უნდა აკეთოს რაღაც, აზრი მისცეს ცხოვრებას. სხვაგვარად მოყირჭების განცდა ეუფლება. ბავშვსაც კი აქვს ასეთი განცდა, თუკი არაფერს აკეთებს, მიუხედავად იმისა, რომ მას არაფრის კეთება მოეთხოვება. ადამიანს არ შეუძლია არაფერი აკეთოს, თუნდაც მატერიალური პირობები აძლევდეს ამის საშუალებას. იგი აუცილებლად უნდა იყოს რაიმეთი დაკავებული. ამასთან, ადამიანმა უნდა აკეთოს ის, რაც მის ნიჭს, მისწრაფებებს შეეფერება. აუცილებლად – ორივეს ერთად, რადგან ნიჭი უამრავი არსებობს, მაგრამ მხოლოდ ასეთი თანხვედრა აძლევს ადამიანს სრული იდენტობის განცდას საკუთარ თავთან. ეს არის არაჩვეულებრივად კომფორტული შეგრძნება. სადაც იგი არ სუფევს, ჩნდება სიცარიელის ტოტალური განცდა, რასაც სპეციფიკური – ნეოგენური ნევროზი მოსდევს."**

მოსახლეობის პროფესიული ორიენტაციისა და პროფესიული განვითარების საერთაშორისო კონცეფციას საქართველო 1992 წლის მოწვევის პარლამენტის მოქმედებისას შეუერთდა. თუმცა, ამ დოკუმენტის ძირითადმა აზრმა - რომ სამუშაო სცილდება მატერიალური უზრუნველყოფის ჩარჩოებს და უმუშევრის, ფაქტობრივად, უსახსროდ დარჩენილთათვისაც კი, ღრმად პიროვნული, ადამიანური თვისებების წინ წამოწევის, განმტკიცების საშუალებად იქცევა - აქ გამოყენება ვერ ჰპოვა. სოციალური დაცვის მთავარი მექანიზმი - მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა ათეული წლის განმავლობაში მხოლოდ პოლიტიკოსთა წინასაარჩევნო ინტერესის საგნად რჩებოდა. შესაბამისად, დასაქმებულთა (აღარაფერს ვამბობთ საკუთარი მოთხოვნილებების შესაბამისად დასაქმებაზე) რაოდენობამ ქვეყანაში კატასტროფულად იკლო.

ის, რომ უმუშევართა შორის საქართველოში მაღალია უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონეთა ხვედრითი წილი, აშკარად მიგვანიშნებს ქართველ სპეციალისტთა პროფესიული შემადგენლობის შეუსაბამობაზე თანამედროვე საბაზრო მოთხოვნებთან. კიდევ ერთ პრობლემას ქმნის ის, რომ განათლების ჩვენთან მოქმედი სტანდარტები ხშირად იმ სპეციალობებზე არსებულ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს, რომელიც შრომის ბაზარზე აქტუალურია. ყველაფერი ეს პირდაპირ გავლენას ახდენს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე და, არც მეტი, არც ნაკლები – ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობაზე.

იმავე აღწერის მონაცემებით, 1989 წლიდან მოყოლებული, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 15,8 პროცენტით შემცირდა. ეს ცვლილება, ძირითადად, განპირობებულია შობადობის კლების შედეგად ბუნებრივი მატების მკვეთრი შემცირებით და უარყოფითი მიგრაციული სალდოთი. შობადობის კლება და მიგრაცია, თავის მხრივ, ქვეყანაში განვითარებული სოციალურ-ეკონომიკური პროცესებითაა განპირობებული. საქართველოში უარყოფითია შიდამიგრაციული სალდოც. ქალაქი დასაქმების შესაძლებლობებს იძლევა და ხალხიც მისკენ იწევს. შედეგად, საქართველოში 162 სოფელი გაუკაცრიელდა, მათ შორის, სამი საკრებულო - მთლიანად.

უფრო ახალი მონაცემებით, რომელიც სხვადასხვა ექსპერტების დასკვნებს ეყრდნობა, სიღატაკის ზღვარს მიღმა საქართველოში იმყოფება 150 ათასი ოჯახი. ეს ის ოჯახებია, რომლებიც პერიოდულად დგანან შიმშილის საფრთხის წინაშე; რომელთა გადაბიჯება ამ ზღვარზე, შესაძლოა, ოჯახის რომელიმე წევრის ავადმყოფობამ, ან ნებისმიერმა სხვა, გაუთვალისწინებელმა ხარჯმა განაპირობოს. იგივე მონაცემებით, ულატაკესია 10 პროცენტი, ღარიბი - 40 პროცენტი, მოწყვლადი – 35 პროცენტი; შეძლებული - ჩვენი მოსახლეობის მხოლოდ 15 პროცენტია. ასეთია ოფიციალური სტატისტიკა, რომელსაც, რეალური ვითარების გათვალისწინებით, შეიძლება, შერბილებულიც ეწოდოს.




უმუშევართა დასაქმება სოციალური დახმარების და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს კომპეტენციაში შედის. რას სთავაზობს დღეს სახელმწიფო უმუშევრად დარჩენილ ადამიანს? ძირითადად, ეს არის კომპენსაცია ოცლარიანი შემწეობის სახით (ექვსი თვის განმავლობაში), ოღონდ, გარკვეული პირობების გათვალისწინებით. სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის ლევან ფერაძის განმარტებით, იმისათვის, რომ პირმა მიიღოს ხსენებული დახმარება, მას უნდა ჰქონდეს ერთი წლის უწყვეტი სტაჟი და სააგენტოს უნდა მიმართოს სამუშაოდან დათხოვნის დღიდან არაუგვიანეს სამი თვისა.

**"ჩვენ შრომის ბაზრის ანალიზს ვაკეთებთ. ადამიანებს ვთავაზობთ პროფესიის შეცვლას. ორ-სამთვიანი მომზადება-გადამზადების კურსებს სახელმწიფო აფინანსებს. მაგალითად, წელს 30-მდე დასახელების პროფესიაა, რომელშიც უმუშევრებს გადავამზადებთ,"** - განუცხადა "24 საათს" ლევან ფერაძემ.

პარიკმახერის, პედიკიურის სპეციალისტის, კოსმეტოლოგის, მზარეულის, მიმტანის, ავტომანქანის შემკეთებლის, მცხობელის თუ ძიძის პროფესიები მაღალპრესტიჟული არ გახლავთ, მაგრამ ფართოდ გამოყენებადია. ადამიანთა გარკვეული კატეგორიისთვის ასეთ სამუშაოებზე მოწყობა ერთგვარი წარმატებაა. უმუშევართა დიდი ნაწილისთვის კი დასაქმების სააგენტოს მიერ შეთავაზებულ პროფესიათა ჩამონათვალი მიუღებელია.

ოფიციალური სტატისტიკა დასაქმების შესახებ ასეთია: 2004 წლის პირველ კვარტალში დასაქმების დონე 55,7 პროცენტს შეადგენდა, მეორე კვარტალში - 58, 0 პროცენტს, მესამე კვარტალში კი - 57,2 პროცენტს. 2003 წელს დასაქმების საერთო მაჩვენებელი 60,0 პროცენტს უტოლდებოდა. ლევან ფერაძის განცხადებით, შარშან სოციალური დახმარების სააგენტოს დახმარებით 3995 ადამიანი დასაქმდა. 2004 წელს გადამზადების კურსები გაიარა 220-მდე სხვადასხვა პროფესიის ადამიანმა. მათ შორის იყვნენ ექიმებიც, პედაგოგებიც. რიცხოვნებით ძალოვანი სტრუქტურების ყოფილი თანამშრომლები ჭარბობდნენ. ყველაზე დიდი მოთხოვნილება პარიკმახერის პროფესიაზე იყო. **"ეს სავსებით ბუნებრივიცაა,** - აღნიშნავს დასაქმების სააგენტოს დირექტორი, - **თუ ადამიანი პარიკმახერის პროფესიას დაეუფლება და ბინაზე საჭირო ფართსაც გამოძებნის, საკმაოდ მცირე ინვესტიციით შეიძლება სამეწარმეო საქმიანობა დაიწყოს; ექიმები კი ხშირად ძალიან კარგი კოსმეტოლოგები ხდებიან, თუმცა მენტალიტეტის პრობლემა ჩვენი მოსახლეობის ფსიქოლოგიაში ისევ თვალშისაცემი რჩება."**

ამჟამად, სახელმწიფოს მხრიდან დასაქმება, შეიძლება ითქვას, სიმბოლურ ხასიათს ატარებს. რაოდენ მიმზიდველიც უნდა იყოს დასაქმების სააგენტოს მიერ შეთავაზებული პროფესიები, ყველა მსურველის დაკმაყოფილება, რასაკვირველია, ვერ მოხდება. ისიც ყველასთვის ცხადია, რომ სასურველი ვაკანსიები, ისე როგორც მთელ ქვეყანაში, სააგენტოს სინამდვილეშიც წინასწარ, ნაცნობმეგობრობით ხმაურდება.

■ ■ ■

2000 წელს, ევროპის კომისიამ გამოაქვეყნა საფუძვლიანი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც განათლება ადამიანებისთვის, თუნდაც - ყველაზე ღარიბებისთვის, ქვეყნის ნებისმიერ კუთხეში, მთელი სიცოცხლის განმავლობაში უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ეს იმისათვის გაკეთდა, რომ, გლობალიზაციის ფონზე, ადამიანური რესურსებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების საშუალებით, მსოფლიო ბაზარზე ევროპის კონკურენტუნარიანობა შენარჩუნდეს.

ეს კონცეფცია წარმოადგენს აბსოლუტურად ახალ ხედვას საზოგადოების განათლების კუთხით. გერმანიის სახალხო უნივერსიტეტების ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის რეგიონული წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ლუდმილა კლოტცი, რომელიც დიდი ხანია, საქართველოში ამ მიმართულებით საქმიანობს, ამბობს: **"ევროპის ქვეყნებში უკვე მოქმედებს სახალხო უნივერსიტეტები, სადაც ახალი პროფესიის დაუფლების მსურველებს სთავაზობენ სპეციალობების ფართო სპექტრს და სერთიფიკატებითაც აღჭურვავენ. ეს დაწესებულებები სამი წყაროსგან ფინანსდება: ფედერალური, მუნიციპალური ბიუჯეტებიდან და თავად მსმენელთა მიერ. ამ კურსების ძირითადი ნაწილი არ არის ძვირი და, ფაქტობრივად, ყველასთვის ხელმისაწვდომია. ყველა ქვეყანა იბრძვის იმისთვის, რომ მსოფლიო ეკონომიკის პროვინციად არ იქცეს. დღეს მიდის "ჭკვიანი თავებისთვის" ბრძოლა. ამის გათვალისწინება ნებისმიერი ქვეყნისთვის აუცილებელია. სხვაგვარად სახელმწიფო ვერ განვითარდება."**

საქართველოს მკვეთრი ორიენტირი არც ამ მიმართულებით აქვს აღებული. თავად განსაჯეთ: დასაქმებულთა გადამზადებაზე სახელმწიფო 200 ათას ლარს ხარჯავს, დაახლოებით 8 მილიონი ლარი კი სოციალურად დაუცველთა შემწეობების დარიგებისთვის არის გამოყოფილი. სურათი ნათელია - ჩვენი ხელისუფლება დასაქმების პასიურ პოლიტიკას ირჩევს. სოციალური დახმარებისა და დასაქმების სააგენტოს დირექტორი ამას სახელმწიფო ბიუჯეტის მწირი შესაძლებლობებით ხსნის. ჩვენი ქვეყანა, რომელიც მიზერს ხარჯავს საკუთრივ უმუშევართა შემწეობებზე, ჯერ არ შეწუხებულა იმით, რაც განვითარებულ სახელმწიფოებს აწუხებთ - დაუსაქმებელთა შესანახად საჭირო სერიოზული დანახარჯებით.

ერთი რამ ჩვენს ხელისუფალთ მაინც უნდა აწუხებდეთ: სოციალური აფეთქების საშიშროება, რომელიც ხანგრძლივ უმუშევრობას მოჰყვება; მისგან გამოწვეული საშიში კრიმინალური ვითარება - დანაშაულთა დიდი პროცენტი სწორედ სოციალური პრობლემებით მოტივირდება; ნარკომანია - რომელისკენაც ადამიანს საკუთარი თავის რეალიზების შესაძლებლობების არქონა უბიძგებს. და კიდევ - აშკარა საშიშროება იმისა, რომ, თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ ნამდვილად მსოფლიო ეკონომიკის პროვინციად ვიქცევით.

## ბევრს წაგართმევენ და ცოტას შეგეწევიან

სოციალურად ყველაზე მტკივნეულ პერიოდში, როცა მასობრივ უმუშევრობას თან ერთვის სტრუქტურულ რეფორმებთან დაკავშირებული მასობრივი შემცირებები, მთავრობამ იოლ ხერხს მიმართა – "დროებით" შეაჩერა საჯარო სამსახურის შესახებ კანონის ის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, სამუშაოდან დათხოვნილ პირს მატერიალური კომპენსაცია ეძლევა სახელფასო ანაზღაურების სახით. კანონის ეს პირობა 2006 წლის იანვრამდეა შეჩერებული. ბუნებრივია, ჩნდება სერიოზული ეჭვი იმისა, ხელისუფლებამ ყველაფერი წინასწარ გათვალა, რა თქმა უნდა, თავის სასარგებლოდ – ქვყანაში სერიოზული ინსტიტუციონალური და საკადრო შემცირებები უნდა განხორციელდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ამ შემთხვევაში ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნის ადამიანთა იმ კატეგორიის წინაშე, რომელიც, ფაქტობრივად, მარტოდმარტო, საკუთარი ძალებით უნდა შეებრძოლოს ისეთ მწვავე სოციალურ პრობლემას, როგორიც არის უმუშევრობა.

საჯარო სამსახურის შესახებ კანონის ის პირობა, რომელიც სამსახურიდან დათხოვილ პირზე, სახელფასო თანხის სახით, კომპენსაციის გაცემას გულისხმობს, მთავრობამ 2004 წლის ზაფხულში შეაჩერა. დაპირების მიხედვით, კანონის ხსენებული მოთხოვნა 2005 წლის იანვარში უნდა ამოქმედებულიყო, მაგრამ შეზღუდვა კვლავ გაგრძელდა, სავარაუდოდ, 2006 წლის იანვრამდე.

"24 საათმა" ამ პრობლემის თაობაზე კომენტარი სთხოვა პარლამენტის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს გიგი წერეთელს: **"ჩვენმა კომიტეტმა მთავრობას მიმართა იმისათვის, რათა ერთობლივად რაღაც მექანიზმები ჩამოვაყალიბოთ. მთავრობამ უნდა განსაზღვროს თავისი შესაძლებლობები... აქვე უნდა ითქვას, რომ, თავისთავად, კომპენსაციების სისტემა გადასახედია. თავის დროზე კანონში, რეალობის გაუთვალისწინებლად, ძალიან ბევრი ვალდებულება ჩაიდო."**

მართალია, გიგი წერეთელს კანონში ჩადებული ვალდებულებები ებევრება, თუმცა პასუხისმგებლობის გრნობას ინარჩუნებს: **"ეს იმას არ ნიშნავს, რომ კომპენსაციაზე საერთოდ ვთქვათ უარი. პირველ ეტაპზე სახელმწიფომ მინიმალური თანხა მაინც უნდა გაიღოს, თუნდაც, ერთი თვის ხელფასის სახით. როცა ადამიანი სამსახურიდან მიდის, მასზე აუცილებლად უნდა მოქმედებდეს სოციალური დაცვის მექანიზმი."** მაშინ რატომ დააკმაყოფილა პარლამენტმა მთავრობის წინადადება, შეჩერებულიყო კანონის მუხლი, რომლითაც საჯარო სამსახურიდან დათხოვნილებს კომპენსაცია ეკუთვნოდათ?

**"მე ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება აბსოლუტურად უსამართლოა. დღეს ადამიანებს მასობრივად უშვებენ სამსახურიდან. "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მიხედვით (მხედველობაში მაქვს შეჩერებული მუხლი), სამსახურიდან გათავისუფლებულ მოხელეს სამი თვის თანამდებობრივი სარგოს კომპენსაცია ეძლეოდა. საქართველოს ხელისუფლებამ იცოდა, რომ სერიოზული თანხის დახარჯვა მოუწევდა და კანონის ეს მოთხოვნა უსამართლოდ შეაჩერა... ვიცი, ხელისუფლება ამას ფორს-მაჟორს დაარქმევს, მაგრამ ფორს-მაჟორი თავადვე შექმნა, ამიტომ ეს გამამართლებელი ვერ იქნება,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა თინათინ ხიდაშელმა.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, ერთი მაღალი რანგის ჩინოვნიკი შეეცადა, მოსახლეობისათვის, სატელევიზიო ეთერის საშუალებით, თვალში ნაცარი შეეყარა. მან ბრძანა: მართალია, კომპენსაციები არ გაიცემა, მაგრამ სახელმწიფო უმუშევრად დარჩენილ ადამიანებს შემწეობის სახით ეხმარებაო. **"კომპენსაცია და შემწეობა ორი პრინციპულად სხვადასხვა რამ არის,** - აღნიშნავს ხიდაშელი, **- ეს შემწეობები უმუშევრებს ისედაც ეკუთვნით და მას საჯარო სამსახურთან არანაირი კავშირი არა აქვს."**

უბრალო არითმეტიკაა საჭირო იმის მისახვედრად, რომ წართმეული ბევრია – ერთდროულად ასაღები სამი თვის თანმდებობრივი სარგო, ხოლო დახმარება, ანუ შემწეობა კი, ძალიან ცოტა - მხოლოდ 120 ლარი ექვსი თვის განმავლობაში.



100 ლარი ბიბლიოთეკის გადასარჩენად



B3

დევიდ ბექჰემი: "საუკეთესო ფორმაში ვარ"



B4

"ლივერპულმა" გაბედა და ირწმუნა



B5

# 800 მილიონი ევროპელის ევროპა

*სიტყვა, წარმოთქმული 2005 წლის 5 აპრილს, ვენეციაში, ევროპის კულტურული ასოციაციის გენერალური ასამბლეის სხდომაზე*

ლანა ღოღობერიძე
ევროპის კულტურული ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი

*ევროპის კულტურული ასოციაცია დაარსდა 1950 წელს ვენეციაში. მისი მიზანი იყო მწერალთა, შემოქმედთა და მეცნიერთა გაერთიანება ეროვნული წარმომავლობისა და იდეოლოგიური მრწამსის მიუხედავად. საზოგადოების დამაარსებელი იყო ცნობილი იტალიელი ფილოსოფოსი უმბერტო კომპანიოლო, კომიტეტის წევრები იყვნენ თომას მანი, მარკ შაგალი, ფრანსუა მორიაკი, ჯუზეპე უნგარეტი და სხვები. 1983 წლის 7-9 ოქტომბერს ეკა-ს ვენეციის დეკლარაციაში ნათქვამია: "ევროპის კულტურული ასოციაცია აცხადებს: ჭეშმარიტი სამყარო, სამყარო, რომლისთვისაც ომი არ არის ერთადერთი ალტერნატივა, მოითხოვს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების ახლებურ გააზრებას და სოლიდარულ პასუხისმგებლობას ყოველი პიროვნების და ერის მხრიდან. იგი სოლიდარობას უცხადებს ადამიანის ღირსებას. მიაჩნია, რომ სოლიდარობის იდეის მატარებლები, პირველ რიგში, კულტურის მოღვაწენი არიან, ამიტომაც ერთიანდებიან ისინი ეკა-ში, რითიც კისრულობენ პასუხისმგებლობას, ძალა და ენერგია არ დაიშურონ იმისათვის, რომ იპოვონ გამოსავალი ცივილიზაციის კრიზისიდან. ასოციაცია ამტკიცებს, რომ კულტურის პოლიტიკის საფუძველი არის ყოველი ადამიანის პიროვნული სინდისი".*



მინდა, დავიწყო განცხადებით, რომელსაც სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩემთვის: ჩემი აზრით, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის უდიდესი მოვლენა საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნაა, ისეთების, როგორიცაა გაერო, ევროკავშირი, ევროპის საბჭო, ეუთო, და ბევრად მოკრძალებული შესაძლებლობების, მაგრამ მნიშვნელოვანი მიზნების მქონე - ევროპის კულტურული ასოციაცია.

რატომ მიმაჩნია ეს მოვლენა ესოდენ გრანდიოზულად? შევეცდები, ვუპასუხო ამ კითხვას.

პირველად ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მოგვეცა შანსი, გავხდეთ საერთაშორისო ერთობის წევრები - ანუ შანსი, დავძლიოთ მარტოობა და მარტოობასთან გადაჯაჭვული შიში. საუკუნეთა და საუკუნეთა მანძილზე ისეთი ქვეყანა, როგორიც საქართველოა, იყო განწირული მარტოობისთვის; პატარა ქრისტიანული ქვეყანა, გარშემორტყმული დიდი და ძლიერი სახელმწიფოებით, ხშირად დარბეული და განადგურებული სხვადასხვა დამპყრობელთა მიერ და მაინც ყოველთვის აღმდგარი და აღორძინებული სიცოცხლის დაუცხრომელი წყურვილითა და სიყვარულით, - ჩემი მშობლიური ქალაქი თბილისი, რომელიც 1500 წელს ითვლის, სულ ცოტა 300-ჯერ მაინც იყო იავარქმნილი და მაინც ყოველთვის უბრუნდებოდა სიცოცხლეს, - და აი ახლა, ეს ქვეყანა, რომლისთვისაც მარტოობა ისტორიული ბედისწერით იყო განსაზღვრული, აღმოჩნდა მსოფლიოსა თუ ევროპის ერთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე შექმნილი ოჯახის ღირსეული წევრი. ვფიქრობ, მთელმა ერმა უნდა შეისისხლხორცოს ეს ფაქტი და ღრმად გაიაზროს მისი მნიშვნელობა დღევანდელი დღისა და მომავლისათვის.

მე, პირადად, ვიცხოვრე ამ მარტოობაში, როგორც ტოტალიტარული რეჟიმის ტიპიურმა წარმომადგენელმა, დახვრეტილი მამისა და ათწლიან გადასახლებაში მყოფი დედის შვილმა, დედისა, რომელიც დააპატიმრეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისევე, როგორც ასიათასობით ქალს, ხალხის მტრის ოჯახის წევრი ერქვა. არ გეგონოთ, რომ მე გამონაკლისს წარმოვადგენდი, თითქმის ყველა ჩემ მეგობარს მამა, ან დედაც და მამაც დაჭერილი ჰყავდა. ერთადერთი რამ, რაც გვეხმარებოდა მარტოობის დაძლევაში, იყო ჩვენი ერთობლივი სწრაფვა თავისუფლებისაკენ. და როდესაც, ორმოციანი წლების დასარულს, რაღაც შემთხვევითობის ძალით, მე აღმოვაჩინე პოლ ელუარის ლექსი - "თავისუფლება", და ვთარგმნე ის ქართულად, ის ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის ნამდვილ აღმოჩენად და თვით თავისუფლების იდეის ხორცშესხმად იქცა.

***ჩემი ბავშვობის რვეულებზე***
***და ხეთა კანზე***
***ქვიშაზე თოვლზე***
***მე ვწერ შენ სახელს...***
***ვნებისგან დაცლილ***
***არყოფნაზე***
***მთლად გაშიშვლებულ***
***მარტოობაზე***
***ჩუმი სიკვდილის ნაბიჯებზე***
***მე ვწერ შენს სახელს...***
და ბოლოს:
***მე დავიბადე რომ შენ***
***შეგიცნო***
***და შენ დაგარქვა ეს სახელი***
***თავისუფლება.***

ათეული წლების მანძილზე ჩვენ ვიცხოვრეთ ამ ასეთი უბრალო და ასეთი გულში ჩამწვდომი სიტყვებით.

ეს იყო, ამავე დროს, ჩვენი მიახლოება ევროპასთან.

და აი, დღეს ჩვენ მივედით სადღაც იქ, სადაც გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ვცხოვრობთ ჩვენი ბავშვობის ოცნებაში.

რა არის ჩვენთვის, საბჭოთა სინამდვილიდან გამოსული ადამიანებისთვის, ევროპა?

ევროპა ერთიანი, ევროპა გამთიშველი საზღვრების გარეშე, ევროპა, სადაც ყველას, ქვეყანას, ისევე, როგორც პიროვნებას, შეუძლია იცხოვროს თავისი თავისუფლებით.

ეს ისეთი მომხიბვლელია, ხედავდე, როგორ იქმნება ერთობა ერებისა, რომლებიც ინაწილებენ საერთო ბედს; ერთობა, რომელიც სამყაროს გლობალური მოთამაშე ხდება, რომელიც არ კმაყოფილდება იმით, რომ იყოს რეგიონული ძალა ან სუპერმარკეტი; სადაც ყველა გრძნობს თავის მნიშვნელობას სხვებისთვის და თავის თანასწორობას სხვებთან.

ეს ისეთი მომაჯადოებელია, წარმოიდგინო ერთიანობა ერებისა, რომლებიც ინაწილებენ საერთო სინდისს, ერთობა, სადაც ყველა ინარჩუნებს და ავითარებს თავის თვითმყოფადობას და რომელსაც ორ მატერიალისტ გიგანტს - ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის - არ ეშინია იყოს ცოტათი იდეალისტი, გააერთიანოს ერები თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, გამოიყენოს თავისი კულტურული მრავალფეროვნება და მისცეს პლანეტას თავისი სიმდიდრეების სამართლიანად განაწილების მაგალითი.

თქვენ იტყვით, რომ ეს ოცნებაა? შეიძლება. მაგრამ ეს ისეთი ოცნებაა, რომელიც ერთ დღეს სინამდვილედ იქცევა. ნუ გაგიკვირდებათ, რომ ჩვენ გვაქვს მძლავრი სურვილი, გავხდეთ ამ ოცნების თანაზიარი.

მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება ჩემი ქვეყნის აღმა და დაღმა სვლებზე მისი გრძელი ისტორიის მანძილზე. რომ დავიწყოთ პრომეთეთი, რომელმაც მოსტაცა ღმერთს ცეცხლი, რამაც მთელ კაცობრიობას მისცა შემოქმედების ბიძგი, როგორც ამბობდა გუშინ ბატონი გერემეკი; პრომეთე კავკასიონის ქედზე, ანუ საქართველოში იყო მიჯაჭვული; და ვინ იცის, იქნებ ქართველებს იმის მტკიცებაც მოუნდეთ, რომ ეს პირველი მეამბოხე ქართველი იყო? და მერე არგონავტები, რომლებიც ჩამოვიდნენ საბერძნეთიდან კოლხეთში, ანუ საქართველოში, და თან წაიღეს ოქროს საწმისი, სინამდვილეში ოქროს მოპოვებისა და დამუშავების ტრაქტატი, რაც 3000 წლის წინ ამ ქვეყნის განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს; და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია - ფაქტი, რომ საქართველო ბერძნულ-რომაულ კულტურას მიეკუთვნებოდა იმთავითვე; ქრისტიანობა მე-4 საუკუნეში ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა; ამავე საუკუნით (და ზოგიერთი თეორიით, ბევრად ადრინდელით), თარიღდება ქართული ანბანი; მე-12 საუკუნის ოქროს ხანა, რენესანსის იდეები, საყოველთაოდ გავრცელებული ამ დროს, - მაშინ საქართველოში უკვე არსებობდა პარლამენტის ჩანასახი, ორგანო, საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული; სიკვდილით დასჯა გაუქმებული იყო თამარ მეფის დეკრეტით, ქალის და კაცის თანასწორობა სახელმწიფო პოლიტიკის ქვაკუთხედად იყო გამოცხადებული... და მერე, დარბევებისა და უკუსვლის გრძელი საუკუნეები, 200 წელი გატარებული რუსეთის და შემდეგ საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში, დამოუკიდებლობის სამი ხანმოკლე წლით; და ბოლოს, საბჭოთა კავშირის რღვევა და ტანჯვის ფასად მოპოვებული დამოუკიდებლობა, ასეთი ნანატრი საუკუნეთა მანძილზე და მაინც სავსე წინააღმდეგობებით, შეცდომებით, ბედნიერებით, მარცხითა და გაჭირვებით. ჩვენ ვერ ავიცილეთ თავიდან ვერც ერთი საფრთხე, რომელიც გველოდებოდა დამოუკიდებლობის გზაზე, და მათ შორის ყველაზე მძიმე -- საკუთარ თავში ჩაკეტვისა და იზოლაციონიზმის საფრთხე, რომელმაც, საბოლოოდ, სამოქალაქო ომამდე მიგვიყვანა; და თუმცა დაპირისპირების წლებმა, ისტორიული თვალსაზრისით, სულ ცოტა ხანს გასტანა, ომმა ქაოსსა და სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდო. და სულ ბოლოს, ამ წელიწადნახევრის წინ, ვარდების რევოლუცია, რომელმაც გააერთიანა ერი და დაამკვიდრა ჭეშმარიტი იმედი, რომ, ბოლოს და ბოლოს, ნამდვილი დამოუკიდებლობა და თავისუფლება მოვიპოვეთ, და რომელმაც დასაბამი მისცა მძლავრ დემოკრატიულ მოძრაობებს მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეზე.

არის კიდევ ერთი რამ, რაც მთელ ამ - ისტორიულად დეტერმინირებულ - მოვლენებს თავისებურ ელფერს აძლევს, ეს არის ერის ხასიათი. მე ვფიქრობ ქართველების თვისებებზე, რომლებიც მათ ხმელთაშუა ზღვის კულტურასთან აახლოვებს, სიცოცხლის, სიყვარულის, დროსტარების, ღვინისადმი განსაკუთრებულ ლტოლვაზე, - ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ ეს ქვეყანა ღვინის აკვნად არის აღიარებული; ის სიმსუბუქე, გარკვეული თავქარიანობაც კი, რომელიც მთლად პოზიტიურ თვისებად არ შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ რომელმაც ყველა თავსდატეხილი ქარტეხილი გადაგვატანინა; სტუმართმოყვარეობა, რომელსაც მე აღვიქვამ, როგორც გახსნილობას სხვის, მოსულის მიმართ; ისტორიულად ცნობილი ტოლერანტულობა, - თბილისში თუ ჩამოხვალთ, თქვენ აუცილებლად გაჩვენებენ პატარა მოედანს ძველ ქალაქში, სადაც საუკუნეთა მანძილზე თანაარსებობენ ქართული მართლადიდებლური ეკლესია, კათოლიკური ეკლესია, მეჩეთი, სინაგოგა და გრეგორიანული ეკლესია.

მე შევეცადე დამერწმუნებინეთ, რომ ევროპული ფასეულობები უცხო არ არის ჩვენთვის, უფრო ზუსტად, რომ ისინი ჩვენი ფასეულობებიც არის.

ბატონმა არიგო ლევიმ ილაპარაკა გუშინ იმ სამ ძირითად განსხვავებაზე, რომელიც არსებობს ევროპულ ქვეყნებს შორის და რომელიც აბრკოლებს ერთა გაერთიანებას: 1) განსხვავება ცხოვრების დონესა, 2) განსხვავება ტრადიციებსა და 3) განსხვავება ინტერესებსა და ინსტიქტებს შორის. მე ამ სამი განსხვავებიდან მხოლოდ ერთი მიმაჩნია რეალურ დაბრკოლებად გაერთიანების გზაზე - განსხვავება ცხოვრების დონეთა შორის.

გაფართოების დღიდან ევროპა გადაიქცა პლანეტად მინიატურაში, სადაც თანაარსებობენ მდიდრები და ღარიბები. ცნობილი ფაქტია: ახალ წევრთა შორის, მხოლოდ სლოვაკეთის რესპუბლიკას, ჩეხეთის რესპუბლიკას და სლოვენიას აქვს შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, 15 ძველი წევრის შემოსავლის 50 პროცენტი. ევროკავშირმა უნდა იპოვოს ძალა, უპასუხოს ამ ეკონომიკურ შოკს. მე მგონია, რომ ეს ბუნებრივი დაძაბულობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის შეიძლება გადაილახოს, თუ ერთი მხრივ, ახლადმოსულები ნათლად გაიაზრებენ, რომ ისინი გარდამავალ პერიოდში იმყოფებიან და თავისი ქმედებები ამ მწარე რეალობას უნდა შეუფარდონ, და მეორე მხრივ, სოლიდარობის ყოვლისშემძლე და უკეთილშობილესი პოლიტიკით, რომელიც დაეხმარება ახალ წევრებს, დაამარცხონ მათი - ისტორიული უკუღმართობით განპირობებული - ჩამორჩენა.

ამ მიზნის მისაღწევად უაღრესად ცხოველმყოფლად მიმაჩნია კულტურული ასოციაციის იდეები. სრულად ვიზიარებ ამ აზრს: იმისათვის, რომ ევროპის კავშირმა რეალური ისტორიული წონა შეიძინოს, აუცილებელია შეიქმნას ევროპელების კავშირი. ევროპელებისა, რომელთა მენტალიტეტი სოლიდარობაზე, შემწყნარებლობაზე და სხვისი, ანუ განსხვავებულის აღიარებაზე იქნება დაფუძნებული. ეს ერთადერთი გზაა, გადავაბიჯოთ პიროვნულ და ეროვნულ ეგოიზმს, დავამარცხოთ ყველა სიკეთის და ბუნებრივი ფასეულობის გამანადგურებელი სიძულვილი, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს ერთა შორის. მე ნათლად ვხედავ, როგორ შეიძლება დაგვეხმაროს კულტურის პოლიტიკა ამ უმნიშვნელოვანესი მიზნის მიღწევაში.

და ბოლოს: მე დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში ევროპა შეიძლება იქცეს ნამდვილ ძლევამოსილ ერთობად და ითამაშოს თავისი მნიშვნელოვანი როლი მსოფლიოს ორ გიგანტს შორის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გააერთიანებს 800 მილიონ ევროპელს, რუსეთის ჩათვლით, როგორც ეს ხდება დღეს ევროპის საბჭოში (თუ დღევანდელი რუსეთის პოლიტიკა ევროპულ სულისკვეთებასთან სრულიად შეუფერებლად მიმაჩნია, - მხედველობაში მაქვს მისი პოზიცია სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით და, ყველა საერთაშორისო ნორმის საპირისპიროდ, სეპარატისტული რეგიონების მხარდაჭერა, - ის მაინც რჩება ევროპულ ქვეყნად თავისი დიდი ლიტერატურისა და კულტურის წყალობით). მე იმედი მაქვს, რომ სწორედ ეს არის ჩვენი არც ისე შორეული საერთო მომავალი: 800 მილიონი ევროპელის კავშირი!

ძვირფასო კოლეგებო, ნება მომეცით, მოგმართოთ ასეთი

მესიჯით: მეტი გულისყურით მოეკიდეთ ახალი დემოკრატიების

მომართვებს და სურვილებს; ნუ აიძულებთ მათ, ჩაიკეტონ თავიანთ თავში, ეს შეიძლება ყველასათვის სახიფათო აღმოჩნდეს. დამერწმუნეთ, ევროპული სოლიდარობით ვისარგებლებთ არა მხოლოდ ჩვენ, ახალი დემოკრატიის ქვეყნები, არამედ თქვენც, დასავლელები, ნახავთ სულის ჭეშმარიტი გამდიდრების შესაძლებლობას: იმ დღევანდელ და ხვალინდელ ახალ წევრებს, რომელთაც უამრავი ტანჯვა გამოიარეს თავიანთი ისტორიის მანძილზე, აქვთ სამყაროსა და მისი მომავლის საკუთარი, თქვენგან განსხვავებული ხედვა, ხოლო ერთად შეკრებილი და გაერთიანებული სხვადასხაობა, - ეს რეალური სიძლიერეა.



# აფიშა

## კონცერტები

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
როკ-ჯგუფი "ბერმუხა"
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**სამეფო უბნის თეატრი**
არტურ მილერი
"ყველა ჩემი შვილია"
რეჟისორი: ლეო ანთაძე
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"პატარა უფლისწული"
მარინე სურმავას სპექტაკლი
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
ამირან შალიკაშვილი
"კრიმანჭული"
(პანტომიმური ნოველები)
დადგმა: ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"რობოტები"
დას: 14:30 სთ.

"დაიკიდე"
დას: 12:00; 17:00; 19:30; 22:00 სთ.

**ამირანი**
"დაიკიდე"
დას: 13:00; 15:30; 20:00; 22:15 სთ.

"ტუსაღი"
დას: 22:00 სთ.

## გამოფენები

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
სააღდგომო გამოფენა
"თექა-მიქსი"

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**თაგის არტი**
"ფიროსმანი თენგიზ მირზაშვილის თვალით"

**ჰობი**
სააღდგომო გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა)

**ბავშვთა ნახატების გალერეა**
ნორჩ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა
"ევროპა-საქართველო"

**ეროვნული გალერეა**
გია ჯაფარიძის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი პერსონალური გამოფენა (ქანდაკება, ფერწერა)

**ცენტრ-პოინტის გალერეა**
ლია ბაგრატიონის ნამუშევრების გამოფენა "ფორმის ფორმა"

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge


## საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად

გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2005 წლის 31 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის საბოლოო ვადაა 2005 წლის 20 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**დოკუმენტური ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის საბოლოო ვადაა 2005 წლის 20 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**ანიმაციური ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის საბოლოო ვადაა 2005 წლის 20 მაისი, 17:00 სთ. დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საქართველოს ეროვნულ კინოცენტრს:

0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4

ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail: kinocentre@myoffice.ge


# 100 ლარი ბიბლიოთეკის გადასარჩენად

### საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეულის დიდი მიზნები და მოკრძალებული შესაძლებლობები

ია ვეკუა

ჩემი სოფლის ბიბლიოთეკა ზაფხულობით იკეტებოდა, ამიტომ დამსვენებლები ერთ უძველეს და მარტივ გზას მივმართავდით - შენობაში ფანჯრიდან ვძვრებოდით და წიგნებს ვიპარავდით. ასე ნელ-ნელა ვანადგურებდით უნიკალურ ბიბლიოთეკას და თავს იმით ვიმშვიდებდით, რომ წიგნის ქურდი ქურდი არ არის. ეს არ არის მონანიება, უბრალოდ, საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეულის დაწყებისთანავე ამ დაწესებულებებთან დაკავშირებული ყველაზე სამახსოვრო თავგადასავალი გამახსენდა.



კვირეული გუშინ დაიწყო და 13 მაისამდე გასტანს. რა თქმა უნდა, ამ კვირეულს არა აქვს იმის პრეტენზია, რომ ქართული ფეხბურთის ისტორიის ღირშესანიშნავ თარიღს დაჩრდილავს, მაგრამ დროებით მთელი ქვეყნის ბიბლიოთეკარებს მაინც მოწყვეტს ნესტისგან შეჭმულ წიგნებსა და თაროებზე წლების განმავლობაში დაგროვილ მტვერს. სწორედ ამ დღეს საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული საზეიმოდ დაიხურება და საუკეთესო ბიბლიოთეკებს დააჯილდოებენ.

როგორც საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, უკვე შერჩეულია 60 ბიბლიოთეკა, რომელთა შორის რამდენიმე საუკეთესოს ამოარჩევენ და 100 ლარით, ამ თანხის ღირებულების წიგნებით ან სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოებენ. 100 ლარით გამარჯვებული ბიბლიოთეკები, ალბათ, 30 წიგნსაც ვერ იყიდიან. სამახსოვრო საჩუქარი კი იმდენი აქვთ (მაგალითად, საბჭოთა ლიტერატურა და ხის კოჭებიანი საანგარიშოები), რომ უახლესი ისტორიის მუზეუმის მოზრდილ დარბაზსაც გაავსებენ. ბიბლიოთეკებს მხოლოდ ქმედითი პროექტები და, რაც შეიძლება, მეტი დაფინანსება სჭირდება.

ამით კი კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ნამდვილად შეუძლია იტრაბახოს. როგორც კვირეულის გახსნაზე მინისტრის მოადგილემ თამარ ქვარიანმა აღნიშნა, შარშან სამინისტროს საქართველოს ბიბლიოთეკებისთვის 100 ათასი ლარი გადაუცია. ეს თანხა ახალი წიგნების შეძენას, პასპორტიზაციას, კონფერენციების ჩატარებას და მეტ-ნაკლებად ინვენტარიზაციას მოხმარდა, რაც უკანასკნელი 10-12 წლის განმავლობაში არ მომხდარა. თუმცა, წიგნსაცავის განახლება პრობლემას მხოლოდ ნაწილობრივ ხსნის. არა მხოლოდ რაიონების, არამედ თბილისის ბიბლიოთეკებშიც წიგნებისთვის შეუფერებელი გარემოა შექმნილი. სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ბიბლიოთეკარების კვალიფიკაციის დონეც.

საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეულიც სწორედ ამ სფეროში შექმნილი საკითხების შეძლებისდაგვარად მოგვარებისთვის მოგონილი ღონისძიებაა. ამ დღეებს დაემთხვა ჟურნალ "საქართველოს ბიბლიოთეკების" პირველი ნომრის გამოსვლაც. ცხადია, ეს სიახლე ნაკლებად მოახდენს გავლენას ბიბლიოთეკების მუშაობაზე, მაგრამ ბიბლიოთეკარებს ის მაინც გაახარებთ, რომ მათზე ვიღაც წერს და კითხულობს კიდეც.

**ირაკლი ღარიბაშვილი:** "ამ კვირეულის ჩატარება იმ პიარ კამპანიის ნაწილია, რომელიც საზოგადოებისთვის ბიბლიოთეკების პრობლემების გაცნობას და მათი ერთობლივად გადაჭრის გზების ძიებას ითვალისწინებს. მსგავსი ღონისძიება მრავალ ქვეყანაში ტარდება და მეტ-ნაკლებად შედეგის მომტანიცაა. კვირეულის მიზანია, დავსახოთ საქართველოს ბიბლიოთეკებში არსებული კონკრეტული პრობლემები და განვსაზღვროთ, რა როლს ასრულებენ ისინი საზოგადოების ცხოვრებაში. აუცილებელია ბიბლიოთეკების კომპიუტერიზაცია და კარტოთეკების მოწესრიგება. ამისთვის კი სახელმწიფომ მათი დაფინანსება უნდა გაზარდოს."

13 მაისამდე საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციას მასშტაბური გეგმა აქვს გასახორციელებელი. ამ დღეების განმავლობაში მოხდება ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დემონსტრირება, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარებული ატესტაციის შედეგების მიმოხილვა, გაიმართება სამეცნიერო კონფერენციები, შეხვედრები და იშვიათი გამოცემების გამოფენები.

გარდა ამისა, დაგეგმილია ვაჟა ფშაველას, დავით გურამიშვილის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, ტიციან ტაბიძისა და სხვათა შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამოები. ჩატარდება თანამედროვე ქართველი და უცხოელი ავტორების ახალი წიგნების პრეზენტაციები.

ამ ღონისძიებებში ჩაერთვებიან რეგიონული, მათ შორის სოფლებში განლაგებული და თითქმის განადგურებული ბიბლიოთეკებიც.

კვირეული 13 მაისს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს შენობაში დაიხურება. აქვე შედგება საუკეთესო ბიბლიოთეკების დაჯილდოების ცერემონიალი საპრიზო 100-100 ლარის გადასაცემად.

# პრაგმატული ადამიანი

ანა სიხარულიძე

*ქართულ სცენაზე ცოცხალი მუსიკის არც ისე ბევრი შემსრულებელია. იმისთვის, რომ მათ კონცერტს დავესწროთ, აუცილებლად რაღაც "რევოლუციური" უნდა მოხდეს. და თუ ასეთი კონცერტები ტარდება, მათ სათანადოდ არავინ აშუქებს. ჟურნალისტების ყურადღებას მხოლოდ ჯგუფების ლიდერები იქცევენ, ამ ჯგუფების რიგითი წევრების ვინაობა კი მსმენელებისთვის ძირითადად უცნობი რჩება. ამ რუბრიკით წარმოგიდგენთ იმ ადამიანებს, რომლებიც ქართულ ცოცხალ მუსიკას ქმნიან.*

**დათო ხოსიტაშვილი** "ზუმბას" და "სტუმარის" გიტარისტია. საუბრის დასაწყისშივე მთხოვა, რომ ინტერვიუს ლაიტმოტივი ქართული კულტურის განვითარება ყოფილიყო. საკმაოდ ბევრ საჭირბოროტო საკითხზე ვისაუბრეთ. დათო განათლების რეფორმას ემხრობა. თვლის, რომ კულტურის ჩამოყალიბება საბავშვო ბაღიდან უნდა იწყებოდეს. საშუალო სკოლებში მუსიკის გაკვეთილებზე ბავშვებს ქართული კულტურისადმი სიყვარული უნდა ჩაუნერგონ. "ძალიან მაწუხებს ჩვენი ქვეყნის კულტურული მდგომარეობა, განსაკუთრებით მუსიკალური. ამ მხრივ სიტუაცია ნამდვილად სავალალოა. იმიტომ, რომ თავის დროზე მუსიკას არასწორი მიმართულება მისცეს. დროდადრო თითქოს კალაპოტში დგებოდა, მაგრამ ბარიერები ხვდებოდა - ფინანსური, ტექნიკური ან, უბრალოდ, გაუნათლებლობის ბარიერები. ძალიან მძიმე სიტუაციაა ქართულ რადიოებსა და მუსიკალურ ტელეარხებზე. ეს ყველაფერი მსმენელის განვითარებას აფერხებს. საქართველოში არ არსებობს მოსმენის კულტურა. უმეტესობამ დარბაზში მოქცევაც კი არ იცის. კიდევ ერთი დიდი პრობლემა კრიტიკის არარსებობაა. კრიტიკა ქართული სინამდვილისთვის მიუღებელია. მე და ჩემი მეგობრები ვცდილობთ, როგორმე შევებრძოლოთ ამას. ვცდილობთ, მდარე ხარისხის მუსიკას დავუპირისპიროთ უკეთესი ხარისხის მუსიკა. მხოლოდ საკუთარს არ ვგულისხმობ. ჩვენ უბრალოდ ვცდილობთ, მოვასმენინოთ ის, რაც ობიექტურად უკეთესია. არ შეიძლება მსმენელი კონცერტიდან მოტყუებული მიდიოდეს. ამასთან ერთად, მინდა ვაღიარო, რომ ყველა, ვინც დღეს სცენაზე მოღვაწეობს, შორსაა იდეალისგან. შეფასება "საქართველოს დონეზე მაგრები არიან" არასწორად მიმაჩნია. თუ უკრავ მუსიკას, ის ყველგან კარგი უნდა იყოს."



*დათო ხოსიტაშვილი (მარჯვნივ) ზუმბასთან ერთად*

დათო 1976 წლის 8 ნოემბერს დაიბადა. ხუთი წლის ასაკში მიიყვანეს რკინიგზელთა კლუბთან არსებულ ათწლედში. პარალელურად მეცადინეობდა გიტარის მასწავლებელთან. ჩვეულებრივი ბავშვი იყო. არაფერი აინტერესებდა, ეზოში შტაბობანასა და ომობანის თამაშის და ჟიულ ვერნის წიგნების გარდა. იყო პერიოდი, როდესაც მუსიკა ეჯავრებოდა. მშობლებს გაკვეთილებზე მარტო რომ გაეშვათ, აუცილებლად დაემალებოდა. მათ კი მაინც დაჰყავდათ... დღეს მათი ძალიან მადლიერია. 9 წლის რომ იყო, თბილისში გიტარისტთა კლუბის გახსნაზე დაუკრა და ამ კლუბის ყველაზე პატარა წევრიც გახდა.

1997 წლამდე მხოლოდ კლასიკურ მუსიკას უსმენდა, ჯგუფში დაკვრაზე არც უფიქრია. მაგრამ ისე მოხდა, რომ ჯგუფ Royal way-ს გიტარისტი მოსკოვში წავიდა და დათოს არტ-როკის დაკვრა შესთავაზეს. მისვლისას ორი-სამი აკორდი აჩვენეს და იმპროვიზაციისკენ მიუთითეს. კლასიკური მუსიკის შემსრულებლისთვის იმპროვიზაცია ცოტა რთულია, ხოლო ტექსტიდან ყოველი გადახვევა "კანონით იკრძალება". ერთი სიტყვით, თავიდან გაუჭირდა.

"ზუმბა" პირველად მოისმინა ჯიხურში ნაყიდ კასეტაზე, "ლევი", გადაქსეროქსებული "აბლოჟკით". მოეწონა და "ზუმბას" "ერთ-ერთი მოფანო ელემენტი" გახდა. მერე "მთვარის კლუბში" დაიწყო დაკვრა. ამ დროს ფალიაშვილზე გაიხსნა მუსიკალური მაღაზია "მი-ფა-სი" და იქ "მუსიკოსებისთვის ჩვეულ მეგობრულ ატმოსფეროში" გაიცნო ზაზა კორინთელი (ზუმბა). "ავიღეთ ინსტრუმენტები, დავუკარით..."

ასე დაიწყეს ურთიერთობა. ერთ მშვენიერ დღეს ზუმბამ რეპეტიციაზე მიიწვია. "ვცადოთ და ერთად დავუკრათო". მას შემდეგ დათო "ზუმბაში" უკრავს. მეორე ალბომი "ევრო რემონტიც" "ზუმბამ" დათოსთან ერთად ჩაწერა. "ზუმბა" ძალიან შეკრული გუნდი გამოდგა. ერთად ძალიან ბევრ კონცერტზე გამოსულან. საქართველოს ბევრი ქალაქი მოუვლიათ. პოლონეთშიც იყვნენ გასტროლებზე, სადაც ხრიდოლის (ქართული ორთაბრძოლა) თანხლებით შოუ მოაწყვეს. დათო ზუმბას ფრენკ ზაპას ადარებს. "მუსიკალურად კი ზუმბა მინიმალისტური ფოლკლორისა და ჯაზროკის ნაერთია". "ზუმბას" შემადგენლობაში "წვიმის მუსიკოსიც" გახდა, რასაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებს. "მე იქ ვიდექი ჩვეულებრივი ადამიანების გვერდით და, დარწმუნებული ვარ, ყველა "წვიმის მუსიკოსი" ამასვე გრძნობდა."

დათოს ნაკლებად სიამოვნებს დიდი კონცერტები, უპირატესობას საკლუბო გამოსვლებს ანიჭებს. არსებობს განსაკუთრებით კარგად ჩატარებული კონცერტები და "ისე რა" კონცერტები. "რომ გითხრა, რომელიმე კონცერტიდან უკმაყოფილო გამოვსულვარ-მეთქი, მართალი არ ვიქნები. ეგეთი კონცერტი, საბედნიეროდ, არ მქონია, მაგრამ არის ხოლმე კონცერტი, რომლის შემდეგ განსაკუთრებულ აღმაფრენას გრძნობ და ძალიან კმაყოფილი ხარ".

ათწლედის დამთავრების შემდეგ, როდესაც უმაღლესში ჩაბარების საკითხი დადგა, გადაწყვიტა, უცხო ენებში, ინგლისური ენის ფაკულტეტზე ჩაებარებინა. შემდეგ ტექნიკურ უნივერსიტეტში გადაიტანა საბუთები სამეცნიერო თარგმანის ფაკულტეტზე.

კლასიკური მუსიკისთვის თავი არ დაუნებებია. საკუთარი ნაწარმოებებიც კი გამოსცა: "სამი პიესა კლასიკური გიტარისთვის". ახლა მეორე კრებულზე მუშაობს: "სიუიტა - დილა, შუადღე და საღამო".

კლასიკურ მუსიკასთან კიდევ ერთი დიდი კავშირი მისი მეუღლე ნინო ჯანჯღავაა. ნინო რეპეტიციაზე გაიცნო, სადაც მეგობრები იკრიბებოდნენ და უკრავდნენ. მისი მეუღლე ფლეიტისტიცაა და კომპოზიტორიც. "ერთად დავუკარით, ერთმანეთს დავუახლოვდით და დავქორწინდით".

"ჩემი ცოლი გაცილებით უფრო დიდი მუსიკოსია, ვიდრე მე, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ შეუძლია შექმნას სიმფონიური ნაწარმოები, რომელიც აღიარებულია და სრულდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებსა და ქალაქებში. ამის გარდა, მე დიდ სიამოვნებას ვიღებ მის კონცერტებზე. მისი კამერული ნაწარმოებები უაღრესად თანამედროვეა, დღევანდელობისთვის, ოცდამეერთე საუკუნის ადამიანისთვის შესაფერისი. მე და ნინო ფაქტობრივად დიდი ანსამბლი ვართ".

ერთად შექმნილი აქვთ ჯგუფი "სტუმარი", სადაც მათთან ერთად უკრავს გურამ "გუფი" მაკალათია (დასარტყამი ინსტრუმენტები) და ნინოს და მარინა ჯანჯღავა (ვიოლინო და ვოკალი). ჯგუფი 2002 წლიდან არსებობს.

ძალიან იშვიათად უსმენს მუსიკას. "დაავადება მაქვს - როგორც ბევრ სხვა მუსიკოსს, მიჭირს მუსიკის მთლიანად აღქმა და მოსმენა. ინსტრუმენტები ყოველთვის ცალ-ცალკე მესმის - ბასი ცალკე, გიტარა ცალკე და ასე შემდეგ. მთლიანობაში შემიძლია მხოლოდ ბახის, ქართული საგალობლებისა და რამდენიმე კლასიკოსი ავტორის მოსმენა." საერთოდ არ უყვარს ხმაური, გუგუნი და გრიალი. ვერ იტანს დეზერტირების ბაზრის ხმაურს. "100 დეციბალია, პირდაპირ ნერვებზე მოქმედებს." სიმშვიდეს მისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვერ ისვენებს იქ, სადაც ხალხმრავლობაა და მუსიკის ხმა ისმის. მთლიანობში კი წყნარი, ლოიალური და პრაგმატული ადამიანია, ყოველგვარი უცნაურობების გარეშე.

# ვარიაციები იუგენდსტილში

ნათია ლურსმანაშვილი

1895 წელს ჰამბურგელმა ვაჭარმა, დასავლური ხელოვნების მცოდნემ სამუელ ბინგმა პარიზში სამხატვრო სალონი - "არტ ნუვო" გახსნა. გამოფენილ ნამუშევრებს შორის ჰენრი ვან დე ველდის, ლუის კომფორტ ტიფანის, ფელიქს ვალოტონის და კონსტანეტა მენიის ნაწარმოებები გამოირჩეოდა.

ნამუშევრებს დადებითი გამოხმაურება მოჰყვა და 1897 წელს ზოგიერთი მათგანი დრეზდენის საერთაშორისო სამხატვრო გამოფენაზე მოხვდა. ბრიუსელელი მხატვრის ვან დე ველდის ინტერიერის გაფორმების ნიმუშები ნამდვილ სენსაციად იქცა. ავტორს ყველა ქვეყნიდან დაუგზავნეს დაკვეთები. ველდი იუგენდსტილის - გერმანული არტ ნუვოს დამფუძნებლად იქცა.



ქორწინების სასახლე, მატილდენხოე, დარმშტადტი. არქიტექტორი იოზეფ მარია ოლბრიხი (1905-1908)

## იუგენდსტილი მიუნხენში

იუგენდსტილის აკვანი, საიდანაც ის მთელს გერმანიაში გავრცელდა, მიუნხენი იყო. ეს არც თუ დიდი ქალაქი ბავარიის მმართველის - ვიტელსბახოვის პოლიტიკის წყალობით გერმანიის ერთ-ერთ წამყვან სამხატვრო ცენტრად იქცა.

ახალი მიმართულების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გერმან ორბისტი იყო. მისი კედლის პანო - "მათრახის დარტყმა" - გერმანული "ფლორალიზმის" შესანიშნავი ნიმუშია. ამ ნამუშევარზე გამოხატული გადახლართული ბაწრები ცოცხალი ორგანიზმის უჯრედებს მოგვაგონებს. თავისი სტილით ორბისტი ავგუსტ ენდელემის მიერ გაფორმებულ ფოტოატელიე "ელვირას" ფასადსაც წააგავს. ორივე ოსტატი თითქოს მაგალითს ბუნებისგან იღებდა.

მიუნხენელმა მხატვარმა რიხარდ რიმერშმიდმა იუგენდსტილისა და ადგილობრივი ტრადიციების შერწყმით რევოლუციური ნაბიჯი გადადგა. 1900 წელს მისი "ხელოვნების მოყვარული კაბინეტი" პარიზის მსოფლიო გამოფენაზე წარადგინეს. რიმერშმიდს თეატრის გაფორმებაც ეკუთვნის, რომლისთვისაც მსუბუქი შტრიხებია დამახასიათებელი და ჯერ კიდევ შორს დგას გეომეტრიზმისგან. რიხარდი "ოსტატური ხელოვნების და ხელობის გაერთიანების" ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო; ეს ჯგუფი ყოველდღიეური მოხმარების საგნების მხატვრულად გაფორმებისთვის იღწვოდა.

მიუნხენის როლი მხატვრულ ცხოვრებაში ისეთ გამოცემებსაც უკავშირდება, როგორიცაა Pan და Jugend - ჟურნალი, რომელმაც მისცა კიდეც სახელი გერმანულ მოდერნს.

ოტო ეკმანის წყალობით აბსოლუტურად შეიცვალა წიგნების გაფორმებაც. მის ილუსტრაციებში წყალი მცენარეში გადაიზრდება, მცენარე - გედში ან გველში, რაც თავის მხრივ ადამიანის შტრიხებს ქმნის. ამ ილუსტრაციებისთვის დამახასიათებელი ახალი მიდგომა, სატირა და იუმორი იუგენდსტილის იდეის სწრაფ გავრცელებას უწყობდა ხელს.

## იუგენდსტილი ბერლინში

XX საუკუნის დასაწყისში ბერლინი არა მარტო დიდი თანამედროვე ქალაქი, არამედ ქვეყნის კულტურული ცენტრიც იყო. ამიტომაც ახალი მიმართულებები მას გვერდს ვერ აუვლიდა. 1898 წელს მხატვრული ავანგარდი იმპერატორული კარის მოძველებულ კულტურულ პოლიტიკას საბოლოოდ დაუპირისპირდა. მაგრამ ნამდვილი მხარდამჭერის არარსებობის გამო ოსტატები იძულებულნი იყვნენ შემთხვევითი დაკვეთები შეესრულებინათ. ვან დე ველდე მაღაზიების ინტერიერებს ქმნიდა. ავგუსტ ენდელი, რომელსაც ასეთი მდიდარი კლიენტები არ ყავდა, ნაციონალური თეატრის მაყურებელთა დარბაზის შეცვლით დაკავდა - უცნაურ, ფანტასტიკურ ფორმებს იგონებდა, რომლებიც მისსავე ფოტოატელიე "ელვირას" ჩამოჰგავდა.

## ვენის სეცესიონი

ვენაში არტ ნუვომ მიმდევარი ოტო ვაგნერის სახით იპოვა - ვენის სამხატვრო აკადემიის პროფესორი უარს ამბობდა დამორჩილებოდა რომელიმე ისტორიულ სტილს და ახალი ეპოქის მოთხოვნებს უახლოვდებოდა. "ლამაზია მხოლოდ ის, რაც სასარგებლოა" - ამბობდა ის.

ვენის მეტროპოლიტენის გაფორმებისას ვაგნერი თავდაპირველად "ფლორალიზმში" გადავარდა, თუმცა მალევე შებრუნდა უფრო მეტად თავშეკავებული ფუნქციონალური მანერისკენ. თავისი "მაიოლიკი სახლის" ფასადი თიხის ფერადი ფილებით მოაპირკეთა, რაც შენობის მოვლასაც აადვილებდა და უფრო დიდხანსაც გაძლებდა. ლინკე ვინცაილში, ვაგნერის პროექტების მიხედვით აგებულ საცხოვრებელ კვარტლებში გეომეტრიული ფორმები ჭარბობს და მოდერნის გავლენა საერთოდ არ იგრძნობა.

1897 წელს ავანგარდი მხატვრების მიერ დაფუძნებულმა გაერთიანებამ "ვენის სეცესიონი" ავსტრიულ მოდერნს დაუდო საფუძველი. 1898 წელს გაერთიანებამ ჟურნალ Ver Sacrum-ის გამოშვება და "სეცესიონის სახლში" ხელოვნების ყველა სახის გამოფენების მოწყობა დაიწყო. ერთ-ერთი მათგანისთვის, რომელიც ბეთხოვენს ეძღვნებოდა, "სეცესიონისტების" მთავარმა მხატვარმა გუსტავ კლიმტმა მეცხრე სიმფონიის შთაბეჭდილების ქვეშ მრავალი ნამუშევარი შექმნა.

ამავე გამოფენაზე ოტო ვაგნერის მოსწავლემ იოზეფ ჰოფმანმა გეომეტრიული ფორმებით გამდიდრებული აბსტრაქტული სკულპტურა წარმოადგინა. თავდაპირველად ამ ნაბიჯს არ მიექცა სათანადო ყურადღება, თუმცა მაინც შეიტანა თავისი წვლილი ვენის მოდერნში. ორნამენტალიზმის დრო მთავრდებოდა. ჰოფმანის მსუბუქი ხელით (და ასევე მისი შოტლანდიური გენის გავლენით) გეომეტრიული ფორმები ფეხს იკიდებდა. ორნამენტიკას სულ უფრო იშვიათადღა იყენებდნენ და პრიორიტეტი მასალის ბუნებრივ სილამაზეს ენიჭებოდა.

ჰოფმანის ნიჭი ყველაზე უკეთ ბრიუსელში, ბელგიელი ფინანსისტი ადოლფ სტოკლეს მიერ დაკვეთილ შენობაში გამოვლინდა. ხელოვნების ნამდვილი ნიმუში, სტოკლეს სასახლე, მკაცრი, დეკორაციებისგან დაცლილი ფორმებით გამოირჩევა. მისი სილამაზე მასალის ბუნებრივი თვისებებით და დამუშავების ოსტატობითაა ხაზგასმული.

ვენელი არქიტექტორები ნამდვილი ნაციონალური არქიტექტურის შექმნისაკენ ისწრაფვოდნენ და ხშირად ხალხური ხელოვნების სხვადასხვა ფორმებსაც მიმართავდნენ, რაზეც მოდერნის უნგრული ვარიანტიც მოწმობს. მასში ფოლკლორული მოტივები ჭარბობს. ეს ურთიერთგამომრიცხავი ტენდეციები თავის გამოვლინებას ოტო ვაგნერის ურიცხვი მოსწავლეების ნამუშევრებშიც ნახულობს, რომლებიც ორი მსოფლიო ომის შუალედში მუშაობდნენ. მაგრამ მეტ-ნაკლებად სრულად ის სლოვენელი არქიტექტორის იოჟე პლეჩინიკის ნაწარმოებებში ჩანს. პლეჩინიკს "სლაველ გაუდისაც" ეძახდნენ. მან ფუნქციონალიზმი, ნოვატორული ფორმები და ფოლკლორი წარმატებით დაუკავშირა ერთმანეთს.

## დარმშტადტი - ფორმების სიმკაცრე

ახალი ხელოვნების ცნობილმა მფარველმა, დიდმა ჰერცოგმა გესე დარმშტადტ ლუდვიგ მეოთხემ ორ ინგლისელ არქიტექტორს - ბეილი სკოტს და ეშბის საკუთარი სასახლის გაფორმება დაუკვეთა.

ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით მან დარმშტადში იმ დროის წამყვანი მხატვრები მოიწვია და თავისუფალი მუშაობის საშუალება მისცა. მატერიალურ მხარეს მთლიანად ჰერცოგი უზრუნველყოფდა. ასე რომ, 1899 წელს მატილდენხიოეში მხატვრების მთელი რიგი იუგენდსტილის მთავარ პრინციპს ანხორციელებდა: ხელოვნების და ცხოვრების შერწყმა. ამ ჯგუფის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ვენელმა არქიტექტორმა იოზეფ მარია ოლბრიხმა - "შრომის სახლი", ან როგორც შემდგომში უწოდეს "ტაძარი" შექმნა, რომელიც ხელოვნების კულტს ეძღვნებოდა. ასევე ქორწინების სასახლე დარმშტადტში, რომელსაც ძალიან გავს ჩვენეული "ანდროპოვის ყურები". ოლბრიხმავე დააპროექტა სახლი ამ პროექტში მონაწილე ყველა მხატვრისთვის. გამონაკლისი ჰამბურგელი პიტერ ბერენსი იყო, რომელმაც თვითონვე ააშენა საკუთარი სახლი. ეს შენობა ყურადღებას კრისტალური სიზუსტით და სწორი ხაზების უბრალოებით იპყრობს.

თუმცა ვენაში, ისევე როგორც სხვა ქალაქებში იუგენდსტილს მოდურ ჭირვეულობად მიიჩნევდნენ და მწარედაც აკრიტიკებდნენ.

ამ ცვლილებებში მთავარი ფიგურა ბერენსი იყო. Pan-ის ყოფილმა ილუსტრატორმა საბოლოოდ მოუღო ბოლო გერმანიაში "ფლორალიზმს" და არქიტექტურულ ფუნქციონალიზმს დაუდო საფუძველი.

# "მუმი ტროლი" ახალ ალბომს უშვებს



"მუმი ტროლმა" 90-იან წლებში "იფეთქა". ეს იყო იდეალური, ლაკონური, ბინძური და ძალიან მხიარული მუსიკა. იყო სოლისტიც. მას სათქმელი არაფერი ჰქონდა. ის ბევრს უყვარდა. გასაკვირი არც არის, რადგან რუსულ როკსა და კულტურაში მბრუნავი ადამიანი, რომელიც სისულელეს ლაპარაკობს, მაგრამ პრინციპულად არ უარყოფს სიღრმისეული აზრის ძიებას, განსაკუთრებულად სიმპათიურია. თუმცა, როგორც ჩანს, მსმენელზე ეს ერთჯერადად მოქმედებს. რთულია, როდესაც სიმღერის ნაცვლად საუბრობ. ამ დროს ისიც არ იცის, რამდენად საჭიროა ყველას ესმოდეს შენი. თუმცა ასეთი დამოკიდებულება სულაც არ ამცირებს ჯგუფის ფანების რაოდენობას. "მუმი ტროლი" მათ კვლავ დაუბრუნდება, განაახლებს თავის კატალოგს ალბომით "ზღვიურს" - გემრიელი და გარყვნილი სიმღერებით, წელს ქვემოთ მცხოვრებ შავ კატაზე, გოგონაზე, რომელიც რატომღაც ცისფერი თვალების გარეშე დარჩა.

მანამდე კი გამოიცა ალბომი "შერწყმა და შთანთქმა", რვაწლიანი ისტორიის მშვენიერი გაგრძელება, დახვეწილი გემოვნებითა და სტილით. მთავარი დანაკარგი - ლაგუტენკო თავის კატისებრ მიმიკას დაემშვიდობა, ანუ იმას, რაც ყველაზე მეტად მოსწონდათ მასში. 90-ანების დასაწყისში ის არა მხოლოდ მღეროდა ასე, ლაპარაკობდა კიდეც, დღემდე არავინ იცის რა მიზეზით - მეტყველების დეფექტის, ავადმყოფობის შედეგისა თუ სპეციალურად მოგონილი ხრიკის გამო. ყოველ შემთხვევაში, დომინიკის რესპუბლიკიდან ლაგუტენკო მიმიკადაკარგული დაბრუნდა.

"შერწყმა და შთანთქმა" - თითქმის კონცეპტუალური ალბომია. მასში სატირაცაა, ბევრი აგრესიაც და სექსუალური ძალადობაც, რისი მსხვერპლიცაა ლირიკული გმირი. ჯგუფს სხვა საინტერესო კოზირებიც აქვს - ფრიქციული რითმები და წყლისმიერი ხმები. ეს ყველაფერი წინა ორ ალბომში თითქმის დაკარგული იყო, ჯგუფი ორკესტრირებულმა მუსიკამ გაიტაცა. ამით იმის ჩვენება სურდა, რომ ზომიერება შესაძლებელია კიტჩშიც იყო.

და ყველაზე მთავარი. ახალ ალბომში არის ერთი სიმღერა, რომლის მოსმენისას სუნთქვა გეკვრის. მას "შიში არ არის" ჰქვია. ის მანკიერების იდეალური რეკლამაა, ბავშვებისა და ცხოველების მონაწილეობით.

# რაღაც, ძალიან გულწრფელი

სუნამო მათთვის, ვისაც ელეგანტურობა დაბადებიდან დაჰყვა - დაახლოებით ასე გააცნეს პრესას ახალი სურნელი გაბრიელა საბატინისგან, "ისი პარის" მაღაზიათა ქსელში გამართულ პრეზენტაციაზე. ყოფილი ჩოგბურთელი სათაურის საძებნელად შორს არ წასულა, საკუთარ მორიგ არომატს ასეც დაარქვა - Elegance ("ელეგანსი").

"თითოეულ ჩემს სუნამოს აქვს სული, რაღაც შინაგანად ძალიან გულწრფელი. თითოეული ჩემი სუნამო ჩემი ნაწილია" - ეს კი უკვე განცხადებაა, რომელიც საბატინიმ საკუთარ ოფიციალურ ვებ-გვერდზე http://www.gabriela-sabatini.com გააკეთა და თაყვანისმცემლებიც თავის სამყაროში ასე შეიპატიჟა.

ტრადიცია არც "ელეგანსმა" დაარღვია. მანაც ყნოსვაგამძაფრებულ პუბლიკას გაბრიელას შინაგანი სამყაროს კიდევ ერთი შტრიხი გააცნო: ის, რომ გაბრიელა ბუნებრივად ელეგანტურია. ეს მისი თანდაყოლილი თვისებაა, რომელიც ატმისფერ სითხედ იქცა და ატმისფერვე ფლაკონში მოთავსდა.

რაზე მიგვანიშნებს ეს რაფინირებული, მშვიდი ფერი და ასეთივე მშვიდი და გრილი არომატი? მიგვანიშნებს იმაზე, რომ არგენტინელ გაბრიელა საბატინის, გარდა იმ თვისებებისა, რომელიც სამხრეთულმა სისხლმა არგუნა - ანუ, ტემპერამენტისა და სექსუალურობის გარდა, აქვს შინაგანი ელეგანტურობაც, შინაგანი დახვეწილობა; და სწორედ ეს არის ის მე-13 თვისება, რომელიც საბატინიმ თავის მე-13 სუნამოში "ჩაასხა" და შავი მოცხარით, ნესვით, მანგოთი, შროშანით, ჟასმინით და კიდევ რამდენიმე სხვა მცენარის დახმარებით შექმნა.




ამ სურნელს ცხადია, თვითონ გაბრიელა უწევს რეკლამას. ბილბორდებზე, რომელიც ამერიკას და ევროპას მოედო, თეთრ ასევე ელეგანტურ კაბაში გამოწყობილი საბატინია აღბეჭდილი. თუმცა, ყურადღებას, პირველ რიგში, არა კაბა, არამედ მისი გამოხედვა იპყრობს. გაბრიელა პირდაპირ თვალებში გვიყურებს და გამომწვევად იღიმება - ანუ თეთრი კაბით გვთავაზობს ელეგანტურობას, გამომეტყველებით - კი კარგად ნაცნობ არგენტინულ ტემპერამენტს. საბოლოო ჯამში კი შესანიშნავი მიქსი გამოდის, რას იტყვით?

თან, როგორც უკვე მოგახსენეთ, ეს საბატინის მე-13 მცდელობაა. მისი პირველი სუნამო 1989 წელს გამოვიდა. "პირველი სუნამოს პრეზენტაცია ოცნების ახდენას ჰგავდა. ჩემს წინ იდო ფლაკონი, რომელზეც ეწერა: "გაბრიელა საბატინი", - იგონებს ჩოგბურთელი. შემდეგ, სანამ მეორედ მოინდომებდა საკუთარი პიროვნების სურნელით გადმოცემას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა: 1992 წელს გამოიყვანეს ახალი ვარდი, რომელსაც "გაბრიელა საბატინის" სახელი დაარქვეს. ეს იყო პირველი შემთხვეა ისტორიაში, როცა ვარდი ჩოგბურთელის სახელით მოინათლა. ცხადია, ამ ფაქტმა გაბრიელა მუზებით აავსო. შედეგმაც არ დააყოვნა. ერთი თვის თავზე, აგვისტოში საბატინის მეორე სუნამოს "მაგნეთიქის" პრეზენტაცია შედგა. მერე იყო ხან "უაილდ უინდი" ("ველური ქარი"), ხან "დივოუშენი" ("ერთგულება"), ხან "დეილაითი" ("დღის შუქი"), ხან "ტემპერამენტო" (თარგმნა არც ჭირდება) და ბოლოს - "ელეგანსი" (ესეც უკომენტაროდ).

ასე რომ, ახლა უკვე ვიცით, რას ვყიდულობთ გაბრიელა საბატინის სუნამოებთან ერთად: იმ პიროვნულ თვისებებს, რომელთაც ეს სუნამოები აფრქვევენ და რომლებიც ჩვენთვისაც ძალიან ძვირფასია. ანუ, გამოდის, რომ გაბრიელა ქალებს რაღაც ალიანსის მაგვარს სთავაზობს და ამბობს - ეს ელეგანტურობის ჩემეული ფორმულაა, თუ ის თქვენთვისაც მისაღებია, მომყევით...

# მუნკის "კივილი" და "მადონა" დაწვეს



"ედვარდ მუნკის ცნობილი სურათები "კივილი" და "მადონა", რომლებიც ოსლოს მუზეუმ მუნკიდან გასული წლის აგვისტოში გაიტაცეს, დამწვარია" - წერს ნორვეგიული გაზეთი "დაგბლადეტი". თუმცა საქმის მთავარი გამომძიებელი ივერ სტენრუდ ოსლონი აცხადებს, რომ მას ინფორმაციის დადასტურება არ შეუძლია. მომხდართან დაკავშირებით ნორვეგიის პოლიციამ უკვე დააკავა რამდენიმე ეჭვმიტანილი.

მუზეუმის შეიარაღებული ძარცვა 2004 წლის 22აგვისტოს მოხდა. მძარცველებმა ცნობილი მხატვრის ორი სურათი გაიტაცეს. მოგვიანებით ჩარჩოები ქალაქის სხვა ნაწილში იპოვეს - ტილოები ამოჭრილი იყო.

პოლიციამ ის ავტომობილიც აღმოაჩინა, რომლითაც ჩაიდინეს დანაშაული. ასევე გაირკვა, რომ ოთხი მძარცველიდან ერთ-ერთი ნორვეგიელი იყო.

"კივილი" მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სურათია. მუნკმა ამ ნახატის ოთხი ვერსია შექმნა - პირველი 1893 წელს. ყველაზე ცნობილი ვერსია ოსლოს მხატვრობის ეროვნული მუზეუმიდან 10 წლის წინ გაიტაცეს. სურათი სამ თვეში დააბრუნეს, რამდენადაც ქურდებმა მისი გაყიდვა ვერ შეძლეს. შემთხვევასთან დაკავშირებით, სამი ნორვეგიელი ეჭვმიტანილი დააკავეს.

გასულ წელს მძარცველები დღისით შეიჭრენ მუზეუმში, სურათები კედლიდან ჩამოგლიჯეს, გარეთ გავარდნენ და შავი ფერის "აუდის" მარკის მანქანით მიიმალენ. მცველების თქმით, ძარცვის დროს ისინი ერთ-ერთი ბოროტმოქმედის სამიზნის ქვეშ იმყოფებოდნენ.

თვითმხილველები ყვებოდნენ, რომ როდესაც ქურდები გარბოდნენ "კივილი" დაუვარდათ. ექსპერტები ამ ფაქტმა მეტად შეაშფოთა, რადგანაც, მათი თქმით სურათი საკმაოდ ძველი და ისედაც შელახული იყო. გარდა ამისა მუნკი საღებავების და პასტელის შერევის განსხვავებულ ფორმას იყენებდა და მუზეუმის თანამშრომლები შიშობდნენ, რომ ნახატი დაზიანდებოდა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ედვარდ მუნკის "კივილი" და "მადონა" მხოლოდ ხანძრის და წყალდიდობის შემთხვევაში იყო დაზღვეული, რამდენადაც მისი მთლიანობაში დაზღვევა დიდ თანხებს მოითხოვდა.

რამდენიმე თვის წინ მუნკის სხვა სამ გატაცებულ სურათსაც მიაგნეს და ორი ეჭვმიტანილიც დააკავეს. აკვარელში შესრულებული "ცისფერი კაბა" და ორი ლიტოგრაფია - ავტოპორტრეტი და ცნობილი შვედი დრამატურგის ავგუსტ სტრინბერგის პორტრეტი ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოდან 50კმ-ში არსებულ ქალაქ მოსის სასტუმრო "რეფნედან" ღამით მოიპარეს.

მფლობელის განცხადებით მეტნაკლებად ღირებულია "ცისფერი კაბაა", რომელიც მუნკმა 1915 წელს დახატა.

ინფოთეკა

## ჰოიცერს არ დააჯარიმებენ

გერმანიის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ არ დააჯარიმოს გერმანელი მსაჯი რობერტ ჰოიცერი, რომლის სახელსაც უკავშირდება წინასწარ შეთანხმებულ მატჩებთან დაკავშირებული თანამედროვე ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი დიდი სკანდალი. ამ ორგანიზაციამ ჩათვლა, რომ სამუდამო დისკვალიფიკაცია საკმარისი სასჯელია დამნაშავე ჰოიცერისთვის.

შეგახსენებთ, ფედერაცია ჯარიმის სახით 50 ათასი ევროს დაწესებას აპირებდა, თუმცა, მოგვიანებით, როგორც მოგახსენეთ, ამ იდეაზე უარი თქვა.

ჰოიცერმა აღიარა, რომ იანვარში 67 ათასი ევრო აიღო ხორვატი თაღლითებისგან, რომლებიც ფსონს ჩამოდიოდნენ იმ მატჩებზე, რომელსაც გერმანელი არბიტრი სჯიდა.

ბერლინის პროკურატურამ ამ საქმეში ეჭვმიტანილი 25 ადამიანი, მათ შორის ოთხი არბიტრი და 14 ფეხბურთელი დაკითხა.

ჰოიცერს თაღლითობის მუხლით წაუყენეს ბრალი. ბრალეულობის დამტკიცების შემთხვევაში მსაჯს ათწლიანი პატიმრობა ემუქრება.

## კეჟმანი ლონდონის კლუბიდან წასვლას აპირებს

ინგლისის მასობრივი საინფორმაციო წყაროების ცნობით, "ჩელსის" სერბმა თავდამსხმელმა მატეა კეჟმანმა განაცხადა, რომ კლუბიდან წასვლას გეგმავს, რადგან მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო თამაშის საშუალებას არ აძლევს.

"აღარ შემიძლია სათადარიგო რიგებში ყოფნა, განსაკუთრებით ახლა, ჩემი კარიერის ზენიტში. თუ გავიგებ, რომ მომავალ სეზონშიც სკამზე ჯდომა მომიწევს, მაშინ კლუბის მფლობელს რომან ამბრამოვიჩს დაველაპარაკები. ამჟამად ათზე მეტ კლუბს უნდა ჩემი შეძენა", - განაცხადა ფეხბურთელმა.

## შეირუ "ლივერპულში" დაბრუნებას აპირებს

"როიტერსის" ცნობით, ფრანგმა მცველმა ბრუნო შრეირუმ განაცხადა, რომ სეზონის დასასრულისთვის "მარსელს" დატოვებს და "ლივერპულში" დაბრუნდება.

26 წლის ფეხბურთელმა ინგლისური კლუბი გასულ ზაფხულს დატოვა. საფრანგეთში იგი იჯარის წესით თამაშობს. თუმცა, "მარსელის" მთავარი მწვრთნელი ფილიპ ტრუსე იშვიათად ათამაშებს მას ძირითად შემადგენლობაში.

"მე მოველაპარაკები "ლივერპულის" ხელმძღვანელობას, რომელიც ან უკან, გუნდში დამაბრუნებს, ან ახალ კლუბს მომიძებნის", - განაცხადა შეირუმ თავისი გეგმების შესახებ.

## "რეინჯერსი" ბრაზილიელი მცველით მოხიბლულია

უახლოეს პერიოდში შოტლანდიური კლუბი "რეინჯერსი" კონტრაქტს გააფორმებს ბრაზილიელ მცველ პაულო ანდრესთან, რომელიც კლუბში შესამოწმებლად იმყოფებოდა. მთავარი მწვრთნელის ალექს მაკლიშის განცხადებით, 21 წლის ფეხბურთელს გამოსაცდელი ვადის განმავლობაში შესანიშნავად ეჭირა თავი.

ადრე ეს ფეხბურთელი ბრაზილიურ "გუარანში" თამაშობდა.

## ფერდინანდს ფოტოგრაფზე თავდასხმის ორგანიზებაში ადანაშაულებენ

ინგლისის ეროვნული ნაკრებისა და "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველს რიო ფერდიანადს 36 წლის ფოტოგრაფის ჯონ გაიმახაზე თავდასხმის ორგანიზებაში ადანაშაულებენ.

ინციდენტის მოწმეების მტკიცებით (შემთხვევა ლონდონის ერთ-ერთ ბარში მოხდა), ფერდინანდმა გაიმახასთან გაგზავნა თავისი მეგობრები, მათ შორის "მილუოლის" ნახევარმცველი ჯოდ მორისი. ფერდინანდმა თქვა: "მიდით, ჭკუა ასწავლეთ". ოთხი მამაკაცი თავს დაესხა ფოტოგრაფს და სერიოზული ფიზიკური შეურცხყოფა მიაყენა.

The Mirror-ის ცნობით, ახლა ამ ფაქტს პოლიცია იძიებს. შესაძლებელია უახლოეს დღეებში მონაწილეები დააპატიმრონ.

ფერდინანდის გარდა, პრობლემები აქვს ასევე "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარ მწვრთნელს სერ ალექს ფერგიუსონს. მას ინგლისის ფეხბურთის ასოციაციისთვის ახსნა-განმარტების მიცემა მოუწევს. საქმე ეხება "ნიუკასლთან" მატჩის შემდეგ მწვრთნელის მიერ შეხვედრის მსაჯის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებას.

"მატჩის მთავარმა არბიტრმა ნილ ბერიმ ალან სმიტის წაქცევის გამო პენალტი არ დანიშნა. მსაჯის საქციელი უკვე სასაცილოც კი ხდება. მან სადავო თერთმეტმეტრიანი დანიშნა ჩვენს კარში "პორტსმუტთან" თამაშის დროს. დარწმუნებული არ ვარ, რომ ამას განზრახ აკეთებს, თუმცა, ეს უკვე შემაშფოთებელ ტრადიციად იქცა", - განაცხადა "მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა.

რამდენიმე დღეში ფერგიუსონს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციისთვის მოუწევს ახსნა-განმარტების მიცემა. ასოციაცია უკვე იმუქრება საჯარიმო სანქციებით.

## შესაძლოა, "იუვენტუსს" ტიტულები ვერ ჩამოართვან

დოპინგის გამო ატეხილი სკანდალის გამო "იუვენტუსს" ტიტულებსა და ჯილდოებს არ ჩამოართმევენ. ადგილობრივი მასობრივი საინფორმაციო წყაროების ცნობით, ამის შესახებ ნათქვამია იტალიის ოლიმპიური კომიტეტის (CONI) მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

იტყობინებიან, რომ ოლიმპიურმა კომიტეტმა საქმის განხილვის თხოვნით მიმართა ლოზანის სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოს (CAS).

"კლუბს არ შეიძლება მიესაჯოს დისციპლინარული სანქციები ფარმაცევტული პრეპარატების გამოყენებისთვის, რომელსაც მაშინ სპორტული კანონი არ კრძალავდა,", - ვკითხულობთ სასამართლოს განცხადებაში, რომელსაც, სხვათა შორის, იურიდიული ძალა არა აქვს, ამიტომ იტალიის ხელისუფლებაში, შესაძლოა, კამათი გამოიწვიოს.

თუმცა, ადგილობრივი ჟურნალისტები თითქმის დარწმუნებული არიან, რომ საქმეს მსვლელობას აღარ მისცემენ.

მაგრამ, ეს მხოლოდ ვარაუდია.

აქვე ერთი ინფორმაცია "იუვენტუსის" ფეხბურთელის შესახებ.

"იუვენტუსის" მცველმა ჩირო ფერარამ კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება. უეფას ოფიციალური საიტის ცნობით, ფეხბურთელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე სეზონი მისთვის უკანასკნელი იქნება.

"გადავწყვიტე, ფეხბურთის თამაშს თავი დავანებო. 9 ივნისს გამოსათხოვარი მატჩის ორგანიზებას ვაპირებ ნეაპოლის სტადიონზე, რომელზეც დაიწყო ჩემი კარიერა", - განაცხადა 38 წლის ვეტერანმა. ფერარას იტალიის ეროვნულ ნაკრებში 49 მატჩი აქვს ჩატარებული.

## მარადონამ 33 კილოგრამი დაიკლო

ლეგენდარული არგენტინელი ფეხბურთელის ექიმის განცხადებით, მარადონამ ამა წლის ხუთი მარტიდან 33 კილოგრამი დაიკლო.

ამ ცოტა ხნის წინათ კოლუმბიაში მარადონას ოპერაცია გაუკეთეს, რომლის შემდეგაც არგენტინელმა წონის დაკლება დაიწყო. ექიმის განცხადებით, მისი პაციენტი ბოლო დროს, უბრალოდ, დიეტას იცავს.

## "ჩელსი" კვლავაც ადრიანოს უმიზნებს

ლონდონის წყაროს ცნობით, "ჩელსის" ხელმძღვანელობამ მილანის "ინტერს" ადრიანოს შეძენისთვის 100 მილიონი ევრო შესთავაზა.

სხვათა შორის, ლონდონის გუნდი ამ ფეხბურთელის ყიდვას 2003 წელსაც შეეცადა, თუმცა, უშედეგოდ.

## პირსი ერიქსონს რჩევას აძლევს

"მანჩესტერ სიტის" მთავარი მწვრთნელი სტიუარტ პირსი ინგლისის ეროვნული ნაკრების თავკაცს სვენ გორან ერიქსონს ურჩევს, რომ აშშ-ს ტურნეში არ წაიყვანოს ნახევარმცველი შონ რაით-ფილიპსი. პირსის აზრით, ეს ფაქტი ხელს შეუშლის 23 წლის ფეხბურთელის გამოჯანმრთელებას. რაით-ფილიპსმა მუხლის ტრავმის გამო ოპერაცია გადაიტანა და შტატებში გამგზავრებამ შეიძლება უარყოფითი შედეგი გამოიღოს.

"წინააღმდეგი არ ვარ, რომ ჩვენმა ფეხბურთელებმა ნაკრებში ითამაშოს, მაგრამ შონის შემთხვევა განსაკუთრებულია. აშშ-ში გამგზავრებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ფეხბურთელის ჯანმრთელობაზე, ეს კი ზიანს მიაყენებს როგორც კლუბს, ისე ნაკრებს. დავაცადოთ შონს საბოლოოდ გამოჯანმრთელება, შემდეგ აღარაფრის შემეშინდება," - განაცხადა სტიუარტ პირსმა.

უფრო ადრე ოკეანის გაღმა ფეხბურთელების გაშვების წინააღმდეგი იყო "მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი.

საფეხბურთო გალერეა

# დევიდ ბექჰემი: "საუკეთესო ფორმაში ვარ"




გასულ შაბათს "ვილიარეალთან" მატჩში დევიდ ბექჰემმა სეზონში თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ინგლისელი ნახევარმცველი სპორტული ფორმის პიკშია და ბოლო შეხვედრებში საუცხოოდ თამაშობს, რაც თავადაც აღიარა გუშინ, ვარჯიშის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარში.

**- მომავალ კვირაში 30 წელი გისრულდებათ. ამ მოვლენის წინ თავს როგორ გრძნობთ?**

- ისე კარგად, როგორც არასდროს. ყველაფერი ბრწყინვალედაა. შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე უკეთეს ფორმაში ვარ იმის მერე, რაც "მანჩესტერ იუნაიტედი" დავტოვე. თუმცა, "რეალში" ყოფნის პირველი თვეებიც ფენომენალურ დონეზე ჩავატარე. რაც შეეხება ჩემს ასაკს, არ დაგიმალავთ, ძალიან არ მომწონს, წლები რომ მემატება. თუმცა, ჩემი მეუღლე ვიქტორია, რომელიც ერთი წლით უფროსია, მუდამ მამხნევებს და მარწმუნებს, რომ ჯერ ისევ ძალიან ახალგაზრდა ვარ.

**- ინგლისის ნაკრებში ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელი ხართ - მხოლოდ თქვენ და გარი ნევილმა გადააბიჯეთ 30-წლიან ზღვარს. როგორ ფიქრობთ, ამის გამო ახალგაზრდა თანაგუნდელები ხომ არ გაგაშაყირებენ?**

- მე დიდი გამოცდილება მაქვს, რასაც ყველა აფასებს. ჩემთვის ძალზე დიდი პატივია, რომ ინგლისის ნაკრების კაპიტანი ვარ. ყოველთვის ვცდილობ, სანაკრებო მატჩებში მთელი ჩემი შესაძლებლობები, ცოდნა და ენერგია ჩავაქსოვო. ვფიქრობ, სულ მცირე, კიდევ ორ წელიწადს უმაღლეს დონეზე ვითამაშებ.

**- ისეთი რა შეიცვალა, რომ თავს ასე კომფორტულად გრძნობ?**

- ძალზე ბევრს ვმუშაობთ და მე როგორც პარტნიორების, ისე მთავარი მწვრთნელის დიდი ნდობა მაქვს. ჩემი ფეხბურთით ძალზე კმაყოფილი ვარ. ინგლისში ფეხბურთელების მიმართ უფრო გამძლეობაზე აქვთ მკაცრი მოთხოვნა და მთელი კვირის განმავლობაში ყველაზე მეტი ყურადღება ფიზიკურ მომზადებას ექცევა. მას შემდეგ, რაც "რეალში" ლუშემბურგო მოვიდა, ამ კომპონენტს - ფიზიკურ მომზადებას მადრიდშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რაც ძალზე მომწონს.

**- ფსიქოლოგიური თვალსაზრისით რა შეიცვალა?**

- ის, რომ მადრიდში ჩემი ოჯახი ბედნიერია. ბავშვები და ჩემი ცოლი კმაყოფილი არიან ესპანეთში ცხოვრებით, რაც ჩემზეც დადებით გავლენას ახდენს.

**- როდესაც მინდორზე ფიგუ არ არის, თავს უფრო კომფორტულად ხომ არ გრძნობთ?**

- ასე არ ვფიქრობ. პირადად ჩემთვის ფიგუ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა, თან, ასე იყო ყველა გუნდში, სადაც მას უთამაშია. ბრწყინვალე დრიბლინგი აქვს, საუკეთესოდ ხედავს მოედანს, ძალიან კარგი პასის მოცემა შეუძლია, სტანდარტულების უბადლო შემსრულებელია და ნებისმიერი პოზიციიდან კარში სახიფათოდ ურტყამს. ის ფაქტი, რომ ძირითად შემადგენლობაში ხშირად ველარ ხვდება, მწვრთნელების გადაწყვეტილებაა და იგი უნდა დაემორჩილოს მათ. ამას გარდა, მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო შეხვედრებში ჩემს შრომისუნარიანობას ფიგუს არყოფნასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

**- მალაგაში თქვენი კონკურენტის, "ბარსელონას" გამარჯვებამ "რეალში" შოკი ხომ არ გამოიწვია?**

- ჩვენ მდევრის როლში ვართ და იმისთვის, რომ ჩემპიონობის შანსი შევინარჩუნოთ, ყველა დარჩენილი მატჩის მოგება გვჭირდება. მაგრამ თუ ისე მოხდა, რომ "ბარსელონამ" ქულები არ დაკარგა, ვერაფერს გავხდებით.

**- როგორ ფიქრობთ, მსაჯების შეცდომებს თუ შეუძლია გავლენა მოახდინოს სატურნირო ცხრილის საბოლოო განლაგებაზე?**

- მსაჯების შეცდომები არაფერ შუაშია. "ბარსელონა" თავად თამაშობს. არ მიყვარს მსაჯების კრიტიკა. შაბათის თამაში ძალზე რთული გამოდგა და არ გამოვრიცხავ, რომ მსაჯებს რაღაც შეცდომები მართლაც მოუვიდათ. ჩვენ კარგად გვესმის, რომ პრიმერადივიზიონის მოგება ძალზე რთული საქმეა. რა თქმა უნდა, ჩვენ გვინდა ჩემპიონატში გამარჯვება, მაგრამ ეს თუ ვერ შევძელით, საკუთარი თავის მეტს ვერავის დავადანაშაულებთ.

**- სამუელ ეტოომ განაცხადა, რომ წელს ჩემპიონი "ბარსელონა" გახდება. თქვენ როგორ თვლით?**

- ეტოო ბრწყინვალე ფეხბურთელი და ადამიანია. ყველას თავისი სუბიექტური მოსაზრება აქვს და ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ.

**- სად შეიძლება დაუცდეს ფეხი "ბარსელონას"? კიდევ შეგწევთ ძალა, 6-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრათ?**

- ვფიქრობ, ეს შესაძლებელია, თუმცა, ურთულესი საქმეა. თან დამოკიდებულია სუბიექტურ ფაქტორებზე. დიდი იმედი მაქვს, რომ თუნდაც ამ კვირაში "ბარსელონა" ვერ მოიგებს.

**- ბოლო არ უჩანს მითქმა-მოთქმას მადრიდიდან თქვენი შესაძლო წასვლის თაობაზე. რა შეგიძლიათ თქვათ?**

- დავიღალე იმის მტკიცებით, რომ მადრიდში თავს ფანტასტიკურად ვგრძნობ. აქ სავსე ცხოვრებით ვცხოვრობ. მეორე სეზონია, რაც ესპანეთში ვარ და, კონტრაქტის მიხედვით, კიდევ ორ წელიწადს დავრჩები. ძალიან მინდა, რომ საფეხბურთო კარიერა სწორედ აქ, "რეალში" დავასრულო. მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში - "მანჩესტერ იუნაიტედში" ვითამაშე და მას შემდეგ, რაც ინგლისის ნაკრების კაპიტნად ამირჩიეს, სპორტული კარიერის მადრიდში დასრულება ყველაფრის ლამაზად დაგვირგვინება იქნება.

**- გქონიათ სურვილი, გამხდარიყავით მადრიდის "რეალის" კაპიტანი?**

- მხოლოდ ოცნების დონეზე, რადგან რაული ბრწყინვალე კაპიტანია. ამას გარდა, მადრიდში გუტიზე, ფიგუზე, კასილიასზე, რობერტო კარლოსზე, ელგერაზე და ზიდანზე მეტი სეზონი უნდა მქონოდა გატარებული, რომ ასეთი ოცნება რეალობად ქცეულიყო. ამის შანსი თითქმის არ არსებობს, თუმცა, ვიმეორებ, რომ ძალიან კარგი კაპიტანი გვყავს.

**- როგორ ფიქრობ, რა განწყობით გამოვა "რეალ სოსიედადი" თქვენს წინააღმდეგ სათამაშოდ?**

- ურთულესი თამაში მოგველის, რადგან ნებისმიერი გუნდისთვის, რომელიც "რეალის" წინააღმდეგ გამოდის სათამაშოდ, "სამეფო გუნდი" სერიოზული გამაღიზიანებელი ფაქტორი და მოტივაციის შემმატებელია. ასეთ თამაშებში ყველას განსაკუთრებულად სურს წარმატების მიღწევა.

**- "ლივერპული - "ჩელსის" წყვილში ვისი გულშემატკივარი ხართ?**

- ძნელი სათქმელია. მძიმე მატჩები იქნება და ვერც გეტყვით, ვინ გავა ფინალში. ორივე გუნდში თამაშობენ ფეხბურთელები, რომლებსაც ბრწყინვალედ ვიცნობ და რომლებიც ინგლისის ნაკრებში ჩემი პარტნიორები არიან. ტერი, კოული, ლამპარდი... ტერი ამ სეზონში პრემიერლიგის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს და ეს მან სავსებით დაიმსახურა. კოულიც გამორჩეული ფიგურაა ინგლისურ ფეხბურთში, ჟერარდი... ყველანი ჩემი მეგობრები და პარტნიორები არიან და არავის გამოყოფა არ მსურს. ორივე გუნდს გულწრფელად ვუსურვებ წარმატებას.

ჩოგბურთი

# ...მამა ნახე, შვილი ისე გამონახე

გიგა გურასაშვილი

*"ის მამაჩემია. მე მას ვგავარ, - ამბობს ხუთი წლის წითური გოგონა, რომელიც უიმბლდონის არანაკლებ წითური ვარსკვლავის სურათს დაჰყურებდა. - მე მას გაჭრილი ვაშლივით ვგავარ. ის მამაჩემია. ის ძალიან კეთილია. მას ცისფერი თვალები აქვს". სიტყვები ჩოგბურთის გერმანელი ვარსკვლავის ბორი ბეკერის ქალიშვილს ანა ერმაკოვას ეკუთვნის, რომელთანაც ახლახან პირველი სატელევიზიო ინტერვიუ ჩაწერეს.*

ირკვევა, რომ მამობის დასადგენად აუცილებელი არაა დნმ-ის ანალიზი. მისი ღიმილი, თვალები და ღია წითური თმა ბორის ბეკერის ზუსტი ასლია.

ინტერვიუ, რომელიც ბეკერის ყოფილი საყვარლის, რუსი ემიგრანტის ანჟელა ერმაკოვას დახმარებით ხუთი წლის ანას ტელეარხმა RTL-მა გერმანიაში ჩამოართვა, ჩოგბურთელისადმი კვლავაც დიდ ინტერესზე მიუთითებს. მიუხედავად იმისა, რომ გადასახადების გადაუხდელობის გამო ბორის ბეკერს სასამართლოში გამოცხადება მოუწევს, ხოლო მისმა რამდენიმე კომპანიამ კრახი განიცადა, ჩოგბურთის ყოფილი ვარსკვლავი სამშობლოში კვლავაც იდეალად რჩება.

რა თქმა უნდა, ცხოველ ინტერესს იწვევს ის, თუ როგორ გაჩნდა ანა. ყველაფერი 1999 წელს უიმბლდონზე წაგებული მატჩის შემდეგ დაიწყო. დაიწყო სასტუმროში მეუღლესთან, ბარბარასთან ჩხუბით და დამთავრდა ლონდონის ექსკლუზიურ რესტორან "ნობუში" ("Nobu") რუს ემიგრანტ ანჟელა ერმაკოვასთან გატარებული ვნებიანი წუთებით.

...გერმანელ ჩოგბურთელსა და ერმაკოვას შორის რომანი რამდენიმე წუთს გაგრძელდა. იმ წუთში ბეკერი, ალბათ, ვერც წარმოიდგენდა, თუ ყულფში ჰყოფდა თავს. წუთიერი სიყვარულის წყალობით გერმანელთა კერპი მალე არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ ვიდრე ვნებას მიეცემოდა, სასტუმროში დაბრუნებულმა ბეკერმა ორი საათი მეუღლესთან ჩხუბში გაატარა. მაშინ ბარბარა მეორე ბავშვზე რვა თვის ორსული იყო. აყალმაყალი, შესაძლოა, კიდევ გაგრძელებულიყო, მაგრამ ბარბარას მშობიარობა დაეწყო...

ცოლი სამშობიაროში წავიდა, ქმარმა კი დარდის გასაქარვებლად რესტორანს მიაშურა. გერმანელმა რუსის ქალი შეამჩნია. მასაც ეტყობოდა, რომ თვალში მოუვიდა უიმბლდონის მრავალგზის ტრიუმფატორი.

"ბარს მიღმა ორჯერ ჩამიარა და კიდევ ერთხელ მომაპყრო მზერა, - წერდა ბეკერი საკუთარ მემუარებში (რომლის თაობაზე ადრეც ვიუწყებოდით, ისევე როგორც ბეკერისა და ერმაკოვას სასამართლო პროცესზე, სადაც რუსი ქალბატონი ბეკერისგან შვილის აღიარებას ითხოვდა, ბეკერი კი უარზე იყო), - რაღაც დროის შემდეგ მაგიდიდან ადგა და საპირფარეშოსკენ გაემართა. მე მას გავყევი. ხუთწუთიანი საუბრის შემდეგ ყველაზე მოსახერხებელ ადგილზე საქმეს შევუდექით".

რვა თვის განმავლობაში ბეკერს რუსი ემიგრანტი არ გახსენებია, ვიდრე ერმაკოვასგან არ მიიღო ფაქსი, სადაც შავით თეთრზე ეწერა: "ჩვენი შეხვედრის შედეგი ორსულობაში აისახაო".

იმას, რაც "ნაბუში" მოხდა, ბეკერი ერთი წელიწადი უარყოფდა. უფრო სწორად, მამობის უარყოფა ბეკერს 20 მილიონ ფუნტ სტერლინგად დაუჯდა.

ერთი სიტყვით, რამდენიმეწუთიანი ვნება გერმანელ ჩოგნის ოსტატს 20 მილიონი დაუჯდა, თუმცა, ჯიბეზე ხელის გაკვრა კიდევ მოუხდა და ახლაც უხდება, ამასთან, ორ ფრონტზე. ბარბარასთან გაყრა ბორისს 12 მილიონი ფუნტ სტერლინგად და ამერიკაში სახლის ყიდვად დაუჯდა. გარდა ამისა, ყოფილ მეუღლეს ყოველთვიურად 20 ათას ფუნტს უხდის. რაც შეეხება მეორე, რუსულ ფრონტს, უსახლკაროდ არც ანჟელა დარჩენილა. ბეკერმა რუს ემიგრანტს ლონდონში ბინა უყიდა, ანასთვის კი ცალკე ფონდი დააწესა.

"მინდა, საკუთარი ქალიშვილის სიყვარული ვისწავლო", - წერდა ბეკერი.

ახლა ბეკერი დედა-შვილს ლონდონში ორ თვეში ერთხელ სტუმრობს.

"ანას მოვუყვები, რომ როდესაც ეს მოხდა ჩვენს შორის, მამამისი მიყვარდა, - იმავე ტელეინტერვიუში განაცხადა ანას დედამ. - ეს იყო ჩვენი ბედი".

კითხვაზე, უყვარს თუ არა ბორისს საკუთარი ქალიშვილი, ანჟელამ უპასუხა: "ბორისი საკუთარ გრძნობებს არ ავლენს, მაგრამ როდესაც ერთმანეთს ხვდებიან, მჯერა, რომ მას ანა უყვარს".

კითხვები, რა თქმა უნდა, ანასაც დაუსვეს. კერძოდ, ჰკითხეს, თუ რამდენად ძლიერ უყვარს მამა, რაზეც ანამ სამი თითი ასწია. დედაზეც ჰკითხეს. ამაზე კი ანამ ათივე თითი გაშალა. ანას საყვარელი ნივთი ყოფილა ჩოგანი, რომელიც მამას უჩუქებია საკუთარი ქალიშვილისთვის.

ინფოთეკა

## "ბარსა" ვან ბომელს შეიძენს

მალე "ბარსელონას" ხელმძღვანელობა ჰოლანდიური კლუბის "პსვ"-ს ლიდერს მარკ ვან ბომელის შეიძენს. კატალონიური პრესის ცნობით, 28 წლის ფეხბურთელს "მილანსა" და "ბარსას" შორის მოუხდა არჩევანის გაკეთება. მან ეს უკანასკნელი ამჯობინა და კლუბთან პირველად შეთანხმებასაც მოაწერა ხელი. სხვათა შორის, ბომელის შეძენა უნდათ ასევე ინგლისის "ტოტენჰემსა" და მადრიდის "რეალს". აღსანიშნავია, რომ მადრიდული კლუბის ინტერესი განელდა ტომას გრავესენის ყიდვის შემდეგ.

## "ბოლტონი" იეროს და კანდელას შენარჩუნებას ცდილობს

"ბოლტონის ხელმძღვანელობა" აპირებს ახალი კოტრაქტები შესთავაზოს მცველებს ფერნანდო იეროსა და ვენსან კანდელას. ესპანელისა და ფრანგი ფეხბურთელების მიმდინარე კონტრაქტს მაისში გასდის ვადა.

მადრიდის "რეალის" ყოფილი კაპიტანი 37 წლის იერო კარიერის დასრულებას მიმდინარე სეზონის ბოლოს გეგმავდა. თუმცა, ახლა გადაწყვიტა, გეგმები შეცვალოს.

არც 32 წლის კანდელაა (რომელიც ზამთარში "რომადან" "ბოლტონში" გადმოვიდა) წინააღმდეგი, კვლავაც სემ ელერდაისის ხელმძღვანელობით გააგრძელოს თამაში.

"ბოლტონის" წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ ორ ვეტერან ფეხბურთელთან ახალი კონტრაქტების გაფორმება დიდი პრობლემა არ უნდა იყოს.

როგორც ჩანს, იერო და კანდელა მომავალ სეზონში "ბოლტონის" შემადგენლობაში დაიწყებენ თამაშს.

**მოამზადა ნინო ტიკარაძემ**

TV-სპორტი

## პარასკევი. 29 აპრილი

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
12:20 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ნიუკასლი"
14:00 "ფეხბურთი ჭრილში"
14:30 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - გერმანიის ჩემპიონატი. "ჰერტა" - "შალკე"
16:10 თავისუფალი დარტყმა
16:25 "საფეხბურთო კლუბი". პირველი დივიზიონი
16:55 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:50 ფუტზალი. რუსეთის ჩემპიონატი. მე-7 ეტაპი
18:50 თავისუფალი დარტყმა
19:05 "FUTBOL MUNDIAL"
19:30 "საფეხბურთო კლუბი"
20:15 სახვალიო ტელეპროგრამა
20:20 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალი" - "ვილიარეალი"
22:05 "FUTBOL MUNDIAL"
22:35 თავისუფალი დარტყმა
22:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:45 "საფეხბურთო კლუბი"
00:30 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:15, 16:15 პრესცენტრი
10:20, 21:30 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
11:30 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
12:00 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
12:30 "მოტოვებული კვირა"
13:30 თავისუფალი სტილით ჭიდაობა. "რუსები ევროპის ჩემპიონატზე"
14:00 ჰოკეი. სტენლის თასის რეტროსპექტივა. 2001 წელი. ნახევარფინალი. "COLORADO AVALANCHE" - "NEW JERSEY DEVILS". პირველი მატჩი
16:30 ტაილანდური კრივი
17:25 ჩოგბურთი. ATP-ს ტურნირი პორტუგალიაში. მეოთხედფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
21:40 სახვალიო ტელეპროგრამა
21:45 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
22:30 "სპორტული გლობუსი" - "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
23:00 სინქრონული ცურვა. ევროპის თასი
00:15 ახალი ამბები
00:30 "ექსპედიცია-ტროფი 2005". ჰორიზონტს მიღმა

**EUROSPORT**
10:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია
11:00 ფეხბურთი - უეფას თასი. ნახევარფინალი
12:00 ფეხბურთი - უეფას ჩემპიონთა ლიგა
13:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 ფეხბურთი - უეფას ჩემპიონთა ლიგა. კვირის მატჩი
17:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი
21:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა გამოსასვლელ დღეებში
22:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია
01:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:00 ახალი ამბები
02:15 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი
02:45 თავგადასავალი. გაქცევა
03:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

# "ლივერპულმა" გაბედა და ირწმუნა

"სტემფორდ ბრიჯზე" გამართული ჩემპიონთა ლიგის პირველი ნახევარფინალის შემდეგ ლონდონის "ჩელსისა" და "ლივერპულს" შორის დაფიქსირებული ნულოვანი ფრის შემდეგ "არისტოკრატები" იძულებულნი გახდნენ, დამშვიდობებოდნენ ფავორიტის სტატუსს. ანუ მერსისაიდელებმა მეტოქე აიძულეს, სტატუსი დაეთმოთ და მათთვის გადაეცათ.

"ლივერპულის" ესპანელმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმაც აღნიშნა, რომ ამ შედეგის შემდეგ მისი გუნდი "ენფილდ "როუდზე" ფავორიტი იქნება, რადგან "ენფილდზე" ჩვენ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგვიძლიაო, - განაცხადა ბენიტესმა. ახლა ევროპული მედიის განცხადებით, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლაზე გუნდების შანსი დაახლოებით თანაბარია.

**"ჩელსი" - "ლივერპული" 0:0**

ბუნებრივია, რომ ევროპულმა პრესამ ეს მატჩი უყურადღებოდ არ დატოვა და ისინიც ასე გამოეხმაურნენ ჩემპიონთა ლიგის პირველ ნახევარფინალურ მატჩს.

**Independent (ინგლისი):** "ლონდონის "ჩელსის" უმთავრეს მიღწევად ამ სეზონში შეიძლება ჩაითვალოს კონკურენტების უმოწყალო რბევა ინგლისის ჩემპიონატში. "არისტოკრატებმა" მათ ჩემპიონობის შანსი პრაქტიკულად წაართვეს. თუმცა, როცა "ჩელსი" ლივერპულის "ენფილდ როუდზე" ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი ნახევარფინალური მატჩის სათამაშოდ ჩავა, ტრიბუნები თავდავიწყებით უქომაგებენ და იმ გუნდის ტრიუმფის მოლოდინში იქნებიან, რომელმაც გაბედა გამარჯვება ერწმუნა და დუელში გამოიწვია ინგლისის საუკეთესო გუნდი".

**Liverpool Daily Post (ინგლისი):** "საბერძნეთის "ოლიმპიაკოსისთვის სამი გოლის გატანის საჭიროებამ და "იუვესა" და "ბაიერთან" მომქანცველმა შეხვედრებმა, პრემიერლიგაში დემორალიზებული დამარცხებების ფონზე მაინც ვერ შეაჩერა რაფაელ ბენიტესის გუნდის ტრიუმფალური სვლა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელებს სჯერათ გამარჯვების და მათ გულშემატკივრებიც უბამენ მხარს, სტამბულის ფინალის საგზური მერსისაიდელებს სულაც არა აქვთ გარანტირებული. არადა, "ლივერპულს" გაუჩნდა შესანიშნავი შანსი მეხუთე ცდაზე, ბოლოს და ბოლოს, მარცხი აგემოს ჟოზე მოურინიოს ამბიციურ გუნდს. მომავალ კვირაში "ენფილდის" ტრიბუნები მერსისაიდელთა მეთორმეტე ფეხბურთელი გახდება და "ლივერპულიც" შეუტევს, როგორც შეტევის მოტრფიალე და უმდიდრესი ტრადიციების მქონე გუნდს ეკადრება".

**Daily Telegraph (ინგლისი):** "თუ ამ ნახევარფინალში, როგორც "ლივერპულის" ფანები ამტკიცებენ, ტრადიციები და ფული ეპაექრებოდა ერთმანეთს, მაშინ უნდა ითქვას, რომ ტრადიციებმა მატჩი თავგანწირული სიმამაცის ფონზე გამართეს. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს "ჩელსისა" და მის მეტოქეს პრემიერლიგის სატურნირო ცხრილში ერთმანეთისგან სულაც არ აშორებს 31 ქულა. "ენფილდს" ევროტურნირების არაერთი შესანიშნავი მატჩი უხილავს "სენტ ეტიენით" დაწყებული და "ოლიმპიაკოსით" დამთავრებული, მაგრამ მომავალი სამშაბათი განსაკუთრებული იქნება".

**Evening Standard (ინგლისი):** "იმ მწვრთნელისთვის, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის უკანასკნელი სამი გასვლითი მატჩი წააგო, ჟოზე მოურინიო უაღრესად ოპტიმისტურად იყო განწყობილი. საფინალო სასტვენიდან რამდენიმე წუთის შემდეგ "ჩელსის" ამბიციური მწვრთნელი ტელეკამერების წინ იდგა და შემდეგ სიტყვებს ამბობდა: "მე ძალიან მომწონს შექმნილი სიტუაცია. მე მთლიანად დარწმუნებული ვარ ჩემი გუნდის შესაძლებლობებში". "ლურჯებს" ნებისმიერი შედეგიანი ფრე ხელს აძლევს, მაგრამ "ენფილდზე" სოლიდური შეტევის მქონე გუნდს, რომელმაც "ლივერპულთან" ბოლო ოთხ მატჩში სამი გამარჯვება იზეიმა, მერსისაიდელ "კოპებთან" (ფანატიკოსების სექტორი კარს უკან) მოუწევს შეხვედრა. ისინი რწმენითა და იმით არიან აღფრთოვანებული, რომ მათ საყვარელ გუნდს ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლის შანსი აქვს".



"ლივერპულს" შანსი გაუჩნდა.

**Gazzetta dello Sport (იტალია):** "პირველი ტაიმის შემდეგ, რომელიც ტიპურ ბრიტანულ სტილში წარიმართა, გუნდებმა გადაწყვიტეს, არ გაერისკათ და ურთიერთობის გარკვევა მომავალი კვირისთვის გადადეს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ორივე გუნდს სათავეში უდგას ლათინური ფეხბურთის ისეთი ბებერი მელიები, როგორებიც რაფაელ ბენიტესი და ჟოზე მოურინიო არიან. მატჩამდე, პრემიერლიგაში "ჩელსის" 31-ქულიან უპირატესობას თუ გავითვალისწინებთ, ლონდონელები "ლივერპულთან" შეხვედრაში ფავორიტებად მიიჩნეოდნენ, მაგრამ სტუმრებს არც უფიქრიათ ოპონენტის წინაშე კომპლექსზე და ახლა შანსი აქვთ, გადამწყვეტი მატჩი საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ გამართონ".

**De Volkskrant (ჰოლანდია):** "პატარა პრიზი - ლიგის თასი უკვე მოგებულია. ინგლისის ჩემპიონის ოქროს მედლები უახლოეს უქმეებზე იქნება მოგებული. თუმცა, ყველაზე საპატიო ჯილდომდე, ევროპის ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებამდე ნულოვანი ფრის შემდეგ კვლავ შორია. შეხვედრამ, რომელიც ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან ორთაბრძოლად შეფასდა, აშკარად ვერ გაამართლა".


სახელი ____________________

გვარი

ასაკი ____________________

სიმაღლე ____________________

მისამართი

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ____________________

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დახარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა____________________ თარიღი__________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებაგახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

გთხოვთ შეავსოთ გარკვევით
ბლანკი უფასოა

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი
ფოტოსურათი

გთხოვთ, დაამაგროთ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მაგრამ სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

# ჩვეულებრივი თვითმფრინავი გეზს კოსმოსისკენ იღებს

რაც დრო გადის, სულ უფრო იზრდება იმ კომპანიების რიცხვი, რომლებიც კოსმოსური ტურიზმის ბიზნესის დაწყებას ცდილობენ. იმ კერძო პირებისა და მცირე კომპანიების გარდა, რომლებიც კონკურს X-პრაიზში ღებულობდნენ მონაწილეობას, ბიზნესის ამ ახალ სფეროში მოღვაწეობას ახლა უკვე ბევრი სხვა, გაცილებით დიდი კომპანიაც ესწრაფვის. მათ შორისაა ამერიკული "როკეტპლეინიც", რომელიც ახალი საქმის ასათვისებლად საკმაოდ ორიგინალური ხერხის გამოყენებას აპირებს.

"როკეტპლეინის" კონსტრუქტორებს გადაწყვეტილი აქვთ, მოდერნიზაცია ჩაუტარონ სერიულ თვითმფრინავს და მას კოსმოსში ფრენა "ასწავლონ". როგორც ირკვევა, ეს კომპანია აღნიშნულ პროექტზე უკვე ათი წელია, რაც მუშაობს და ახლა მზადაა, კოსმოსური ტურიზმის პიონერიც გახდეს.

მართალია, დღეისათვის ამ ბიზნესში ლიდერობა კონკურს X-პრაიზის გამარჯვებულის, ამერიკული "სქელდ კომპოზიტსის" ხელშია, მაგრამ ამ კომპანიის მფლობელი ბერტ რუტანი და მისი კომპანიონი, ცნობილი მილიარდერი და მოგზაური რიჩარდ ბრენსონი კოსმოსის ზღურბლზე პირველი კომერციული ფრენის განხორციელებას 2007 წლის ბოლოსთვის გეგმავენ და არაა გამორიცხული, რომ პირველი ტურისტები კოსმოსში სწორედ "როკეტპლეინმა" გაიყვანოს.

კომპანიის მიერ რეალური სამუშაოების ასე გვიან დაწყება იმის შედეგია, რომ მის პროექტს აქამდე პრაქტიკულად არ ჰქონდა დაფინანსება, ურომლისოდაც ასეთი სერიოზული პროექტის განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია. თუმცა, კონკურს X-პრაიზის წარმატებულად ჩატარების შემდეგ, ბიზნესის ამ ახალი სფეროთი დაინტერესება უამრავმა მდიდარმა კომპანიამ გამოთქვა და "როკეტპლეინის" პროექტიც სწრაფად დაიძრა მკვდარი წერტილიდან.





*სამოქალაქო ლაინერიდან როკეტპლეინი კოსმოსურ ხომალდს ამზადებს*

ოკლაჰომას შტატში ბაზირებული კომპანიის პროექტის სრული სახელწოდებაა "როკეტპლეინ XP" და ის ბიზნეს-კლასის სერიულ რეაქტიულ თვითმფრინავ "ლეარ 25-ის" გამოყენებას ითვალისწინებს. ამით ეს პროექტი ძირეულად განსხვავდება კონკურენტებისგან, რომლებმაც თავიანთი გეგმების განსახორციელებლად, ორიგინალური აპარატების შექმნა, რომ იტყვიან, ნულიდან დაიწყეს.

"როკეტპლეინის" კონსტრუქტორებმა თავიანთი აპარატის შესაქმნელად აიღეს "ლეარ 25-ის" ფიუზელაჟი, რომელიც სრულიად ახალი, დელტას ფორმის ფრთებით და სრულიად ახლებური კუდის ფრთასხმულობით აღჭურვეს. შეიცვალა ფიუზელაჟის უკანა ნაწილიც, სადაც სარაკეტო ძრავი დამონტაჟდა.

კოსმოსური აპარატი ოთხადგილიანია, მისი სიგრძე 13.11 მეტრია, მშრალი წონა კი - 3.18 ტონა. სარაკეტო ძრავთან ერთად, თვითმფრინავს შეუნარჩუნდა ორივე რეაქტიული ძრავაც, რომელთა წყალობითაც ის ჩვეულებრივი აეროპორტიდან აფრინდება და სასტარტო სიმაღლეს აიღებს, რაც "როკეტპლეინ XP-ს" კიდევ ერთ სერიოზულ უპირატესობას ანიჭებს კონკურენტებთან შედარებით - მას არ დასჭირდება არც სასტარტო პოზიციაზე გამყვანი თვითმფრინავი, არც სპეციალური სასტარტო დანადგარი და არც მყარ საწვავზე მომუშავე ამაჩქარებელი ძრავები.

როცა კოსმოპლანი საჭირო სიმაღლეს (5.5-9 კმ) აიღებს, ის ჰორიზონტალურ მდგომარეობაში იქნება. ამ დროს პილოტი გამორთავს რეაქტიულ აგრეგატებს და ჩართავს სარაკეტო ძრავს, რომელიც სპეციალურად ამ პროექტისთვის მოამზადა ამერიკულმა კომპანია "ორბიტალ ტექნოლოჯიზმა" (იგივე ორბიტექმა). ეს აგრეგატი საწვავად იყენებს საავიაციო ნავთს, დამჟანგავად კი - თხევად ჟანგბადს.

"როკეტპლეინ XP-ში" ყველაფერი უბრალო და საიმედოა. ეს ორი თვისება ამ აპარატის შექმნისას კონსტრუქტორთათვის მთავარი კრიტერიუმი იყო. სწორედ ამ კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად აიღეს საფუძვლად სერიული თვითმფრინავი. ამით შესაძლებელი გახდა არამხოლოდ სოლიდური თანხის დაზოგვა, არამედ საჭირო უსაფრთხოების უზრუნველყოფაც.

დავუბრუნდეთ აპარატის ტექნიკურ მახასიათებლებს. სარაკეტო ძრავის მაქსიმალური წევა 13.6 ტონაა და მისი მეშვეობით, ვერტიკალური ფრენისას, აპარატის მაქსიმალური აჩქარება 3-4g-ს მიაღწევს. სარაკეტო ძრავის ჩართვიდან დაახლოებით წუთნახევრის შემდეგ (დაახლოებით 53.3 კილომეტრ სიმაღლეზე) ის გამოირთვება და კოსმოპლანი ინერციით გააგრძელებს ფრენას. ამ დროს მისი სიჩქარე დაახლოებით 3.5 მახი იქნება (მახი ბგერის სიჩქარეა).

საპროექტო გათვლებით, სუბორბიტული "ნახტომის" მაქსიმალური სიმაღლე 100.6 კილომეტრია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი მგზავრები ეგრეთ წოდებულ "ასტრონავტის ფრთებს" მიიღებენ - უწონადობის მდგომარეობაში რამდენიმე წუთს გაატარებენ. უკან დაბრუნებისას, დამუხრუჭების გადატვირთვაც 3-4g-ს მიაღწევს (g თავისუფალი ვარდნის აჩქარებაა და 9.8 მ/წმ2-ს უდრის). დაახლოებით იმავე სიმაღლეზე, საიდანაც "როკეტპლეინ XP-მ" აჩქარება დაიწყო, პილოტი რეაქტიულ ძრავებს ჩართავს და მათი მეშვეობით, იმავე აეროდრომზე დაეშვება, რომლიდანაც აილო სტარტი.

პრინციპში, "როკეტპლეინ XP-ს" ძრავების გარეშეც შეუძლია პლანირება, მაგრამ მათი მეშვეობით, ფრენა უფრო უსაფრთხო იქნება. მთელი რეისის ხანგრძლივობა სულ ერთ საათს გასტანს.

"როკეტპლეინმა" თავისი კოსმოსური ვოიაჟების სასტარტო ადგილად კოსმოსური პორტი "ოკლაჰომა" აირჩია, რომელიც შტატ ოკლაჰომას პატარა ქალაქ ბარნს ფლეტის სიახლოვეს მდებარეობს. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შტატის ხელმძღვანელობამ სოლიდური საგადასახადო შეღავათები დაუწესა კომპანია "როკეტპლეინს".

კომპანია ორი ასეთი აპარატის აგებას აპირებს და იმედოვნებს, რომ ყოველ ორ კვირაში სამი ფრენის შსრულებას მოახერხებს. საპროექტო მონაცემებით, ფრენებს შორის მომსახურებისთვის "როკეტპლეინ XP-ს" სულ 3-5 დღე ჰყოფნის.

წინასწარი გათვლებით, ტურისტებს თითოეული ფრენა 150-160 ათასი დოლარი დაუჯდებათ. კომპანია აცხადებს, რომ პირველი "როკეტპლეინ XP" უკვე 2006 წლის შუაწელში იქნება მზად და მას მაშინვე შეეძლება კოსმოსში გაფრენა. თუმცა, პირველი ფასიანი გაფრენა მხოლოდ 2007 წლის დასაწყისში შესრულდება. შედარებისთვის, უფრო გვიან დაიწყებს პირველი რეისების შესრულებას რუტანისა და ბრენსონის "სპეისშიპორი", რომლის ფრენის სიმაღლე 140 კილომეტრი კი იქნება, მაგრამ ეს სიამოვნება მგზავრებს 200-400 ათასი დოლარი დაუჯდებათ.

სხვათა შორის, უფრო დიდ სიმაღლეზე ფრენას "როკეტპლეინიც" აპირებს. კერძოდ, მისი კონსტრუქტორები აცხადებენ, რომ მათ მიერ დაპროექტებულ აპარატს მოდერნიზაციის დიდი რესურსი გააჩნია და "როკეტპლეინ XP2-ის" შექმნასაც არ დასჭირდება დიდი დრო.

# და ვინჩის კონსტრუქციის ჩიტი ფრენას იწყებს

მიჩნეულია, რომ ავიაციის ერის დასაწყისს ძმებმა რაიტებმა ერთი საუკუნის წინ დაუდეს დასაბამი, თუმცა ყველამ როდი იცის, რომ პირველი საფრენი აპარატების ესკიზები ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში შეასრულა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა გენიოსმა ლეონარდო და ვინჩიმ.

საერთოდ, და ვინჩი მხოლოდ საფრენი აპარატების ესკიზებს და მაკეტებს როდი ადგენდა. მის ნააზრევს ეკუთვნის კაცობრიობის ისტორიაში პირველი ავტომობილის, წყალქვეშა ნავის, პარაშუტის და ასე განსაჯეთ, ტანკის ესკიზებიც კი. და ვინჩიმ თავისი ნააზრევი ეგრეთ წოდებული კოდექსების სახით ჩამოაყალიბა და კატალოგებად აკინძა. ამ კოდექსებს თანამედროვე ინჟინრები დიდი მონდომებით სწავლობენ და მათ მიხედვით, ნახაზებიდან ორიგინალურ კონსტრუქციებსაც კი ქმნიან. უფრო მეტიც, და ვინჩის ესკიზების და კოდექსების შესწავლა და ახსნა მეცნიერების ერთგვარ მიმდინარეობადაც იქცა და მისით დღეისათვის უამრავი ენთუზიასტია გატაცებული.

და ვინჩის მიერ კოდექსებში დატანილი ესკიზებიდან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მარტივი საფრენი აპარატის, ეგრეთ წოდებული ორნითოპტერის ნახაზებია. ლეონარდოს მიერ გააზრებულ თვითმფრინავს მოძრავი ფრთები უნდა ჰქონოდა და ისინი მოძრაობაში ადამიანის ძალას უნდა მოეყვანა.

ესკიზების მიხედვით, შეიძლება იმის თქმა, რომ და ვინჩის ორნითოპტერის კონსტრუქცია საკმაოდ მარტივია, თუმცა ამ ესკიზების მიხედვით საფრენი აპარატის შექმნა მხატვრის სიცოცხლეშივე შეუძლებელი იყო, რადგან კაცობრიობის ხელთ არსებული მწირი ტექნოლოგიური შესაძლებლობანი ამის საშუალებას არ იძლეოდა.

და ვინჩის შემდეგაც, ბევრმა სცადა ჩიტების ფრენის პრინციპით, საფრენი აპარატის დამზადება, მაგრამ ყველა ეს მცდელობა კრახით დასრულდა. თუმცა, ამის მიუხედავად, დღესაც ბევრია ამ ტიპის აპარატის შექმნის იდეით შეპყრობილი ადამიანი, რომლებიც 500 წლის შემდეგაც ცდილობენ ლეონარდოს ესკიზების მიხედვით საფრენი აპარატის აგებას. მაგრამ, როგორც ჩანს, ამჯერად საქმეს წარმატებული გაგრძელება ექნება, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიები ინჟინრებს გაცილებით მეტ შესაძლებლობებს უქმნის. ამ ინჟინერთა რიცხვს განეკუთვნება ტორონტოს უნივერსიტეტის პროფესორი ჯეიმს დელორიე, ვინც თავის თანამოაზრეებთან ერთად, ორნითოპტერის დამზადებას ცდილობს.







*დელორიე (ცენტრში) თანამოაზრეებთან და ფლაპერთან ერთად*



*ლეონარდო და ვინჩის ორნითოპტერი*

თუმცა, სანამ დელორიეს სამუშაოს გავეცნობოდეთ, მცირე გადახვევა გავაკეთოთ და ორიოდე სიტყვა ვთქვათ იმის შესახებ, რომ ფრენის ორი ძირითადი პრინციპი არსებობს. ერთის მიხედვით, მანქანა ჰაერში ააქვს ამწევ ძალას, რომელსაც სპეციალური დანადგარი (ძრავი), ან მოძრავი ფრთები უნდა გამოიმუშავებდეს. მეორე პრინციპით, მანქანას ესაჭიროება ბიძგი, გამწევი ძალა, რათა მისი მეშვეობით მან გარკვეული სიჩქარე განავითაროს და ამ დროს წარმოქმნილი ჰაერის ნაკადის ფრთასთან ურთიერთქმედებით, მანქანას აფრენის საშუალება მისცეს. ეს ორი პრინციპი ჯერ კიდევ 1799 წელს ჩამოაყალიბა სერ ჯორჯ ქეილიმ. სწორედ მისი ნაშრომების შემდეგ დაიწყეს კონსტრუქტორებმა ფიქრი იმაზე, რომ შესაძლებელი იყო ფიქსირებულფრთიანი საფრენი აპარატის შექმნა.

ამ მხრივ, და ვინჩის ორნითოპტერი ერთგვარი უნივერსალური მანქანაა, რადგან მისი მოძრავი ფრთები საშუალებას იძლევა, მანქანამ განავითაროს როგორც ამწევი, ისე მბიძგავი ძალა. სხვათა შორის, მცირე ზომის აპარატებში, მოძრავფრთიან კონსტრუქციას, ფიქსირებულფრთიანებთან შედარებით, გარკვეული უპირატესობანი გააჩნია. თუმცა დელორიეს მიაჩნია, რომ ეს უპირატსობა არ გამოდგება მაშინ, როცა აპარატს ადამიანი ეყოლება გადასაყვანი.

მაშ, რაღა საჭიროა ორნითოპტერის აგება? "ამას ჩვენ იმისათვის ვაკეთებთ, რომ გენიალური ადამიანის ნააზრევი რეალობად ვაქციოთ. ჩვენ ამას ვაკეთებთ ისტორიისთვის, იმის თვალსაჩინოებისთვის, თუ რა დონის მოაზროვნე იყო და ვინჩი", - ამბობს დელორიე.

სხვათა შორის, მცირე ზომის მინიატურული ზომის, შორიდან მართვადი ორნითოპტერები მანამდეც შეუქმნია ადამიანს. უფრო მეტიც, სათამაშოების მწარმოებლები დიდი ხანია, ამზადებენ პლასტიკატისგან მსგავსი პრინციპით მომუშავე სათამაშო საფრენ აპარატებს, პლასტიკურ ჩიტებს. მაგრამ დელორიე და მისი თანამოაზრეები პირველები არიან, რომლებმაც დაამზადეს ისეთი მოძრავფრთიანი საფრენი აპარატი, რომელიც მოძრაობაში ძრავის გარდა ადამიანის ძალას მოჰყავს.

ენთუზიასტებმა თავიანთ აპარატზე მუშაობა შარშან დაასრულეს აშშ-ის თავდაცვის მოწინავე გამოკვლევებისა და პროექტების სააგენტოს წარუდგინეს. ჯგუფმა აპარატს "ფლაპერი" შეარქვა. ისინი იმედოვნებენ, რომ მალე მათი ქმნილება ადამიანს ფრენის საშუალებას მისცემს.

არადა, 1996 წლიდან მოყოლებული, რაც აღნიშნულ პროექტზე მუშაობენ, დელორიე და მისი ჯგუფი არაერთ პრობლემას გადააწყდა - ხშირად იმტვრეოდა ძალის გადამცემი მექანიზმი, აპარატი კი, ფრთების რამდენიმე მოქნევის შემდეგ, მცირე სიმაღლეზე აფრენას კი ახერხებდა, მაგრამ მიწაზე უკონტროლოდ და მეტად ხისტად ეშვებოდა, რასაც არაერთი საცდელი აპარატი შეეწირა.

"ფლაპერის" ფრთის გაშლა 12.5 მეტრს აღწევს, მისი წონა კი პილოტთან და საწვავთან ერთად, თითქმის 354 კილოგრამია. გაზზე მომუშავე მცირე ძრავს მოძრაობაში მოჰყავს ფრთები და აპარატი აფრენამდე თითქმის 80 კმ/სთ სიჩქარის განვითარებას ახერხებს. მოძრაობისას, "ფლაპერი" ორი-სამი წამით აფრენასაც ახერხებს, მაგრამ ჰაერში დიდხანს ვერ ჩერდება.

თანაც, "ფლაპერის" კონსტრუქცია ძირეულად განსხვავდება და ვინჩის ესკიზებისგან, სადაც ფრთებს ღამურის ფრთის ფორმა აქვთ. ასეთ ფრთის ჩონჩხზე გადაკრული უნდა იყოს მეტად თხელი და გამძლე მასალისგან დამზადებული აპკი.

"ბევრ რამეს, რაც ბუნებაში არსებობს, ჩვენ ვერ გადმოვიღებთ. ჩვენს მიერ შექმნილი აპარატი არ გადმოხტება ხიდან იმისათვის, რომ თავისუფალი ვარდნის წყალობით, ფრენა დაიწყოს. ჩიტებს ფრთების დაკეცვაც შეუძლიათ, მაგრამ ამას ადამიანის მიერ შექმნილი აპარატი არასოდეს გააკეთებს. ამიტომ, სულაც არ ვნაღვლობთ, რომ ჩვენი ქმნილება საკმაოდ განსხვავდება და ვინჩის ესკიზებისგან. რაც მთავარია, ჩვენ ლეონარდოს იდეების განხორციელება ვცადეთ და ვფიქრობ, ეს საკმაოდ კარგადაც გამოგვივიდა", - ამბობს დელორიე.

"ფლაპერის" ფრთები გარეგნულად თვითმფრინავისას მოგვაგონებს, მაგრამ მათგან იმით განსხვავდება, რომ ისინი მოძრაობენ და ასე ქმნიან ამწევ ძალას. ფრთების შესაქმნელად გამოყენებულია თანამედროვე კომპოზიციური მასალები (კევლარისა და ნახშირბადოვანი ქსოვილის), რომელთა გარეშეც, იდეის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა.

დელორიე იმასაც აღნიშნავს, რომ მის ჯგუფს შესაბამისი დაფინანსება არ ჰქონდა, თორემ: "ჩვენი "ფლაპერი" დიდი ხნის წინ დაიწყებდა ფრენას", - ამბობს პროფესორი, რომელიც სამუშაოებს მეტწილად კერძო შემოწირულობათა და საკუთარი ჯიბიდან გაღებული თანხების წყალობით ატარებდა.

# სუპერლაინერმა პირველი ფრენა შეასრულა

ტულუზის მახლობლად მდებარე აეროპორტ "ბლანიაკიდან" პირველი საცდელი გაფრენა შეასრულა მსოფლიოში ყველაზე დიდმა სამგზავრო ლაინერმა, ევროპულმა A380-მა. ამ სუპერლაინერს ჩვენი რუბრიკის მკითხველი უკვე იცნობს. ორგემბანიანი A380 ყველაზე დიდი სამგზავრო ლაინერია, რომელიც კი ოდესმე შეუქმნია ადამიანს.

თვითმფრინავის ფრთების გაშლა 79.3 მეტრს აღწევს, მისი სიგრძე კი 73 მეტრია. მას ჰაერში დაახლოებით 560 ტონა ტვირთის ატანა შეუძლია, ფიუზელაჟის სხვადასხვა მოდიფიკაციით კი 555-900 მგზავრის გადაყვანასაც შეძლებს.

პირველი A380-მა, რომლის საბორტე ნომერია 001, იმავე საფრენი ბილიკიდან განახორციელა პირველი საცდელი აფრენა, საიდანაც 1969 წლის მარტში პირველი საცდელი ფრენა შეასრულა ზებგერითმა სამგზავრო ლაინერმა "კონკორდმა".



საცდელი ფრენის დროს, A380-ის კაბინაში ეკიპაჟის მხოლოდ 6 წევრი იმყოფებოდა, რომლებსაც, საცდელი ფრენების წესების შესაბამისად, ყოველი შემთხვევისთვის, თან სპეციალური პარაშუტებიც ჰქონდათ. რაც მთავარია, თვითმფრინავში განლაგებული იყო ურთულესი ტელემეტრიული და გამომთვლელი აპარატურა, რომლებიც საცდელი ფრენის დროს, თვითმფრინავის ყველა მონაცემს იწერდა. ამ მონაცმებს ფრენის შემდეგ, სპეციალური კომპიუტერული ცენტრი დაამუშავებს და საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელ ცვლილებებს შეიტანს ლაინერის კონსტრუქციაში.

უნდა ითქვას, რომ საცდელი ფრენის დროს A380-ის ასაფრენი წონა 240 ტონას შეადგენდა, აქედან 20 ტონა სწორედ გამომთვლელ აპარატურაზე მოდიოდა.

A380-მა პირველი ფრენის დროს ჰაერში სულ 4 საათი დაჰყო. ტულუზიდან ის საფრანგეთის ჩრდილოეთისკენ გაეშურა, ქალაქ ბორდოს სიახლოვეს მკვეთრად შეცვალა ფრენის მიმართულება და დატოვა საფრანგეთის საჰაერო სივრცე. ფრენის უმეტესი დრო სუპერლაინერმა ატლანტის ოკეანის თავზე გაატარა. მთელი დროის განმავლობაში მას გვერდით მიჰყვებოდა მცირე ზომის თვითმფრინავი, რომლიდანაც ხდებოდა A380-თვის სურათების გადაღება.

A380-ზე მუშაობა კორპორაცია "ერბასის" კონსტრუქტორებმა თითქმის ათი წლის წინ დაიწყეს. პროექტის ღირებულებამ კი 11 მილიარდ ევროზე მეტი შეადგინა. კონსტრუქტორთა განცხადებით, მათ მთავარ ამოცანას ლაინერის მასის შემცირება წარმოადგენდა. მიზნის მიღწევა კი მათ შეძლეს კომპოზიტური მასალების სრულიად ახლებური (რევოლუციურიც კი) ტექნოლოგიის გამოყენებით. სწორედ კომპოზიტებისგანაა დამზადებული ფიუზელაჟისა და ფრთების დიდი ნაწილი. შედეგად, A380-ის წონის დაახლოებით 40 პროცენტი ნახშირბადოვანი ქსოვილისგან დამზადებულ კომპოზიტურ დეტალებზე მოდის.

A380 იმითაცაა საინტერესო, რომ მას შუალედური დაშვების გარეშე 15 ათას კილომეტრზე ფრენა შეუძლია. ამასთან, ყოველ ას კილომეტრზე, მისი საშუალებით მგზვრის გადაყვანა უფრო იაფი ჯდება, ვიდრე დიზელის ძრავით აღჭურვილი კომპაქტური ავტომობილით.

მწარმოებელი იმედოვნებს, რომ მომდევნო ოცი წლის განმავლობაში დაახლოებით 1250 ცალი A380-ს გაყიდვას შეძლებს. მყიდველთა უმეტესობა აზიური ავიაკომპანიები იქნება. თვითმფრინავების ნახევარზე მეტი კი მეტწილად მსოფლიოს 12 უდიდეს აეროპორტს შორის იფრენს, რომელთა უმეტესობაც აზიაში მდებარეობს.

პირველი ავიაკომპანია, რომელიც A380-ით შეასრულებს რეგულარულ რეისებს, იქნება "სინგაპურ ეარლაინზი". სავარაუდო, მისი პირველი სარეისო ფრენა 2006 წლის მეორე ნახევარში შედგება.

**მოამზადა**
**მერაბ ლორთქიფანიძემ**

სახელი ____ მისამართი
გვარი ____
ასაკი ____ საკონტაქტო ტელეფონის ნომერი ____
სიმაღლე ____

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა____________ თარიღი________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გიხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ელის ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

**[illegible] შეავსეთ გარკვევით**
**ბლანკი უფასოა**

**ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:**

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაამაგრეთ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მასზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწერეთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

# ულამაზესები

ჯერჯერობით, ბულვარულმა პრესამ ვერაფრით დაადგინა, ბრედ პიტსა და ანჯელინა ჯოლის აკავშირებთ თუ არა სიყვარული. მაგრამ მათ რომ აკავშირებთ გარეგნული სილამაზე - ეს უკვე ოფიციალურად დადგენილია. ჟურნალმა People 2005 წლის ულამაზეს მამაკაცად ბრედ პიტი დაასახელა, ქალად - ანჯელინა ჯოლი. თუმცა, ჟურნალის რედაქციამ განსაკუთრებული პატივი სცა ჯულია რობერტსაც, როგორც ტყუპების დედას, ანუ, გმირ დედას, და გარეკანზე სწორედ ჯულია გაიტანა.



ეს ნომერი გაყიდვაში შტატებში დღეს გამოვიდა. რობერტსი ცხადია, არანაკლებ ნასიამოვნებია, ვიდრე ანჯელინა ჯოლი. ის ხომ People-ის გარეკანს მესამედ ამშვენებს, მეცხრედ კი - ლამაზების სიაშიც ხვდება. მსგავს რეკორდს მხოლოდ ჰალი ბერი ფლობს. რობერტსზე კი People-ის რედაქტორები აცხადებენ: "ახლა, როცა ჯულიას შვილები ჰყავს, მან თავისი სილამაზის პიკს მიაღწია. ის ბედნიერია, მშვიდად გრძნობს და ეს გარეგნობაზე ეტყობა კიდეც". 37 წლის რობერტსმა ახლახან ტყუპი ბავშვები გააჩინა - ფინესი და ჰეიზელი.

რაც შეეხება პიონერებს სიაში, ისინი არიან: "ოსკაროსანი" ჯეიმი ფოქსი (ფილმი "რეი"), ასევე "ოსკარით" დაჯილდოებული ჰილარი სუენქი ("მილიონ დოლარიანი გოგონა") და მომღერლები: ჯენიფერ ლოპესი, ალიშა ქიზი და აშერი.

სიაში მოხვდნენ ამერიკული ტელევიზიის ვარსკვლავებიც. მიშა ბარტონი, ევა ლონგორია, ოფრა უინფრი (უკვე მეორედ) და მოხვდნენ სპორტის მსოფლიო ვარსკვლავებიც - დევიდ ბექჰემი და მარია შარაპოვა.

ოფრა უინფრი ჟურნალის მკითხველს სილამაზის საიდუმლოსაც უმხელს: "გარეგნული სილამაზე გარკვეული კომბინაციით მიიღწევა. უნდა იკვებოთ სწორად, უნდა ივარჯიშოთ და საკუთარ სხეულთან კომფორტულად გრძნობდეთ თავს".

სიაში მოხვდნენ წყვილებიც: მომღერალი სილი და მოდელი ჰაიდი კლუმი, ასევე ესპანელი მსახიობი პენელოპა კრუსი და მისი ამჟამინდელი შეყვარებული - მეთიუ მაქგონაჰი. ასევე ჯუდ ლოუ და სიენა მილერი.

პრინციპში მკითხველის ნაწილი ჯოლსა და პიტსაც სწორედ ამ კატეგორიაში - წყვილების კატეგორიაში განიხილავს, მაგრამ თვითონ მსახიობები გავრცელებულ ხმებს არ ადასტურებენ. ისინი ერთად თამაშობენ ფილმში "მისტერ და მისის სმიტი", რომლის პრემიერაც ძალიან მალე უნდა გაიმართოს და, ალბათ, აუდიტორიასაც ჭორაობის ახალ საბაბს მისცემენ.

რაც შეეხება ლამაზებს, ისინი ჟურნალ People-ის მკითხველებმა გამოავლინეს. 500 ათასმა ადამიანმა ინტერნეტ რეჟიმში მისცა ხმა ფავორიტებს. ასე დაკომპლექტდა ფრიად პრეტენზიული ნუსხა სახელწოდებით - "ულამაზესნი-2005".

საქართველოს კონტროლის პალატის გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი:
95 30 81
96 71 78




# "ვარსკვლავეთის ომების" მესამე სერია - კანში



ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა საკმაოდ ხანგრძლივი მოლაპარაკებები ფილმის პროდიუსერებსა და ფესტივალის ორგანიზატორებს შორის. მანამდე კი ცნობილი იყო, რომ ფილმის საპრემიერო ჩვენება 19 მაისს შედგებოდა და მანამდე ლუკასი გეგმავდა, ფილმი ერთდროულად ამერიკის სხვადასხვა ქალაქების კინოთეატრებში გაეშვა. ამ წინასწარი ჩვენებებიდასნ შემოსული თანხა კი ფილმის ავტორებს ადგილობრივ ბავშვთა საქველმოქმედო ორგანიზაციებისთვის უნდა გადაერიცხათ.

ფილმის "ვარსკვლავური ომები", "ეპიზოდი III - სიტხების შურისძიების" მოქმედება კლონების ომის დაწყებიდან სამი წლის შემდეგ ვითარდება. ჯედაევის საბჭო, ობი ვან კენობის, სეპარატისტული არმიის მეთაურის, გენერალი გრევუსის ნეიტრალიზირებას ავალებს. ამავე დროს ობი ვანის მოსწავლე ანაკინ სკაიუოქერი, კანცლერი პალპატინას დაახლოვებული დამხმარე ხდება, რომელიც გალაქტიკაზე უზარმაზარ ძალაუფლებას იძენს. სწორედ ამ დროს არსაიდან ჩნდება სიტხების ორდენი - ძლიერების შავბნელი მხარის რაინდები, რომელნიც, ოფიციალური ვერსიის მიხედვით ათასი წლის წინათ, სწორედ ჯედაების მიერ იყვნენ განადგურებულები.

ფილმში მთავარ როლებს ევან მაქ გრეგორი, ჰეიდენ ქრისთენსენი, ნატალი პორტმანი და სემიუელ ჯექსონი ასრულებენ.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

# მოდაში ანტუანეტომანიაა



ქალბატონი, რომელმაც ოდესღაც კაბებისა და სამკაულების შესაძენად სახელმწიფო ბიუჯეტი გაფლანგა, ოცდამეერთე საუკუნეში სტილის ხატად იქცა. მოდაშია მისი სუნამო და როკოკოს სტილის კაბები.

ფრანგული იმპერიის ეპოქა მოდას ჯერ კიდევ წინა შემოდგომაზე დაუბრუნდა. ოსკარის მფლობელმა სოფია კოპოლამ ფილმის - "მარია ანტუანეტის" გადაღების შესახებ განაცხადა, მაღალი მოდის პარიზის კვირეულმა კი დაადასტურა, რომ ანტუანეტობა ნამდვილი ტენდენციაა. დიზაინერებმა არ დაიზარეს და ეროვნული მუზეუმების უშრეტი საგანძურები "შეაწუხეს". ჯონ გალიანომ დიორის სახლისთვის ახალი კოლექცია მოამზადა და ჟოზეფინას მიუძღვნა, სხვათა შორის, თავადაც პოდიუმზე ნაპოლეონის სამკუთხა თავსაბურავით გამოცხადდა. ბაროკოსა და როკოკოს პატივი მიაგეს ლაკრუამ და ვალენტინომ და დაღონებით მოიგონეს ეპოქა, როდესაც მაღალი მოდისთვის ფულს არავინ იშურებდა. მოვარდისფრო-მოთეთრო ფურფუშელებით დამშვენდნენ შანელის სახლის მანეკენებიც (ფურფუშელებით გაწყობილ კაბებში ლუდოვიკ მეშვიდეს სეფექალები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით იქცევდნენ თავს).

ქერა, ცისფერთვალება და გამჭვირვალეკანიანი მარია ანტუანეტა პირველი ფრანგული დედოფალი იყო, რომელიც მოდის ინდუსტრიის განვითარებაზე სერიოზულ გავლენას ახდენდა. მეუღლის გარდაცვალების გამო ციხეში მყოფმაც კი მკერავს ულამაზესი შავი კაბა შეუკვეთა და უარიც ვერ აკადრეს...

ორი საუკუნის შემდეგ ცნობილმა პარფიუმერ ფრანსის კურდიანმა ძველი რეცეპტების გამოყენებით გააცოცხლა სუნამო, რომელიც სპეციალურად ჟოზეფინასთვის იმპერატორის კარის პარფიუმერმა ჟან-ლუი ფარჟონმა შექმნა. რეცეპტურის მომზადებაში კი ელიზაბეტ დე ფეიდო დაეხმარა.

ყვავილოვანი არომატი ორიგინალური იყო ეპოქაში, როცა მოდის თაყვანისმცემლები მხოლოდ მძიმე სურნელის მქონე სუნამოებს აღიარებდნენ. ახალ სუნამოს "დედოფლის კვალი" ჰქვია. პროფესიონალებმა ის ჟასმინის, კოწახურის, ვარდისა და სხვა ყვავილების მგრძნობიარე თაიგულად მონათლეს. იშვიათი და ძვირადღირებული ესენციების გამო სუნამოს მასობრივი წარმოება არ იგეგმება. თუმცა მისი შეძენა ლონდონის რამდენიმე მაღაზიაში შეიძლება. ამბობენ, რომ "დედოფლის კვალის" ათასი ფლაკონი სპეციალურად ვერსალში გასაყიდად მზადდება. სუნამოს ფასი 1500 ევროა. ეს კი, მერწმუნეთ, ძალიან ცოტაა დედოფლის ხელთათმანებთან, სამკაულებთან და ფეხსაცმელთან შედარებით.







## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.